მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის, როგორც სპეციფიკური ფონდების გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ფონდებზე ფორმირების მატერიალური და შრომითი დანახარჯების სწორად განსაზღვრას. ცნობილია, რომ საქონლის ღირებულებას მათ შორის წარმოების საშუალებათა ღირებულებასაც, განსაზღვრავს მათი წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი მატერიალური და შრომითი დანახარჯები, რა თქმა უნდა, მრავალწლიანი ნარგაობების ფონდებზე ფორმირების ხარჯების განსაზღვრა აღნიშნული წესის შესაბამისად წარმოებს. მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად ფონდებზე ფორმირებასთან დაკავშირებული რიგი თავისებურებანი. ერთი ასეთი თავისებურებაა ის, რომ მრავალწლიანი კულტურების გაშენებას და მათ ძირითად ფონდებზე ფორმირებას სჭირდება დიდი კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც უკუგებას საკმაოდ ხანგრძლივი დროის განვლის შემდეგ (საშუალოდ 6—8 წელი) იძლევიან. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, დაბლა სცემს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის დონეს.

მრავალწლიანი კულტურების ნარგაობის ძირითად ფონდებზე ფორმირების მეორე თავისებურებაა ის, რომ მათი გაშენებისათვის, თავისუფალი მიწების უქონლობის გამო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გამოიყოფა სხვა კულტურებით დაკავებული მიწები, ძირითადად სახნავი მიწები. ეს ის მიწებია, რომლიდანაც მეურნეობები მრავალწლიანი კულტურების გაშენებამდე ლეზულობდნენ განსაზღვრული ოდენობის წმინდა შემოსავალს.

1970—1975 წლების მონაცემებით საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ჩაის, ვენახის, ხეხილისა და ციტრუსების გაშენებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა საშუალოდ 6000 ჰა სახნავი მიწა. ამ წლებში წმინდა შემოსავალი 1 ჰა სახნავიდან 60 მანეთს უდრის. რის შედეგადაც მრავალწლიანი კულტურების გაშენების გამო, წმინდა შემოსავალი შემცირდა 2,5 მლნ მანეთით. წმინდა შემოსავლის შემცირება განესაზღვრეთ ცნობილი ფორმულით:

$$K = DtS.$$

- სადაც K არის შემცირებული წმინდა შემოსავალი მანეთებში.
- D — წმინდა შემოსავალი 1 ჰა-ზე მანეთებში.
- t — დრო მრავალწლიანი კულტურების სრულმსხმოიარობაში შესვლამდე.
- S — მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის გამოყოფილი ფართობი ჰა.

ეკონომიური შინაარსით, მრავალწლიანი ნარგაობის გაშენებით, სახნავი მიწებიდან შემოსავლის დროებით (6—8 წელი) შემცირება („დანაკარგები“)



განხილულ უნდა იქნეს როგორც ისეთი „დანახარჯები“, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავობის ძირითადი მიწისპირა ფორმირებასთან, ამიტომ მიჩნეული უნდა იქნეს როგორც მხოლოდ მრავალწლიანი ფორმირების დანახარჯები და წმინდა შემოსავლის ოდენობით, რასაც აღნიშნული მიწები იძლეოდნენ მრავალწლიანი ნარგავობის გაშენებამდე, შევიდეს მათი წარმოებისა და ფორმირების საერთო ხარჯებში.

ასე, მაგალითად, დავუშვათ, რომ ჩაის პლანტაციის გაშენებისათვის კოლმეურნეობამ გამოყო 10 ჰა სახნავი მიწა, თუ წმინდა შემოსავალს 1 ჰა სახნავიდან 60 მანეთის ოდენობით ვივარაუდებთ, მაშინ წმინდა შემოსავალი 10 ჰა-ზე $(60 \times 10) = 600$ მანეთი იქნება. ხოლო ჩაის პლანტაციის სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე წმინდა შემოსავლის შემცირება შეადგენს 3600 მანეთს $(600 \times 6 = 3600)$ (ჩაის პლანტაცია სრულ მოსავლიანობაში შედის მე-7 წელს.) მაშასადამე, 1 ჰა ჩაის პლანტაციის სრულ მოსავლიანობაში შესვლამდე წმინდა შემოსავლის შემცირება შეადგენს 360 მან. და იგი უნდა შევიდეს 1 ჰა ჩაის პლანტაციის საბალანსო ღირებულებაში, ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულებას განაზღვრავს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამორტიზაციის ნორმის სწორად დადგენისათვის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების შედგენილობაში მრავალწლიანი ნარგავობას საშუალოდ 38% უკავია, მათი ამორტიზაციის ნორმის სწორად განაზღვრავს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა ეკონომისტებს შორის სხვა შეხედულებაც არსებობს. კერძოდ, მ. გ. ვიანერის⁴ აზრით, მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის გამოყოფილი მიწების შემოსავლის ღრობით შემცირების კომპენსაცია უნდა მოხდეს დამატებითი კაპიტალური დაბანდებით. ამ შემთხვევაში დამატებითი კაპიტალური დაბანდებების სახსრები გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{ით}} = \frac{D_r}{E_r} \times S$$

ეს დამატებითი სახსრები ემატება მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო სახსრებს და ისე განისაზღვრება კაპიტალურ დაბანდებათა აბსოლუტური ეფექტიანობის დონე.

ზემოთ მოტანილი მაგალითის შესაბამისად 10 ჰა ჩაის გაშენებისათვის გამოყოფილი მიწებიდან წმინდა შემოსავლის დანაკლისის კომპენსაციისათვის დამატებით საჭირო იქნება 5000 მანეთი.

⁴ Капитальные вложения в сельском хозяйстве, М., 1972, стр. 67.

- 5. $K_{\text{ით}}$ — დამატებითი კაპ. დაბანდების სახსრები.
- D_r — წმინდა შემოსავალი 1 ჰა სავარგულიდან.
- E_r — კაპ. დაბანდების ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი.
- S — ფართობი მრავალწლიანი კულტურების გაშენებისათვის.



ამრიგად, თუ 1 ჰა ჩაის პლანტაციის გაშენებისათვის საჭიროა 3500 მანეთი, მაშინ აღებულ თანხას ემატება 500 მანეთი (1 ჰა-ზე) და 4000 მანეთი მიხედვით უნდა მოხდეს კაპიტალურ დაბანდებათა აბსოლუტური განსახლება. აღნიშნული წესით წმინდა შემოსავლის დანაკლისი არ მოგვაჩნია სწორად, რადგან ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული დამატებითი სახსრების გამონახვის შესაძლებლობა და ის გარემოება, რომ კაპიტალური დაბანდებაში მრავალწლიან ნარგავებში დიდი ხნის შემდეგ (2-8 წ.) იძლევიან უკუგებას.

მრავალწლიანი ნარგავების, როგორც ძირითადი საწარმოო ფონდებისა და როგორც სოფლის მეურნეობის დარგების ეფექტიანობის დონეზე დიდ გავლენას ახდენს მეჩხერიანობა. 1970-1972 წწ. მონაცემებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეჩხერიანობის გამო შემცირებულმა პროდუქციის ღირებულებამ 82 მილიონი მანეთი შეადგინა.⁶ მართალია, მრავალწლიან ნარგავებში მეჩხერიანობის ძირითადი მიზეზი ბიოლოგიურ-აგროტექნიკური ფაქტორებია, მაგრამ იგი ამავე დროს განხილული უნდა იქნეს, როგორც ძირითადი საწარმოო ფონდების შემადგენელი ნაწილის წარმოების პროცესიდან ნაადრევად გამოსვლა.

ცნობილია, რომ ძირითადი ფონდების შემადგენელი ნაწილის წარმოების პროცესიდან ნაადრევად გამოსვლის შემთხვევაში საჭიროა მათი დროულად აღდგენა, რაც ამორტიზაციის ფონდის სახსრებით ხორციელდება, ძირითადი ფონდების განახლების ეს წესი მეჩხერიანობით წყობიდან გამოსულ ნარგავებზე არ ვრცელდება, ე. ი. არ წარმოებს მეჩხერიანი ფართობის ახალი ძირებით შევსება, რაც შეეხება ამორტიზაციის სახსრების იმ ნაწილს, რომელიც რემონტისათვის არის გათვალისწინებული, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ დაზიანებული და არა მთლიანად წყობიდან გამოსული ნარგავების აღდგენისათვის.

ჩვენი წინადადებით მრავალწლიან ნარგავებში მეჩხერიანობის დროულად ლიკვიდაციის მიზნით ამორტიზაციის ფონდიდან უნდა გამოიყოს სპეციალური ფონდი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მეჩხერიანობის დროულად ლიკვიდაციას და ადგილი აღარ ექნება დანაკარგებს წლების მანძილზე მიწის მოკლებული ფართობით გამოწვეული შემცირებული მოსავლიანობის გამო.

მრავალწლიანი კულტურების ნარგავობათა ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალიზაციასა და წარმოების კონცენტრაციის ღონის ამაღლებას. მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რაც ამ მიმართებით იქნა ჩატარებული რესპუბლიკაში, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონების გამოყოფა და სხვა, სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციის დონე, განსაკუთრებით მრავალწლიანი ნარგავების კონცენტრაცია, არ ჰასუბობს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ტექნიკის გამოყენებას, შრომის რაციონალურ ორგანიზაციას და დაბლა სევს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობის დონეს.

⁶ გაზეთი „კომუნისტი“. 19 დეკემბერი, 1973 წელი და გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 22 დეკემბერი, 1973 წელი.



რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მრავალწლიანი კულტურების (პარკა-
ბათა დაბალ კონცენტრაციაზე მეტყველებს ქვემოთ მოტანილი მონაცემები
1972 — 1975 წლების მონაცემებით საქართველოს სსრ კონცენტრაციის
მრავალწლიანი ნარგაობათა ფართობი საშუალოდ 130 ჰა უდრის, ხოლო მეჩაი-
ეობის, მევენახეობისა და მეხილეობის საწარმოო სპეციალიზაციის ისეთი რაი-
ონებს კოლმეურნეობებში, როგორცაა მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის,
ზესტაფონის, გორის, გურჯაანის და თელავის რაიონები. შესაბამისად 235,
244, 240, 129, 545, 466 ჰექტარს, ჯერჯერობით მხოლოდ ერთეული კოლმეურ-
ნეობებია, რომელთა მრავალწლიანთა ნარგაობის ფართობი 600—700 ჰა
უდრის. აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის
1972 — 1975 წლების მონაცემების ანალიზი ნათლად მეტყველებს იმაზე,
რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყველა მიჩვენებელი: შრომის
ნაყოფიერება, ფონდუყუება, რენტაბელობის დონე, მოგების ნორმა და პრო-
დუქციის წარმოების დონე 100 ჰა სავარგულზე იმ რაიონებსა და კოლმეურ-
ნეობებში მნიშვნელოვნად მაღალია, რომლებშიც მრავალწლიანი ნარგაობის
ფართობი მეტია, რესპუბლიკისა და შესაბამისი რაიონების კოლმეურნეობების
მრავალწლიანი ნარგაობის საშუალო ფართობთან შედარებით (ცხრ. 1).

ცხრილი 1

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მიჩვენებლები
მრავალწლიანი კულტურების ნარგაობათა კონცენტრაციის დონის მიხედვით
(საშუალოდ 1972 — 1975 წწ)

მ. რ. ბ. №	რაიონი	მრავალწლიანი ნარგაობის ფართობი ჰა	საშუალოდ ნარგაობის სედიმენტის პროცენტული ფონდები %	შრომის ნაყოფიერება 1 კ. ჰა-ზე, მტ.	ფონდუყუება, მტ.	რენტაბელობის დონე %	მოგების ნორმა, %	შრომის პროდუქტი, 100 ჰა სავარგულზე, მტ.
1	საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში	130	28	5,5	0,5	12	19	22,0
2	მახარაძის რაიონი	235	54	7,5	0,6	22	31	130,0
3	ქობულეთი	240	58	8,3	0,6	18	34	165,0
4	ზუგდიდი	244	47	7,2	0,6	21	32	94,0
5	გორი	545	44	6,9	0,5	14	16	34,0
6	გურჯაანი	2,8	30	6,4	0,5	10	12	18,0
7	თელავი	540	55	5,5	0,7	24	28	48,0
8	თელავის რაიონი	466	62	8,4	0,7	19	26	38,0
9	ზესტაფონი	120	48	3,2	0,4	4	6	21,0

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ კოლმეურნეო-
ბების საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის დონე დიდად არის დამო-
კიდებული მრავალწლიანი ნარგაობის კონცენტრაციაზე, როგორც ფართობის,
რეს ძირითადი ფონდების შედგენილობაში მათი ხვედრითი წილის მიხედვით.
ამიტომ საქართველოს სსრ მრავალწლიანი ნარგაობათა მიმართულების
კოლმეურნეობების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მრავალწლიანი კულტურე-

ბის წარგობის კონცენტრაციის გაღვივება და ამ საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება.



К. А. МИРОТАДЗЕ.

РЕКОМЕНДАЦИИ О ПОВЫШЕНИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ МНОГОЛЕТНИХ НАСАЖДЕНИЙ

Резюме

Многолетние насаждения, как основные производственные фонды, по характеру формирования и использования значительно различаются от других фондов сельского хозяйства.

В связи с этим, в работе обосновываются ряд рекомендаций, применение в хозяйственной практике которых будут способствовать повышению экономической эффективности многолетних насаждений.

Среди этих рекомендаций следует отметить:

— определение производственных издержек выращивания и формирования многолетних насаждений в основные производственные фонды, а также определение балансовой стоимости 1 га насаждения, временное сокращение доходов, связанное с отведением сельскохозяйственных угодий для их выращивания (до вступления многолетних насаждений в полное плодоношение), надо рассматривать как затраты, и в объеме ранне полученных от этих угодий чистого дохода включать в общие затраты выращивания и формирования многолетних насаждений в основные производственные фонды;

— создание в колхозах специального денежного фонда для своевременной ликвидации изреженности многолетних насаждений;

— внесение некоторых коррективов в методику определения фондовооруженного труда и фондообеспеченности сельскохозяйственных угодий в хозяйствах с большим удельным весом (более 20%) многолетних насаждений в основных производственных фондах;

— о путях совершенствования специализации и повышения уровня концентрации многолетних насаждений в колхозах республики.



ი. ჯაფარიძე

ხარისხობრივი განვითარებისათვის პროდუქტის უზრუნველყოფის საკითხი სოფლის მეურნეობაში

ჩვენი ქვეყნის მზარდი მოსახლეობის კიდევ უფრო მზარდი მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყოველთვის შეადგენდა პარტიისა და მთავრობის სისტემატური ზრუნვის საგანს. რისთვისაც შესაბამის ღონისძიებათა მთელი სისტემა იქნა დამუშავებული და განხორციელებული საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე — სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და საქმიანობის ყველა სფეროში. დასახული და განხორციელებული მწყობრი ღონისძიებათა კომპლექსი თავის ყველაზე რეალურ, მკაფიო გამოხატულებას ნახულობს უკვე კანონზომიერად ქცეულ, ჩვენს ხუთწლეულებში — მათი შესრულების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების სახით.

სახალხო მეურნეობის გეგმავლობითი და პროპორციული განვითარების კანონის მოქმედებიდან გამომდინარე თითოეული ხუთწლეუდი და მისი შესრულება წარმოადგენს ერთგვარ რგოლს ჩვენი გეგმიანობის საერთო სისტემაში და ამავ დროს — გამოსავალ საწყის და საფუძველს შემდგომი პერსპექტიული გეგმის შედგენა-განხორციელებისათვის: ურბოვ. მეცხრე (1971—1975 წწ.) ხუთწლეულის წარმატებით შესრულებამ — ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ყველა სინთეზური მაჩვენებლების ამაღლებამ შექმნა მტკიცე მეცნიერული და პრაქტიკული წინამძღვრები იმ გრანდიოზული ამოცანების წამოსაყენებლად, რომლებიც ასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“. ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა და ფართოდ გამოეხმაურა მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა და ის გადაიქცა საყოველთაო-სახალხო განხილვის საგნად — მისი რეზოლუციის გასცილდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მრავალი საყურადღებო მოსაზრება, წინადადება იყო წამოყენებული ჩვენს პრესაში გეგმის სრულყოფის თვალსაზრისით, ახალი რეზერვების გამოვლინების შედეგად. XXV ყრილობა გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად.



სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ის ქვეშააღნიშნულთა მნიშვნელოვანი გარემოება, რომ შეათე ხუთწლელი, როგორც ეს ხანჯასშით აღნიშნულია დასახელებულ დოკუმენტში, არის არსებითად ეფექტურობის და ხარისხის ხუთწლელი — მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის პრობლემის ხუთწლელი ჩვენს სახალხო მეურნეობაში მატერიალური და სულიერი საქმიანობის ყველა სფეროში.

შეათე ხუთწლელის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კერძის თანმიმდევრული განხორციელება. აღნიშნულია ამ ისტორიული მნიშვნელობის სახელმძღვანელო დოკუმენტში, რომლის რეალიზაციისათვის ბრძოლა ყველა მშრომელს — მუშის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანას და მოვალეობას შეადგენს.

ამ ფართო ამოცანის სახელმწიფოებრივი მასშტაბით დაყენება და გადამწყვეტა სავსებით შეესატყვისება ჩვენი ეკონომიკის და კულტურის განვითარების თანამედროვე დონეს — წინა ხუთწლედების, განსაკუთრებით მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მატერიალური და სულიერი მიღწევულ დონეს — განვითარებული სოციალიზმის ეტაპს.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის წინაშე, რომლის წარმატებით განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების წევრების მუდმივი მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება — და ამდენადვე მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა — დგას მეტად რთული, პასუხსაგები და საპატიო ამოცანები: სოფლის მეურნეობის შემდგომი, თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნეს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდა — შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდებისა და პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მინიმალური დანახარჯების პირობებში.

სსრკ-ის მასშტაბით დაყენებული ეს ამოცანა თავისი კონკრეტული გამოვლინების ფორმას ნახულობს მოკავშირე რესპუბლიკებში, კერძოდ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში — მისი მაღალხარისხიანი პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდაში, რომელსაც სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს და ამდენადვე ნაკლებად იქნეს დამოკიდებული ბუნებრივ პირობათა ცვალებადობასა და მერყეობაზე. რამდენად სრულყოფილია სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემა, იმდენად უფრო მეტად უზრუნველყოფილია მაღალი და მყარი მოსავლიანობა, პროდუქტიულობა და ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამე-



ურნეო დარგისა და მთლიანად მეურნეობის რენტაბელობის მზარდი დონე-
ბუნების სტიქიისადმი კლებადი დამოკიდებულების ტენდენცია **ტენდენცია**
ბულია სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესთან.

ბიზლიმოსეკა

ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის არძოლა საერთოდ და კერძოდ სოფ-
ლის მეურნეობაში, შეიძლება ითქვას, თანაბრად ხელსაყრელია როგორც სა-
ზოგადოებისათვის მთლიანად, ისე მისი ცალკე წევრისათვის, მწარმოებლისა-
თვის, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ცალკე საწარმოო ერთეულებისა-
თვის — კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობების მათი გაერთიანებათა,
თუ სხვა სახით. პირველი იღებს მაღალხარისხოვან, სრულფასოვან პროდუქ-
ციას, ხოლო მეორე — გაწეული შრომის უფრო მაღალ ანაზღაურებას, ამდენ-
ადვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა, განსაკუთრე-
ვით განვითარების თანაპედროვე საფეხურზე მტკიცედ უნდა იქნეს დაკავში-
რებული პროდუქციის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან. მოსავლიანობასა და
პროდუქტიულობაში, როგორც სოფლის მეურნეობის დონის მთავარ მაჩვენებ-
ლებში, შერწყმული უნდა იქნეს მზარდი რაოდენობა და ხარისხი ამ უკანასკ-
ნელზე აქცენტირების მიმართულებით.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპი საჭიროებს მაღალხარისხოვან პრო-
დუქციის მასობრივად წარმოებას, ამ წარმოების პროცესის უკველ რგოლსა
და საფეხურზე, ეს გარემოება კი ხელს უწყობს მოსახლეობის კვების სტრუქ-
ტურის გაუმჯობესებას, რაც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მეტად
მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ხოლო კვების სტრუქტურის გაუმჯობესება სა-
ერთო პროგრესის მნიშვნელოვანი მხარეა¹.

არსებითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხ-
ში აკუმულირებულია მასზე მოქმედი ბიოლოგიური, ეკოლოგიური, ტექნიკური,
ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთდაკავშირებულ და
ურთიერთგაპირობებული ფაქტორთა წყება.

თავისთავად რთული, შედარებით ნაკლებად შეცნობილი ბიოლოგიური
ფაქტორის მონაწილეობა, რომელიც შეიცავს ადამიანის ზემოქმედებისადმი-
დაუმორჩილებელ მთელ რიგ მოვლენებს და პროცესებს, უფრო მეტად ართუ-
ლებს და აძნელებს სოფლის მეურნეობაში მაღალი ეკონომიკური ეფექტის მა-
ღებას. ეს გარემოება კი პრაქტიკულად აყენებს ჩვენს წინაშე პრობლემას, ერთ-
მხრივ, ამ სირთულის დაძლევისა სხვა ფაქტორთა ინტენსიურად გამოყენებით
და, მეორე მხრივ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებისა ბიოლოგი-
ური მოვლენების გაღრმავებულად და ფართოდ შესწავლის მიმართულებით.
შედეგად — მიღწეული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის წარმოებაზე მოქ-

¹ ჩვეულებრივად პროდუქციის, ამ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის,
ხარისხის ცნებაში იგულისხმება ნიშანთა და თვისებების წყება, რომელიც განაპირობებს მო-
ცემული პროდუქციის ვარგისიანობას გარკვეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მისი
დანიშნულების შესაბამისად, ხოლო პროდუქციის წყება, მისი ნიშნები თავის კონკრეტულ
გამოხატულებას, როგორც წესი, მიღებულ სტანდარტებში, კონდიციებში ნახულობს.



მედი ბუნებრივი პირობების გავლენის მნიშვნელოვანი შემცირება და კვანძის წარმართველი როლის გაძლიერება.

სწორედ ჩვენი საუკუნის 50 წლებიდან ფართოდ განვიტარებთ სპეციალურ ნეორო-ტექნიკური პროგრესი (რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრებისა და ციხისთან არის დაკავშირებული და რიგ შემთხვევაში ამ ორ ცნებას კიდევ აიგივებს), სოფლის მეურნეობის წარმოებაში მიზნად ისახავს აქამდე „საიდუმლოებით“ მოცული მთელი რიგი მოვლენების შეცნობას და მის ადამიანის სამსახურში ჩაყენებას. ამ მიზანსწრაფვამ კი საბოლოოდ უნდა გამოიწვიოს პროდუქციის ხარისხის მართვა საწარმოო პროცესის თვითივე სტადიასა და დონეზე.

ფიქრობთ, არ შეიძლება თუ ვიტყვი, რომ საწარმოო პროცესები სოფლის მეურნეობაში წარმოდგენენ მეტად რთულ სპეციფიკური ხასიათის ურთიერთკავშირს, ერთი მხრივ, ნიადაგში, მცენარესა და ცხოველის ორგანიზმში არსებული ბიოლოგიური პროცესებისა და მეორე მხრივ, მზარდი ტემპით გამოყენებული მანქანური ტექნიკის სამუშაო პროცესებისა, რომლებსაც მეცნიერების არსებული განვითარების შესაბამისად გარკვეული ძალით და ინტენსივობით ადამიანი წარმართავს. ადამიანის წარმართველი როლი იზრდება მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის მიხედვით, რასაც, რააკვირებულა, წინ უძღვის მოვლენების შეცნობა და მისი რაოდენობრივი და თვისობრივი მხარე, რაც განსაჯდობით რელიეფურია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მეცნიერება ძირითად, წამყვან საწარმოო ძალად გვიღივება ყველა დარგში, კერძოდ კი სოფლის მეურნეობაში. ამ მიმართულებით უდიდესი პერსპექტივები ისახება.

ამავე დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს კ. მარქსის მიერ მოცემული და ხაზგასმული სოფლის მეურნეობის წარმოების ის თავისებურება, რომ განსხვავებით სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან, სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი და სამუშაო პერიოდი დროის ხანგრძლივობის მიხედვით დამორბეულია ერთმანეთისაგან, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური ხასიათის ხარისხობრივ, სინთეზურ მაჩვენებლებზე (წარმოებული პროდუქციის მასა დროის ერთეულში, თვითღირებულება, მოგება და სხვა) და საერთოდ, ეკონომიკისა და ორგანიზაციის მთელ რიგ პრობლემებზე სოფლის მეურნეობაში.

ბუნებრივი და ბიოლოგიური ფაქტორების დროსა და სივრცეში განსხვავებულად წარმოდგენილი თავისებურებათა წყება (ტერიტორია, როგორც, მთავარი საწარმოო საშუალება—მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკით, კლიმატური პირობები, ექსპოზიცია, ვერტიკალური ზონალობა და სხვ.) გარკვეულ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათზე, მისი საწარმოო ტიპის ფორმირებაზე, პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.² ამ გავლენას ძირითადად შემზღუდველობითი ხასიათი აქვს, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი, ახდენს რა განსხვავებულ გავლენას.

² ამ გარემოებაზე ჯერ კიდევ რუსული სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების კორიფეხე ვ. დოკუჩაევი და პ. კოსტიჩევი მიუთითებდნენ გასულ საუკუნის მიწურულში.



ლენას, ჩვენს ამოცანას, განსაკუთრებით დღევანდელ პერიოდში — საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის რევოლუციის ეპოქაში. შეადგენს ამ ფაქტორებს უოველმხრივი შესწავლა, გამოვლინება კონკრეტული პირობების განვითარების წინებით და რეალურ ღონისძიებათა დასახვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის და მოცულობის დასადგენად.

სასოფლო-სამეურნეო მოვლენების ღრმად შესწავლა და მის საფუძველზე გარკვეული კანონზომიერების დადგენა, გულისხმობს ამ მოვლენაზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსურ შესწავლას. ვინაიდან ეს უკანასკნელი (მოქმედი ფაქტორები) არ წარმოადგენენ ცალ-ცალკე აღებული ფაქტორების გავლენის არითმეტიკულ ჯამს, ხოლო ფაქტორთა სიმრავლის მიხედვით იზრდება მოვლენათა შესწავლის სირთულე, ასეთ შემთხვევაში მათემატიკური მეთოდების და გამოთვლილი ტექნიკის გამოყენებას განსაკუთრებულად ფართო საარბიელი ეძლევა.



ადამიანის საწარმოო საქმიანობის წარმართვას, ყოველგვარი პროდუქციის, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალხარისხობრივი მაჩვენებლების მისაღწევად, წინ უძღვის მოსამზადებელ სამუშაოთა, თუ საწარმოო პროცესის თანმიმდევრულად და მაღალხარისხობრივად შესრულება, ეს უკანასკნელი უნდა ემყარებოდეს ბიოლოგიურ, აგრონომიულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულს, რასაკვირველია, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით, მაგრამ არსებულ მიღწევებზე დაყრდნობა მთელ რიგ შემთხვევაში არ გამორიცხავს პროგნოზირების საჭიროებას. მეცნიერული პროგნოზირება მომავლის განჭვრეტის ერთ-ერთი საშუალებაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს შორეულ პერსპექტივებთან. სოფლის მეურნეობის დარგში პერსპექტიული დაგეგმვების საკითხთა წყება საკმაოდ მრავალრიცხოვანია, მათ შორის ისეთი საკითხი, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდისა და გაუმჯობესების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების პროგნოზირება (მთლიანობაში წარმოდგენილი). ასეთი ხასიათის საკითხებს ეკუთვნის ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი მრავალწლიანი ნარგავები და მათ საფუძველზე მეურნეობის წარმოების გარკვეული ტიპის ფორმირება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხასიათზე და მის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, ფაქტორთა მთელი წყება, სისტემა მოქმედებს, სახელდობრ: შრომის ხარისხი, ნიადაგის ნაყოფიერება (პროდუქტიულობა), თესლის და ცხოველის ჯიში, მეტეოროლოგიური პირობები, ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია — მასზე კულტურათა და დარგების განლაგება ექსპოზიციის გათვალისწინებით, წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის და ტექნოლოგიის დონე, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, ქიმიზაცია და, მასთან დაკავშირებით, მხამქიმიატების გამოყენება, პროდუქციის ხარისხის მართვა საწარმოო პრო-



ცესის თითოეულ სტადიაზე, სტანდარტიზაციის მოთხოვნებს და შრომის მაღალი ჰიჯენა, კონტროლის ორგანიზაცია კონტროლირებული პროცესებისა, შრომის მატერიალური და მორალური პირობები და სხვ.

ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მოქმედ ფაქტორთა შორის არამეორებულად გან როლს ასრულებს თვით წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი სრულყოფა: მხედველობაში გვაქვს მეურნეობის, როგორც სპეციალიზაციის დონე და ხასიათი, ისე ქმედითი ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლებლობა — ძირითადი ფაქტორების ამოქმედების შედეგად მათი კოორდინაცია, რასაკვირველია, დასახელებული ამოცანების გადაწყვეტა საჭიროებს წარმოების მაღალკვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფას და სისტემატურ ზრუნვას ამ მიმართულებით შემდგომი ამაღლებისათვის.

ყველა ამ ფაქტორის მოქმედება განხორციელებული უნდა იქნეს მთლიანობაში, ერთობლიობაში საწარმოო პროცესის ყველა სტადიაზე, ყველა რგოლზე, ე. ი. პროდუქტის წარმოების ყველა საფეხურზე. ამას მოითხოვს სოფლის მეურნეობის ის თავისებურება, რომ მხოლოდ ყველა ღონისძიების ჩატარება განუყოფნილ ვადებში უზრუნველყოფს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლის სისტემატურ გაუმჯობესებას. რასაკვირველია, ოპტიმატიზაციის პრინციპი ამ შემთხვევაშიც მტკიცედ უნდა იქნეს განხორციელებული.

მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი მჭიდროდაა დაკავშირებული რაოდენობრივ მაჩვენებლებთან და ამდენადვე, ას საჭიროებს და მოიცავს იმ ელემენტებისა და ფაქტორების საფუძვლიან ცოდნა-გამოყენებას, რომლებიც საბოლოოდ აპირობებენ პროდუქციის მაღალ ხარისხს.



როგორ გვესახება ჩვენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი, მისი სისტემატურად ამაღლების ამოცანა, გადაწყვეტის რაციონალური მიმართულება და გზები?

როგორც ვიცით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და მისი ხარისხი საწარმოო ციკლის თანმიმდევრობის მხრივ დასკვნითი—უქანასკნელი ეტაპია. ეს კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს წინამორბედ სამუშაოთა ციკლის მაღალხარისხოვნად შესრულებას, ვინაიდან არსებითად ისინი განაპირობებენ საბოლოოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეულ ხარისხს.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ყურადსაღებია, პირველ ყოვლისა, ისეთი საყოველთაო მნიშვნელობის ფაქტორი, როგორიცაა თვით შრომის პროცესის სწორად წარმართვა — შრომის ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა: თითოეული შრომითი პროცესის რაციონალური აგროტექნიკით და ზოოტექნიკით რეგლამენტებული წესით შესრულება უშუალოდ გავლენას ახდენს პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდასა და თვისობრივ გაუმჯობესებაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ შრომითი პროცესის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგში — მათი ორგანიზაციული და ტექნოლო-



გიური სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რამდენადაც ღრმად შევეცნობო ამ სპეციფიკურობას, იმდენად რეალური და ნაყოფიერი იქნება შედეგებიც. უნდა აღვნიშნავ, რომ ამ სპეციფიკურობას, იმდენად რეალური და ნაყოფიერი იქნება შედეგებიც. უნდა აღვნიშნავ, რომ ამ სპეციფიკურობას, იმდენად რეალური და ნაყოფიერი იქნება შედეგებიც.

ფაქტორთა დასახელებული კომპლექსიდან ჩვენ გვინდა გამოვყოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები და მასთან დაკავშირებით, შრომის ანაზღაურების სრულყოფის ამოცანა, რომლის სწორად გადაწყვეტა ღირს გავლენას ახდენს, განსაკუთრებით განვითარების დღევანდელ საფეხურზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან ერთად ხარისხობრივ მხარეზე.

შრომის ორგანიზაცია ფართო გაგებით მოიცავს მომუშავეთა შერჩევას, განაწილებასთან ერთად, მათ რაციონალურ გამოყენებას, ნორმირებას და ანაზღაურებას, რის შედეგადაც უნდა შეიქმნას ჯანსაღი, მატერიალური და მორალური სტიმული მეურნეობაში არსებული (მიმდინარე) საწარმოო პროცესების რაციონალური ორგანიზაციისათვის, მისი სრულყოფისათვის და, მასთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში მეურნეობისა და მისი ცალკე დარგების მაღალ ორენტებლობისათვის, ანაზღაურების დარგში ყველაზე გამართლებულ პრინციპად მიჩნეული უნდა იქნეს შრომის ანაზღაურება წარმოებული საბოლოო პროდუქციასთან მკიდრო კავშირში, ე. ი. ანაზღაურების დონე, როგორც წესი, უნდა განისაზღვროს მიღებული პროდუქციის (მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის) სიდიდის მიხედვით, ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით.

აქ მხედველობაში გვაქვს მეურნეობის ყველა კატეგორიის მუშაკი—სპეციალისტებისა და ხელმძღვანელ მუშაკთა ჩათვლით.³

მთლიანი და სასაქონლო პროდუქცია საკმაოდ სრულად ასახავს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და, მასთან დაკავშირებით, მეურნეობის საწარმოო მიმართულებას. აგრეთვე წარმოების მოცულობას და, მასთან დაკავშირებით, მეურნეობის და ცალკე დარგების სიდიდეს; მაგრამ ორივე ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი ნაკლებად ასახავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივ მხარეს, ეს ტენდენცია არა მარტო ჩვენი ეკონომიკის განვითარების ახალი, აღმავალი მაჩვენებლის, ის გარკვეულ ნაწილში საერთო კულტურის ზრდის ამსახველია, მართალია, სასაქონლო პროდუქცია თავისი შინაარსით გარკვეულ ნაწილში, ხარისხობრივი მაჩვენებელიცაა, ვინაიდან სარეალიზაციოდ ვანუთენილი პროდუქციის არსებობა, როგორც წესი, გულისხმობს ხარისხის გარკვეულ დონესაც — ის მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნილებათა სტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ, რომლის ერთ-ერთი ელემენტია კვების, ულუფის სტრუქტურის გაუმჯობესება, მომავალში — მათე, და შემდგომი ხუთწლეულების მიხედვით განუხრელად გაიზრდება, გაში-

³ ეს საკითხი ამ უკანასკნელ პერიოდში იმდენად აქტუალური ხდება, რომ რიგი ცალკე შრომები სპეციალურად მიეძღვნა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ანაზღაურების საკითხებს. ზოგჯერ იგი საკვალეფიკაციო-სადოქტორო თემად არის გამოჩნული, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მეცნიერული მუშაობის გაღრმავება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რაც დაკავშირებული უნდა იქნეს ჩვენი მდიდარი პრაქტიკის შემოქმედებით გამოყენებასა და განზოგადებასთან.



ნაარსიანდება მოსახლეობის მოთხოვნილება, ამას მოითხოვს პროცესის, აღმავლობის, ვარდუეალო ლოგიკა. ჩვენ კვლავ უნდა გავიხსენოთ რეკონსტრუქცია, რომ საბოლოო პროდუქციის, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები უშუალოდ გამომდინარეობს სამუშაოთა იმ ციკლის ასევე ხარისხივანად შესრულების აუცილებლობიდან, რომელიც წინ უძღვის ფართო სამომხმარებლოდ განკუთვნილი პროდუქციის მიღებას.

ამდენადვე მუშაობის თითოეული სტადიის ხარისხი განაპირობებს საბოლოო მაღალხარისხობრივ მაჩვენებელს, თუ ეს ტენდენცია — ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება — საერთო ტენდენციაა, ის ვრცელდება სოფლის მეურნეობაზე, როგორც მატერიალური ღირებულების შემქმნელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგზე. ამ უკანასკნელში ამ საერთო ტენდენციას, როგორც აღვნიშნეთ, ართულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში ბიოლოგიური ფაქტორების ზეგავლენა, რომლებიც შედარებით ნაკლებად ემორჩილება ადამიანის შეგნებულ ზემოქმედებას. თუმცა ჩვენს ამოცანას შეადგენს ამ პროცესის წარმართვა ჩვენი მიზანდასახულობის მიხედვით, მათი ბიოლოგიური, საიდუმლოების გამოცნობა და აღქმა მეცნიერების განვითარების საფუძველზე. ამ მიმართულებით კი პროგრესის განუხსაზღვრელი პერსპექტივები ისახება ადამიანის წინაშე.

აქედან გამომდინარე, ჩვენს წინაშე დაყენებულია მეტად აქტუალური საკითხი — გამოინახოს და დადგინდეს მატერიალური და მორალური ხასიათის სტაბილუმი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს მისწრაფებას — მივაწოდოთ მომხმარებელს მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მნიშვნელოვანად გავაუმჯობესოთ მისი დღევანდელი კვების სტრუქტურა და უკეთ დაეკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი.

ამდენადვე, შრომის ორგანიზაციის მთელი სისტემა, პირველ ყოვლისა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მომუშავეთა შრომის ანაზღაურება მიმართული უნდა იქნეს ამ საპატიო ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე დგას საკითხი **იმ ცვლილებების ხასიათისა და მიმართულების შესახებ**, რომლებიც ხდება საბოლოოდ მომხმარებლისათვის განკუთვნილ პროდუქციაში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ისეთი მობილური და მძლავრი ფაქტორის გავლენით, როგორცაა სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, იქნება ეს უკანასკნელი მიმართული მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გაზიდებისაკენ, თუ სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ინტენსიფიკაციის თანმიმდევრული ზრდის მიხედვით, რომელსაც მუდმივი ხასიათი აქვს, განსაკუთრებით იზრდება ამ პროცესის შემადგენელი რგოლის სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მნიშვნელობა, რომელიც ქიმიურ საშუალებათა უდიდესი რაოდენობის გამოყენებას ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში. საკმარისია აღვნიშნოს, რომ სსრკ-ის მასშტაბით 1980 წლისათვის სოფ-



ლის მეურნეობისათვის მხოლოდ მინერალური სასუქების სახით გათვალისწინებულია 115 მილიონი ტონა, ხოლო მეცნარეთა დაცვის ქიმიური სასუქების ბანი 628 000 ტონა (პირობით ერთეულებში), მათ შორის ქიმიური სასუქების 245 000 ტონა. ცხადია, სისტემატურად განხორციელებული ეს უპროცესად წინაშეწოდება ღონისძიება, რომელსაც მზარდი ხასიათი აქვს. იწვევს მოსავლიანობის და პროდუქტიულობის ზრდას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო ეფექტიურობის გადიდებას. მოსავლიანობის ზრდა გარკვეულ ნაწილში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს თვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვისობრივი მხარე. მისი კვებითი ღირებულება, ადამიანის ორგანიზმზე — მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამდენადვე საჭიროა გაძლიერებული ყურადღება მიექცეს სათანადო საკვლევი-სამეცნიერო ორგანიზაციების სახით მიღებული პროდუქციის ქიმიური შედგენილობის, მისი კვებითი ღირებულების ზედმიწევნით შესწავლას და საბოლოო გარკვევას: მხედველობაში გვაქვს ქიმიზაციის რეზულტატური მაჩვენებლები, იქნება ისინი გამოვლინებული მინერალური სასუქების გარკვეული სახით, თუ შხამქიმიკატების მეცნარეთა დაცვის მიზნით გამოყენება, რომლის შედეგად ქიმიურ ნივთიერებათა გარკვეულ ელემენტები გარკვეული ფორმით და სახით, უეჭველია გადადიან მზარდუქციაში და უარყოფით გავლენას ახდენენ როგორც გემოვნებით თვისებაზე, ისე, როგ შემთხვევაში, ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობაზე (მაგ., დღტ-ს გამოყენების მაგალითები სოფლის მეურნეობაში).

ვფიქრობ, ამ მიმართულებით აუცილებელია სერიოზული მუშაობის გაშლა, რომელიც უნდა ემყარებოდეს ღრმა და ფუნდამენტურ გამოკვლევებს. ამას გვიყარანხებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დღევანდელი და პროგნოზირებული მასშტაბები და ადამიანის — ამ ყველაზე ძვირფასი კაპიტალს — კეთილდღეობის ამოცანა. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების უკულებელყოფაში შეიძლება გამოიწვიოს მეტად უარყოფითი შედეგები — გავრცელებული მთელ თაობებზე: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საჭირო ნივთიერებათა შემცველ პროდუქციის წარმოებას, სათანადო შენახვას და მომხმარებლისათვის მოთხოვნილებათა მიხედვით მიწოდებას. ამ მალალი ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტილად უნდა იქნეს მიმართული ფუნდამენტური გამოკვლევები მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიის და მეცნიერების სხვა სფეროდან, რასაკვირველია, სათანადო ეკონომიკური ანალიზითა და განხორციელებით. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქა საჭიროებს და შესაძლებლობას ქმნის მოვლენების ღრმად და კომპლექსურად შესწავლას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მიმართულია მეტად მალალი ამოცანების რეალიზაციისაკენ.

პროდუქციის, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ცნება მოიცავს აგრეთვე ესთეტიკურ მხარეებსაც, რამაც შინაგან თვისებებთან ერთად უნდა გამოიწვიოს მომხმარებლის მიზიდვა. ფსიქოფიზიოლო-



გიური განწყობის შექმნა და გაძლიერება, რაც საქოხელმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნილებას შეადგენს.

ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა საჭიროებს **ერთიანი სისტემის** ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც წარმოადგენენ წინამძღვრებს დასახული ამოცანების სტაბილურობისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის¹.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემაში არა მეროხარისხოვანი ადგილი უჭირავს წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას. ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ძირითადი ფაქტორების ისეთი დაკავშირება და შეთანაწყობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის გაუმჯობესებას წარმოების ყველა საფეხურზე და მასთან დაკავშირებით, შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდას.

ინტენსიფიკაციის ზრდის პირობებში მხედველობიდან არ უნდა გამოგორჩეს ისეთი, ზოგჯერ უგულებელყოფილი პროცესი, როგორცაა რაციონალიზაცია და, მაშასადამე, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა სისტემის დამუშავება-განხორციელება, რომელიც, როგორც წესი, არავითარ ახალ დამატებით დანახარჯებს არ მოითხოვს და აჭიროებს მხოლოდ უკვე ცნობილი და პრაქტიკაში აპრობირებული ხერხების, წესების და ცოდნათა ჯამის გონივრულ გამოყენებას: არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების დროს უკვე ცნობილ აგროტექნიკურ და ზოოვეტერინარულ წესებზე დაყრდნობით შესაძლებელია მოსავლიანობის და შემოსავლიანობის მეტად მნიშვნელოვან ფარგლებში ზრდა, რასაკვირველია, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პირობებში. ეს კი ჩვენს სამეურნეო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ხშირად უგულებელყოფილია.

ამდენადვე ინტენსიფიკაციის პროცესი, როგორც სოფლის მეურნეობის უანეთარების მთავარი ხაზი, მიმართულება, არ გამოირჩევა რაციონალიზაციას, პირიქით. სწორად გაგებულ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია უნდა მოიცავდეს რაციონალიზაციის, როგორც აუცილებელ წინაპირობას და თანხლებულ პროცესს².

¹ მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორად ორგანიზებული პერსპექტიული და ოპერატიული დაგეგმვა, მეურნეობის ორგანიზაციული და საწარმოო სტრუქტურის სრულყოფა და ამასთან დაკავშირებით, გონივრული სპეციალიზაციის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის მატერიალურ საშუალებათა და შრომითი-რესურსების რაციონალურ გამოყენებას-წარმოების ყოველგვარი სპეციალიზაციის ფორმის და დონის მიზანშეწონილობის მთავარ კრიტერიუმს უნდა შეადგენდეს ძირითად საწარმოო საშუალებათა, განსაკუთრებით ტვიტორიისა და სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება. ხოლო ამ უკანასკნელმა თავის საბოლოო გამოხატულება უნდა ნახოს ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან მაჩვენებელში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთობლივი შრომატევადობა, ამ უკანასკნელის ზედრითი წონის შემცირების ტენდენციით, მაგრამ ეს საკითხი ცალკე, სპეციალური განხილვის საგანს შეადგენს.

² ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს აკადემიკოს თ. დავითაიას შ.ღალი ოპტიმიზმით გამსჭვალული სტატია „ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ზოგიერთი პრობლემა“ (გნ. „ეკონომისტი“ 1967, № 6), რომელიც საქართველოს სსრ ბუნებრივი რესურსების ანალიზისას სხვა მეტად მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე, მათ შორის კოლხიდის პრობლემებზე და რაც საინტერესო წინადადებას აყენებს, მათ შორის მთის მოსახლე-



როგორც აღვნიშნეთ, ხარისხობრივი მაჩვენებელსისათვის ბრძოლა თვისის
 ღებება მთელ კომპლექსს მოიცავს, რომელთანაც სოციალისტური ეკონომიკის
 პირობებში დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სტრუქტურის
 ღორმები, გარკვეულ ნაწილში, მათი საწარმოო სტრუქტურის სოფლის მეურნეობის
 ინტენსიფიკაციის თანმიმდევრული პროცესი და
 მის შედეგად — მეურნეობათაშორის გაერთიანებებისა და აგრარული-სამრე-
 წველო კომპლექსების განვითარება თავისთავად წარმოადგენს ხარისხობრივად
 ახალ ეტაპს. უფრო მაღალ საფეხურს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ-
 ეკონომიკურ ღორმირების და საწარმოო სტრუქტურის სრულქმნის საქმეში;
 მას, როგორც ცნობილია, სოციალისტური საკუთრების შემდგომი განვითარე-
 ბის ფალსაზრისით არამეორეხარისხობრივი მნიშვნელობა აქვს — საკოლ-
 მეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებაში გადაზრდის მზრივ.
 ამდენადვე ის დიდი სოციალური შინაარსის ძვრებთან არის დაკავშირებული.
 ისე უეჭველია, რომ განვითარების ამ მრავალწახნაგოვან პროცესში წარმო-
 იქმნება და დამუშავდება ახალი, უფრო რაციონალური სრულქმნილი ღორმები
 მეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო გაერთიანებებისა,
 ამ უკანასკნელზე აქცენტრებით. უეჭველია, ყოველგვარი მრავალწახნაგოვანი
 და ფართომასშტაბიანი ღონისძიებათა სისტემა, თანხლებული სირთულისა და
 სიმწელეთა გამო დიდ დაკვირვებას, მოვლენათა ყოველმზრივ შესწავლასა და
 თანმიმდევრულ მუშაობას მოითხოვს, რომლის დროს გამოირიცხული უნდა იქ-
 ნეს ეკუთრებული აქტრება და, რაც მთავარია, ადგილობრივი კონკრეტული
 პირობების უგულვებელყოფა და შეუფასებლობა. ამდენადვე ამ მიმართულებით
 დასახული ყოველი ღონისძიება მეცნიერულად, გამოცდილების გათვალისწი-
 ნებით უნდა იქნეს დამუშავებული და განხორციელებული. ეს ეხება, პირველ
 ყოვლისა, ისეთი საკვანძო მნიშვნელობის პირობემას, როგორცაა გარმავე-
 ბული სპეციალიზაცია, კონცენტრაცია, მათი ღორმები, ღონე, სოფლის მეურ-
 ნეობის მრავალფეროვან პირობებში, რომლითაც ესოდენ ხასიათდება საქარ-
 თველოს სოფლის მეურნეობა — მისი განუმეორებელი სტრუქტურითა და
 ღანდშაფტით.

გენერგეტიკა და გენერგეტიკული რესურსების გამოყენების ღორმა, ხასიათი,
 ღონე ყოველთვის იყო წამყვანი მაჩვენებელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგ-
 ში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში. ტექნიკის პროგრესის ერთ-ერთი მთავარი
 და მკაფიო გამოხატულებაა ცოცხალი და „წინანდელი შრომის“ გამოყენების
 ხასიათი, ღორმა და ხვედრითი წონა; კომპლექსური მექანიზაციისა და ფართო
 ელექტრიფიკაციასთან ერთად X ხუთწლედში ფართო პერსპექტივებია დასა-
 ხული ავტომატიზაციის დარგში, რამაც საბოლოო ჯამში უნდა მიგვიყვანოს
 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირველ ყოვლისა, შრომატევადობის

ობის დასაქმებისა და დამავრების საკითხზე, რომელიც ყველა მთიანი რაიონებისა, და კერ-
 ძოდ, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ საზრუნავ ამოცანას შეადგენს. ამ ამოცანების რეალი-
 ზაცია საბოლოო ჯამში ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდისაკენ არის მიმართული და ეჭვს
 ჯარეშა, ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო აღშავლობასთან ორგანულად არის დაკავში-
 რებული. სტატიაში ზოგიერთი საღისეუსით საკითხის არსებობა კიდევ მეტად ზრდის ინტე-
 რესს მისდამი.



სისტემატურ შემცირებამდე; ეს უკანასკნელი კი უშუალოდ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდასთან სოციალისტურ რევოლუციის რეობაში. მის ცალკე საწარმოებში.

ყოველი საკითხის, მით უფრო კარდინალური პრობლემის გადაწყვეტის სპეციფიკური პირობების გათვალისწინება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სინამდვილეში, წარმატების აუცილებელი პირობაა. თუნდაც სოფლის მეურნეობის წარმოების ისეთ სპეციფიკას. დაკავშირებულს მიწის როგორც მთავარი საწარმოო საშუალების გამოყენებასთან, მივყავართ სოფლის მეურნეობაში შრომის ენერგოშეიარაღების პროგრესულად გაძლიერების საჭიროებამდე. ვინაიდან მოძრავი საწარმოო საშუალებათა სიმძლავრის 30%-მდე აგრეთვე ტვიტადანაცვლებაზე იხარჯება. მხოლოდ ეს სპეციფიკა იწვევს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის მთელი რიგი პრობლემების განსხვავებულ სიბრტყეში დაყენებასა და გადაწყვეტას.

Н. Л. ДЖАШИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ БОРЬБЫ ЗА ВЫСОКИЕ КАЧЕСТВЕННЫЕ ПОКАЗАТЕЛИ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ

Резюме

Исходя из величественных задач, поставленных XXV съездом КПСС перед народным хозяйством страны в X пятилетке, мы в настоящей статье задались целью осветить некоторые аспекты весьма актуальной и сложной проблемы — борьбы за высокие качественные показатели в такой жизненноважной отрасли материального производства, каким является наше мно огранное социалистическое сельское хозяйство.

Вполне закономерным является то обстоятельство, что проблема высоких качественных показателей, в столь широком масштабе, была выдвинута в X пятилетке, ибо для этого существовали реальные предпосылки, созданные в результате успешного выполнения планов предыдущих пятилеток, особенно последних двух — достигнутого уровня в экономической и культурной жизни советского народа.

Борьба за высокую эффективность и качество продукции, в частности, сельскохозяйственной, является по существу синтетической, комплексной проблемой, включающей значительный круг отдельных взаимосвязанных и взаимообуславливаемых вопросов, отдельные звенья которых должны быть выполнены качественно и в определенной строгой последовательности, продиктованной требованиями высокой культурой земледелия и рациональной системой ведения сельского хозяйства в целом — при соблюдении отраслевых и внутриотраслевых пропорций, обеспечивающих углубление специализации и концентрации производства и, в свя-



зи с этим, рациональное сочетание основных факторов и элементов как в пределах социалистических предприятий, так и во всем сельском хозяйстве, в тесной увязке с общенароднохозяйственными задачами, начиная с ускорения оборота процессов воспроизводства.

Достижения в деле улучшения качественных показателей конечной продукции в сельском хозяйстве нам мыслится как непрерывная цепь системы мероприятий, начиная от первых стадий организации трудового процесса в растениеводческих и животноводческих отраслях и кончая получением высококачественной продукции, широко используя соответствующие формы и методы материального и морального стимулирования всех категорий работников, непосредственно участвующих в производственном процессе.

В борьбе за высокие качественные показатели в сельскохозяйственном производстве все более в возрастающей мере должен быть применен и широко осуществлен стержневой принцип организации производства — правильного сочетания всех процессов и элементов производства на всех стадиях его развития и совершенствования.

Вместе с тем, рост урожайности и продуктивности, являясь главными качественными показателями, должен быть достигнут с учетом, в первую очередь, влияния получаемой продукции на улучшение структуры питания и соответствующего воздействия на живой организм, а также с. х. сырья для дальнейшей переработки, что, в свою очередь, диктует необходимость интенсивного, углубленного, комплексного изучения как с экономической, агротехнической (в широком смысле этого слова) так и биологической, физиологической и др. точек зрения, с учетом влияния намечаемых и проводимых мероприятий на природную среду.

В связи с ростом качественных показателей в сельскохозяйственном производстве наряду с основным направлением развития — интенсификации его, следует усилить внимание вопросам рационализации.



ბ. მახარაძე

აგარაული ურთიერთობები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში

წარმოებით ურთიერთობათა სისტემა ფართო მცნებაა და წარმოების საზოგადოებრივი მხარის — წარმოებით ურთიერთობების მრავალ ერთი-მეორისადმი კავშირურთიერთობაში მყოფ ურთიერთობებს მოიცავს. წარმოებით ურთიერთობათა ერთობლივი სისტემა ყოველი ეკონომიკური ფორმაციის შიგნით წარმოდგენილია წარმოების საშუალებების მესაკუთრე კლასებისა თუ ამ უკანასკნელის საკუთრებას მოკლებული კლასების ურთიერთობებით. ჩვენს პირობებში, განსხვავებით კაპიტალიზმისაგან, ეს ურთიერთობანი ორი მეგობრული კლასის — მეშათა და გლეხთა კლასის და ფენა ინტელიგენციის ურთიერთობით არის წარმოდგენილი. წარმოებითი ურთიერთობები სოციალისტურ საზოგადოებაში ორივე კლასისა და ფენა ინტელიგენციის ერთობლივია. მაგრამ ერთნაირი არ არის.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთსა და იმავე ფორმაციაში ერთი და იგივე კანონზომიერებით ვითარდება. მაგრამ ამ, ე. წ. ერთსა და იმავე კანონზომიერებაში მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებები არსებობენ. მაგ., კაპიტალიზმის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადადში წარმოდგენილია წერილ საქონელმწარმოებელთა სახით მაშინ, როდესაც მრეწველობა ძირითადადში მსხვილი მწარმოებლებით არის წარმოდგენილი. ჩვენს პირობებშიც წარმოების განზოგადების დონის მიხედვით მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ჯერჯერობით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამ განსხვავებას კი სოციალისტური საკუთრების ორ ფორმას შორის არსებული განსხვავება აპირობებს. ამასთან ერთად, აგარაული ურთიერთობის სპეციფიკა მჭიდროდ უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებს.

ყოველივე აღნიშნულის გამო, აგარაულმა ურთიერთობებმა ფორმაციების წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში სპეციალური ადგილი დაიმკვიდრა და დამოუკიდებელი კვლევის ობიექტი გახდა. დამოუკიდებელ შესწავლას საჭიროებს ის კანონზომიერებები, რაც დამახასიათებელია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარებისათვის და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ფორმაციების მიხედვით წარმოებით ურთიერთობათა სისტემის შესწავლისას ყურადღება გამახვილებულია მოცემული ფორმაციის წარმოებით ურთიერთობების თავისებურებებზე და ხასიათზე. ამ უკანასკნელით დგინდება წარ-



მოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საერთო კანონზომიერებათა და თავისებურებანი ფორმაციების მიხედვით. ხასიათი წარმოადგენს ერთობებისა.

საპარტიალო

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ კ. მარქსმა კაპიტალისტური წარმოებით ურთიერთობების საერთო კანონზომიერებათა შესწავლასთან ერთად სპეციალური შრომები უძღვნა აგრარულ ურთიერთობების საკითხებს, მაგ., კ. მარქსის კაპიტალის მესამე ტომის მეორე განყოფილებების XXXVII, XXXVIII, XXXIX, XL, XLI, XLII, XLIII, XLIV, XLV, XLVI და XLVII თავები უშუალოდ ეძღვნება კაპიტალისტური აგრარული ურთიერთობების, კერძოდ, მიწის რენტისა და მიწის თასის საკითხებს. ეს კი იმის შესახებ მეტყველებს, რომ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლივი სისტემიდან მარქსის მიერ გამოცალკევებულადაა აღებული და განალიზებული აგრარული ურთიერთობანი, ასევე სპეციალური შრომები მიუძღვნა ვ. ი. ლენინმა აგრარულ ურთიერთობათა საკითხებს, ვ. ი. ლენინის აგრარული შრომებიდან აღსანიშნავია „აგრარული საკითხი და მარქსის კრიტიკოსები“, „ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „პასუხსათო გადასახადების შესახებ“, „კოოპერაციის შესახებ“ და სხვ.

ვ. ი. ლენინის ამ შრომებმა ფასდაუდებელი როლი შეასრულეს მარქსისტული აგრარული თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეში. სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა ერთ-ერთი უმაღლესი ნაწილი მისი კოოპერაციული გეგმა, რომელიც სოფლად ძველი, ნახევრად ფეოდალური, ფეოდალური და კაპიტალისტური ურთიერთობებიდან ახალ სოციალისტურ ურთიერთობებზე გადასვლას გულისხმობს, ვ. ი. ლენინმა ეს გეგმა მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში დამუშავა და შექმნა, მაგრამ კონკრეტულად მოგვცა თავის ცნობილ ნაშრომებში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ და „კოოპერაციის შესახებ“. სწორედ კონკრეტულად ვ. ი. ლენინის ეს შრომები დაედო საფუძვლად სოციალისტური აგრარული ურთიერთობების მშენებლობას საბჭოთა კავშირში, ევროპის, აზიის, რიგი სხვა კონტინენტის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ვ. ი. ლენინის კოოპერაციულმა გეგმამ, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა ძლიერი შემოტევისა, განსაკუთრებით საყოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში, ჩვენს ქვეყანაში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, გაუძლო მკაცრ გამოცდას და სულ უფრო აფართოვებს თავისი გამოყენების არეალს, ახალ ვითარებაში მისი გამოყენება ხდება ახლებურად, შემოქმედებითად, მოცემული ქვეყნის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სოციალისტური აგრარული ურთიერთობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შემოქმედებითად დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა ი. ბ. სტალინმა. მისი აგრარული შრომებიდან აღსანიშნავია „აგრარული პოლიტიკის საკითხისათვის საბჭოთა კავშირში“, „კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის“, „თავბრუნდახვევა წარმატებები-საგან“, „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, „დიადი ვარდატეხის წელი“, „სკაენ-შირო კვ (ბ) XV ყრილობა“ (ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში



მ დეკემბერი), „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ და სხვ. ი. ბ. სტალინი არა მარტო სოციალისტური აგრარული ურთიერთობების თეორიული საკითხების ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარია, არამედ ურთიერთობათა შექმნის დიდი ორგანიზატორიცაა.

წვრილსაქონელმწარმოებელთა სოციალისტურ რელსებზე დაჯერებისა და დარწმუნების გზით გადაყვანა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ სოციალიზმის აშენებისა საერთო კანონზომიერებადაა აღიარებული, რაც მის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობაზე მეტყველებს. მაგრამ ამ უკანასკნელის საერთო კანონზომიერებად აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სოციალისტური აგრარული ურთიერთობების შექმნის გზები, ფორმები და ხერხები ერთნაირი იქნება სოციალიზმის მშენებელი ყველა ქვეყნისათვის, ანდა ქვეყნის შიგნით ყველა მხარის, ოლქის, რაიონისა და სოფლისათვის. აღნიშნულის შესახებ ამჟამად მეტყველებს სოციალისტური აგრარული ურთიერთობათა მშენებლობა საბჭოთა კავშირში და ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ცნობილია, რომ სოციალისტური აგრარული ურთიერთობების მშენებლობის საწყის აქტს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმოადგენდა მიწის სოციალისტური ნაციონალიზაცია, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში — აგრარული რეფორმები. ასევე ცნობილია, რომ სოციალისტური აგრარული ურთიერთობების შექმნის პროცესში კულაკობისათვის კოლმეურნეობებში შესვლა საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო ნაშინ, როდესაც რიგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მათ კოოპერატივებში ობიექტობდნენ, რაც სოფლად კლასობრივი ბრძოლის ნაყოფს სიმძაფრეზე მეტყველებს.

კითხვა იმდება, რა არის აგრარული ურთიერთობა და რა ტიპის აგრარულ ურთიერთობებზე იცნობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია?

აგრარული ურთიერთობა არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ადამიანებს შორის დაშვარებული ურთიერთობა, რომელთა ტიპები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ეკონომიური ფორმაციების მიხედვით. ე. ი. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიისათვის ცნობილია ხუთი განსხვავებული ტიპის აგრარული ურთიერთობა, აგრარულ ურთიერთობათა ტიპების ხასიათს განსაზღვრავენ საკუთრების ფორმები წარმოების საშუალებებზე, პირველ რიგში მიწაზე, რომელიც სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელოვანეს საწარმოო ძალას წარმოადგენს. ამავე დროს, მიწა შრომის საგანსაც წარმოადგენს.

ადამიანთა საზოგადოების ისტორია პირველყოფილ ადამიანთა მიერ მკენარეულთა ნაყოფის შეგროვებით, გარეულ ცხოველთა და ფრინველთა ნადირობით იწყება და თანდათანობით ჯერ მკენარეთა და ცხოველთა მოშენებაში ვადადის და შემდეგ უკვე მიწათმოქმედება და მეჯოგეობა დამოუკიდებელ დარგებად ვითარდებიან ხელოსნობასთან ერთად. ამრიგად, ადამიანთა საზოგადოების ისტორია ძირითადადში აგრარული ურთიერთობით იწყება და კაპიტალიზმამდე ეკონომიურ ფორმაციებში აგრარულ ურთიერთობებს წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში გაბატონებული ადგილი უჭირავს. მოსახლეო-



ბის დიდი ნაწილი ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რა თქმაობაშიც და შრომობს სოფელში. ეს კანონზომიერება არც დღეისათვისაა დაკარგული. მაგ., 1964 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა სულ 3240 მლნ. ადამიანს უდრიდა, აქედან ქალაქის მოსახლეობა 1042 მილიონს, ე. ი. 32%-მსოფლიოს ნაწილების მიხედვით ეს მაჩვენებლები შემდეგნაირად ნაწილდება: 1964 წლისათვის სულ ევროპაში ცხოვრობდა 619 მილიონი ადამიანი, აქედან ქალაქში — 310 მილიონი — 50%, აზიაში — 1886, 415 — 22%, აფრიკაში — 275,52 — 19%, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში — 264,182 — 64%, სამხრეთ ამერიკაში — 157,69 — 44%, აუსტრალიასა და ოკეანიაში — 19,14 — 72%.¹

ამრიგად, 1964 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი სოფლად ცხოვრობდა და ცხადია, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იყო დასაქმებული.

აგრარული ურთიერთობები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. არა მარტო ფორმაციების მიხედვით, არამედ ფორმაციების შიგნითაც არ არსებობენ ერთი ტიპის აგრარული ურთიერთობები. ეს ამჟამად ჩანს მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის პირობებში არსებული აგრარული ურთიერთობებიდან. მაგ., კაპიტალიზმის პირობებში არსებული აგრარული ურთიერთობები რუსეთში წარმოდგენილი იყო წერილსაქონელწარმოებელთა, კერძომესაკეთებელ კაპიტალისტთა და სახელმწიფო მასა უფროდ კაპიტალისტთა ეკონომიკური წყობით. ასევე არ შეიძლება სრულყოფილი გაიგივება ჩვენს პირობებში არსებული აგრარული ურთიერთობებისა, რომლებიც წარმოდგენილია წარმოების სამი სექტორით, სახელმწიფო, საკოლმეურნეო და პირადი, რომელთაგან პირველი ორი ერთტიპურია, მაგრამ ერთნაირი არ არის.

სოციალისტური აგრარული ურთიერთობა არის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში ადამიანებს შორის დამყარებული ურთიერთობანი. ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ურთიერთთანამშრომლობისა და ამხანაგური დამხმარების პრინციპები. წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ექსპლოატაციის არარსებობა, წარმოების განაწილებისა და გაცვლის გეგმური ხასიათი, აღნიშნულის საფუძველია წარმოების საშუალებებზე საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრება.

აგრარულ ურთიერთობათა ზოგადი კანონზომიერებანი პოლიტიკურა ეკონომიის საგანია და მათ სპეციალური თემები ეძღვნება მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიაში. აგრარული ურთიერთობის პრობლემებიდან კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ საკითხებს, როგორიცაა საკუთრების ფორმები წარმოების საშუალებებზე (პირველ რიგში მიწაზე), მიწის ფეოდალური და კაპიტალისტური რენტა, ამსოლუტური და დიფერენციული რენტა, დიფერენციული რენტა I და II, ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის კრიტიკა, მონოპოლიური რენტა, კაპიტალიზმის განვითარების გზები სოფლის მეურნეობაში, გლეხობის დიფერენციაცია.

¹ Мировая экономика, М., 1965, стр. 7.



დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის, წვრილგლეხური მეურნეობის სიმტკიცის ანტიმარქსისტული თეორიის კრიტიკა, სარენტული კრიტიკის ბანი სოციალიზმის დროს. ფაქტობრივად სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის და ა. შ. ამ პრობლემათა ზოგად თეორიულ ასპექტში შესწავლით არ ამოიწურება საკითხთა ის ფართო წრე, რომელსაც აგრარული ურთიერთობანი მოიცავს. ამიტომ კონკრეტული აგრარული საკითხების შესწავლას ემსახურება სპეციალური დარგობრივი დისციპლინები: სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია, შმი — სოფლის მეურნეობაში, მსოფლიოს სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა და ა. შ. აგრარულ ურთიერთობათა კონკრეტულ კანონზომიერებათა შესწავლა ცალკეული ქვეყნების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ისტორიული პერიოდების, ფორმაციებისა და წლების მიხედვით შესაძლებლობას იძლევა ღრმად ჩაუწვდეთ აგრარული საკითხების საიდუმლოებას, მის ყველა მხარესა და პროცესს და მეცნიერული კანონზომიერების საფუძველზე ავაგოთ მოცუნილი ქვეყნის აგრარული პოლიტიკა, რომელიც აუცილებლად შემოქმედდებიან უნდა იცვლებოდეს სივრცის, დროის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების მიხედვით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთიანი აგრარული პოლიტიკა მთელი ქვეყნისათვის სრულებითაც არ ნიშნავს ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, რაიონსა და სოფელში ერთნაირი საზომითა და ორგანიზაციული პრინციპებით მიუვდგეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და დაევიწყეთ ის ეროვნული, ისტორიული, ეკონომიკური და სხვა თავისებურებანი, რაც მათ გააჩნიათ, რომელთა გათვალისწინების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა.

სოციალისტური აგრარული ურთიერთობის პრობლემები ყოველთვის იყო, არის და იქნება სკკპ-სა და საბჭოთა მეურნეობის სერიოზული მსჯელობის საგანი. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველი დეკრეტი (1917 წ. 8 ნოემბერი) სწორედ აგრარული ურთიერთობების მოწესრიგების პრობლემას მიეძღვნა. ეს იყო დეკრეტი მიწების ნაციონალიზაციის შესახებ, რომელმაც ძველ აგრარულ ურთიერთობათა ახალი სოციალისტური აგრარული ურთიერთობებით შეცვლის საქმეში გადაწყვეტი როლი შეასრულა. სამხედრო კომუნისმის წლებში ქვეყნის აგრარული ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ პრინციპს სასურსათო გაწერა წარმოადგენდა, რაც ქვეყნის უაღრესად რთული მდგომარეობის შედეგად იყო შემოღებული. მაგრამ მან თუ ერთი მხრივ, დადებითი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და შეიარაღებული ძალების სურსათით მომარაგების საქმეში, მეორე მხრივ, უარყოფითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ჩაკლა გლეხთა ინტერესები ეწარმოებინათ აუცილებელ პროდუქტზე მეტი პროდუქცია, რადგან ქარბი პროდუქტი გაწერის გზით, საზღაურის გარეშე მიჰქონდა სახელმწიფოს, რომლის შედეგად მიწების ნაციონალიზაციის დადებითი შედეგები გლეხობისათვის ჯერ კიდევ შეუმჩნეველი იყო.

ამავე დროს სასურსათო გაწერა ხელს უშლიდა მრავალმილიონიანი გლეხობის სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩაბმას. საჭირო იყო სასურსათო გაწერის ახალი აგრარული პოლიტიკით შეცვლა. 1921 წლის მარტში შეიკრიბა



პარტიის X ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ, სასურსათო გაწერის სასურველად დამატებით შეცვლის შესახებ, რომელმაც გლეხობას უფლება მისცა სახალხის გადახდის შემდეგ ჰარბი პროდუქცია გაეყიდა. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას ძველი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის პირობებში, მაგ., 1923 წლისათვის ერთპიროვნული გლეხური მეურნეობათა ხვედრითი წილი ითელ მეურნეობებში კულაკურ მეურნეობასთან ერთად 87.59% შეადგინა, ხოლო ჯერ კიდევ მეტად სუსტი არტელებისა—12.5%. მეათე ყრილობის შემდეგ ყველაზე ფართო მსჯელობა აგრარულ ურთიერთობების პრობლემებზე გაიშალა პარტიის XV ყრილობაზე (1927 წელი), რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში კოლექტივიზაციის ყრილობის სახელწოდებითაა ცნობილი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, სოციალისტური აგრარული ურთიერთობების პრაქტიკულად შექმნის საქმეში ყველაზე მეტი გააქეთა, კონკრეტულად და ფართო მასშტაბით შეესხა ფრთები ვ. ი. ლენინის მიერ დამუშავებულ კოოპერაციულ გეგმას, სოციალისტური აგრარული ურთიერთობების პრობლემები, რომლებიც მოიცავენ მრწამსს საკუთრებასა და სარგებლობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფორმების (კატეგორიების), შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვებისა და ჩაბარებების, შესყიდვისა და ჩაბარებების ფასების, კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებასა და მათ შორის არსებული განსხვავების დაძლევას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაფინანსებისა და დაკრედიტების, აღრიცხვა-ანგარიშსწორების სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყენის, სპეციალიზაციისა და აგროსამრეწველო კომპლექსების, მშენებლობის და სხვა თანმიმდევრულად იხილება ჩვენი პარტიის ყრილობებსა და პლენუმებზე, სოციალისტური აგრარული ურთიერთობების შემდგომი სრულყოფის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმით და მისი შემდგომი პერიოდის სკკპ ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებით. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის ივნისში მიიღო დადგენილება — „სამეურნეობათა შორის კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ეს დადგენილება მიჩნეულია ლენინის კოოპერაციული გეგმის განვითარების ახალ ეტაპად, სოციალისტური აგრარული ურთიერთობის საკითხებს ფართოდ ეხმაურებიან ჩვენი პარტიისა და მთავრობის ლიდერები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ აგრარული ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემების დამუშავებაში. ამ პრობლემების დამუშავების საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ აგრეთვე ჩვენი ქვეყნების მეცნიერ ეკონომისტებს. მათ შრომებში ღრმამეცნიერულად, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან არის გაანალიზებული აგრარული ურთიერთობების ბევრი პრობლემა.



საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მრავალი სასწრაფო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ემსახურება აგრეთვე მრავალსაფეხოვანი ერთობების შესწავლას. მარტო საქართველოს სსრ-ში ორი სასწრაფო ინსტიტუტი და ჩამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სწავლობს აგრეთვე ურთიერთობებსა კანონზომიერებებს.

სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში საერთოდ დიდია აგრარულ ურთიერთობათა ხვედრითი წონა. მაგრამ ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა არ შეიძლება ერთნაირი იყოს სოციალისტური ბანაყის ცალკეულ ქვეყანაში. მაგ., საქართველოს სსრ წარმოების ურთიერთობათა სისტემაში აგრარული ურთიერთობების ხვედრითი წონა და მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე მთელი კავშირის მასშტაბით. აღნიშნულის შესახებ, ჩვენი აზრით, ნათლად მეტყველებს ეროვნულ შემოსავალში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის ხვედრითი წონა კავშირისა და რესპუბლიკის მიხედვით.

ეროვნული შემოსავალი დარგების მიხედვით 1973 წლისათვის²

ეროვნული შემოსავლის სეკტორი	სსრ კავშირი		საქ. სსრ	
	მლნ. მან. 327,2	% 100	მლნ. მან. 4502	% 100
მათ შორის				
მრეწველობაში	172,9	51,3	1978	43,9
სოფლის მეურნეობაში	68,4	20,3	1344	29,9
ტრანსპორტსა და კავშირებში ლობაში, მრეწველობაში	17,8	5,9	153	3,5
გეოლოგიაში, ენერჯეტიკაში, საგანმანათლებლო მომსახურებაში და სხვ.	76,1	10,7	447	9,9
საბჭოთა კავშირის წარმოების ურთიერთობათა სისტემაში აგრარული ურთიერთობის ადგილისა და როლის ანალიზისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობას. მაგ., საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მისი თანამედროვე საზღვრების მიხედვით თუ 1913 წელს შეადგენდა 159,2 მლნ. ადამიანს. მათ შორის ქალაქის მოსახლეობა უდრიდა 28,1 მლნ., ე. ი. 17,6% ³ . ხოლო სოფლის — 131,1 მლნ. ე. ი. 82,4% ⁴ . 1920 წლისათვის ეს მაჩვენებლები შემდეგნაირ სურათს იძლევა: მთელი მოსახლეობა უდრის 136,8 მლნ. ე. ი. შემცირდა 22,4 მლნ.-ით, მათ შორის ქალაქის				

საბჭოთა კავშირში მრეწველობის წილი ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წონაში 1973 წელს 1962 წელთან შედარებით მხოლოდ 0,9% გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის 2,0% შემცირდა.

ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წონა შედარებით მალაღია აზრის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ხოლო ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ალბანეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში.

ჩვენი ქვეყნის წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში აგრარული ურთიერთობის ადგილისა და როლის ანალიზისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობას. მაგ., საბჭოთა კავშირის მოსახლეობა მისი თანამედროვე საზღვრების მიხედვით თუ 1913 წელს შეადგენდა 159,2 მლნ. ადამიანს. მათ შორის ქალაქის მოსახლეობა უდრიდა 28,1 მლნ., ე. ი. 17,6%³. ხოლო სოფლის — 131,1 მლნ. ე. ი. 82,4%⁴. 1920 წლისათვის ეს მაჩვენებლები შემდეგნაირ სურათს იძლევა: მთელი მოსახლეობა უდრის 136,8 მლნ. ე. ი. შემცირდა 22,4 მლნ.-ით, მათ შორის ქალაქის

² პოლიტიკური ეკონომია, დამხმარე თვალსაჩინოებანი, თბ., 1975, გვ. 192.

⁴ სტატისტიკა, ტ. 99, 1977.



მოსახლეობამ შეადგინა 20.9 მლნ., ე. ი. 15%. ხოლო სოფლის მოსახლეობა — 115.9 მლნ., ე. ი. 85%/მ. მოსახლეობის შემცირება ამ პერიოდში განხორციელდა სამოქალაქო ომით და სამხედრო ინტერვენციით, რამაც გამოიწვია ცხოვრების პირობები.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ 1929 წლისათვის შეადგინა 153.4 მლნ., მათ შორის ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 28.7 მლნ., ე. ი. 19%/მ. ხოლო სოფლის მოსახლეობამ 124.7 მლნ., ე. ი. 81%/მ. ამრიგად, 1917 — 1929 წლებში ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 10 მლნ.-ით გაიზარდა. მაგრამ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობაში არსებითი ხასიათის ცვლილება არ მომხდარა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ 1937 წლისათვის შეადგინა 163.8 მლნ., აქედან ქალაქის მოსახლეობამ — 46.6, ხოლო სოფლის მოსახლეობამ — 117.2 და შესაბამისად პირველის ხვედრითი წონა კიდრდა 28%. ხოლო მეორე — 72%/მ. ამრიგად კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატება ქალაქის მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის 1926 წლიდან დამახასიათებელია, საერთოდ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, სოფლის მოსახლეობის რაოდენობისა და ხვედრითი წონის შემცირება და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობისა და ხვედრითი წონის გაზრდა. აღნიშნულის გამო 1961 წ. 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა აღწევს 216.1 მლნ. და აქედან ქალაქის მოსახლეობაზე მოდის 108.3 მლნ., ე. ი. 50%/მ. ხოლო სოფლის მოსახლეობაზე — 107.8 მლნ., ე. ი. 50%/მ. ამ პერიოდიდან კვლავ გრძელდება საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ზრდისათვის ზემოთ აღნიშნული კანონზომიერებანი და 1975 წ. ქვეყნის მოსახლეობა უკვე 253.3 მლნ. აღწევს, საიდანაც ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 153.2 მლნ., ე. ი. 60%, ხოლო სოფლის მოსახლეობა — 100.1 მლნ., ე. ი. 40%/მ.

საბჭოთა კავშირში 1975 წლის დასაწყისში არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა შეადგენდა — 186.6 მლნ. ანუ მთელი მოსახლეობის 73.7%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა — 66.7 მლნ.-ს, ანუ მთელი მოსახლეობის 26.3%/მ.

ასეთი პროცესი დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის, რაც გაპირობებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ორგანული შედგენილობის მეტისმეტად მაღალი ტემპით ზრდით, ხოლო სოციალისტური სისტემის ქვეყნებში — სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ენერგოშეიარაღების ამაღლებით.

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მცხოვრებთა რაოდენობის სისტემატური შემცირება და ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის სისტემატური ზრდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვის ასევე სისტემატური შემცირება ახალი პრობლემების წინაშე აყენებს აგრარული ურთიერთობების პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს. ერთი მხრივ, ეს მაჩვენებლებია მსოფლიოს მოსახლეობის ცივილიზაციისადმი დიდი მისწრაფებისა, რაც დიდად მოსასალმებელია, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ართულებს მოსახლეობის სურსათით



და სხვა საარსებო საშუალებებით უმსხვილესი ქალაქებისა და ცენტრების მომარაგების საქმეს, რადგან მოსახლეობის რიცხვი მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მეტისმეტად სწრაფი ტემპით იზრდება. აგრეთვე კითხვა იმდება, შეიძლება თუ არა ამ პროცესის შეჩერება ან დასრულება? კომპლექსების შექმნით? ვფიქრობთ, პროცესის შეწყობა შეიძლება, მაგრამ ლევიდაცია — არა, ჩვენი აზრით. მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრები კვლავ დიდხანს შეინარჩუნებენ სოფლის მოსახლეობის მიზიდვის მძლავრ ძალას. აგროსამრეწველო კომპლექსების დიდი დადებითი მხარე პირველ რიგში არის ის, რომ მნიშვნელოვნად აფართოებს წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შესაძლებლობებს, ქმნის შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრ ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყვანისა და კიდევ უფრო აახლოებს და ამტკიცებს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. აგროსამრეწველო კომპლექსები ჩვენი ხვალისდელი დღეა. სოციალისტური აგრარული ურთიერთობების სრულყოფისა და განვითარების ახალი ეტაპია. აგროსამრეწველო კომპლექსთა ქსელის ფართო მშენებლობა — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების შერწყმის პროცესია, რომლის შედეგად მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება და ამ უკანასკნელის შედეგად კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პროცესში დასაქმებულთა რაოდენობა. თუ დღეს საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებული 1 მუშაკი დაახლოებით სამზე მეტ ადამიანებს ინახავს, ხვალ, ხუთი, ზეგ შეიძლება ა. შ... მზარდი რაოდენობის ადამიანები უნდა შეინახოს. ეს უკანასკნელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა აცილებული შრომისა და ზედმეტი შრომის შემცირების პირობებში უნდა განხორციელდეს აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის განუხრელი ზრდით.

მაღალორგანიზებულ, ცივილიზებულ საზოგადოებაში ყველა დარგის მწარმოებელთა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება სისტემატური ზრდით უნდა ხასიათდებოდეს და ამ უკანასკნელის საფუძველზე საზოგადოებაში შექმნილი უნდა იყოს ობიექტური პირობები უშუალო წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხვის შემცირებისა. მათი არამწარმოებლურ სფეროში გამოსაყენებლად. დროის ეკონომია მწარმოებლურ სფეროში სოციალისტური საზოგადოების წინსვლისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი მაჩვენებელია, კანონზომიერებაა.

წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არის წარმოების პროცესში მყოფ ადამიანთა ურთიერთობანი. აგრარული ურთიერთობანი ჩვენს პირობებში სხვა არა არის რა, თუ არა საყოველთაოდ წარმოების, საბჭოთა მეურნეობების წარმოებისა და პირად დამზარებელ მეურნეობებში დასაქმებულ მწარმოებელთა ურთიერთობანი, საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასისადმი და ინტელიგენციისადმი. დღეს წარმოებული ზორბალი თუ ჩაის მწვეანე ფოთოლი, ბამბა თუ ციტრუსოვანთა ნაყოფი არის გლეხის, მუშისა და ინტელიგენციის ერთობლივი შრომის ნაყოფი და ამ ერთობლივ შრომამუშავე უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა—გლეხთა



წილი სისტემატურად მკირდება, ხოლო მეშისა და ინტელიგენციის შრომის წილი იზრდება. აღნიშნულის შესახებ ნათლად მეტყველებს შემდეგი სტრუქტურა რევოლუციამდელ რუსეთში და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს დიად ქვეყანაში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურა სსრ კავშირში 1913 — 1974 წლებში (პროცენტობით)³

	წლები						
	1913	1924	1928	1939	1959	1970	1974
მთელი მოსახლეობა (ოჯახის უნუშვარ წევრთა ჩათვლით)	100	100	100	100	100	100	100
მთ შორის							
მეშები და მოსახსნებრეები	17,0	14,8	17,6	50,2	63,3	79,5	82,0
აქედან მეშები	14,6	10,4	12,4	33,5	49,5	56,8	60,6
კოლმეურნე გლეხობა და კოლპერ-რე-ბული ხელოსნები	—	1,3	2,9	47,2	31,0	20,5	17,8
ეროი გლეხობა და არაკოლპერობელი ხელოსნები	66,7	75,4	74,9	2,6	0,3	0,0	0,0
ბერეუზა, მემბლეები, ვაჭრები და ელემენტი	16,3	8,5	4,6	—	—	—	—

აქ მოყვანილი მონაცემები ძალზე ბევრის მოქმელია, პირველ რიგში ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ რევოლუციამდელი რუსეთის კლასობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი მოცულობით წარმოდგენილი იყო ერთპიროვნული გლეხობა და არაკოლპერობელი ხელოსნები. სინამდვილეში ესენი იყვნენ წერილი საქონელმწარმოებლები. ამ კლასის ხვედრითი წონა რევოლუციის გამარჯვების პირველი ექვსი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1924 წლისათვის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. ხოლო 1924 — 1926 წლებში თითქმის უცვლელ დონეზე დარჩა. მომდევნო პერიოდში მაღალი ტემპით შემცირდა და გამარჯვებული სოციალიზმის პირველ წლებამდე მეტად უმნიშვნელო ხვედრითი წონით დარჩა. ხოლო 60-იანი წლებისათვის თითქმის სრულყოფილად გაქრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან გარდამავალ პერიოდში თითქმის სრულიად გამოიდეენა ერთპიროვნული გლეხობა და მისი ადგილი დაიკავა კოლმეურნე გლეხობამ. ამ უკანასკნელმა ჩვენი საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი დაიკავა სოციალიზმის გამარჯვების პირველ წლებში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სისტემატურად ეცემა. 1939—1975 წლებში მისი წილის შემცირება ობიექტურ ფაქტორებთან ერთად განაპირობა რიგი კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობების რელსებზე გადაყვანამ, ნასვენნი და ყამირი მიწების რაიონებში ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობამ, რა-

³ СССР в цифрах в 1974 году, М., 1975, стр. 17.



მაც მნიშვნელოვნად გაზარდა მუშათა კლასის ხვედრითი წილი ჩვენს კლასში.
რაც სტრუქტურაში.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების
სებზე გადაყვანით და კოლმეურნე გლეხის საბჭოთა მეურნეობების მუშად
გადაქცევით, როდი იცვლება და ისპობა განსხვავება ამ გზით შექმნილი მუშათა
კლასსა და გლეხობას შორის, ამ ღონისძიებით წარმოშობილი მუშათა კლასი
იმყოფება გლეხისა და მუშის თვისებათა ერთობლივად აღქმის მიჯნაზე და
ერთსა და იმავე დროს ატარებს გლეხისა და მუშის თვისებებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ახალ ეკონომიურ პო-
ლიტიკაზე გადასვლის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება,
გარდა გამოწვევის პერიოდებისა, სისტემატურად იზრდება ამ სფეროში დასა-
ქმებულ მუშათა შემცირების პირობებში, წარმოების მოცულობის ასეთ პი-
რობებში ზრდა, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის
გლეხობისაღმი დიდი დახმარებითა და მხარდაჭერით, ჩვენი საზოგადოების კლას-
სებს შორის ახალი სოციალი ტერი წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრე-
ბით უნდა აეხსნათ.

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მექანიზაციის
დონიდან თუ გამოვალთ, შეგვიძლია გაბედულად მივეთითოთ, რომ ხორბალი
ღვლისათვის ინდუსტრიული შრომის პროდუქტი უფროა, ვიდრე სასოფლო-
სამეურნეო შრომისა. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში
მინდვრის ძირითადი სამუშაოები — მოხვნა, მარცვლეულის, ბამბის, შაქრის
ქარხლის თხვა და მარცვლეულის და სასილოსე კულტურების აღება სრულ-
ყოფილად მექანიზებულია, ახლო კარტოფილის დარგვის, შაქრის ქარხლის,
ბოსტნეულის, ბამბის რიგთაშორისი დამუშავებისა და სხვ. მექანიზაციის დას-
რულების პროცესი.

ამ მხრივ ჯერჯერობით დიდი ჩამორჩენა გვაქვს მეცხოველეობაში. მაგ.,
არც თუ ისე დიდი ხნის წინ (1970 წ.) ფერმებში საკვების მექანიზებული წესით
მუშაობდა ხორციელდებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 12%-სათვის, ღო-
რების 28%/სათვის, მექანიზებული წესით გაჰქონდათ ფერმებიდან მსხვილ-
ფეხა რქოსანი პირუტყვის მხოლოდ 30%/ის ნაელო და ა. შ.

ასევე დაბალი მექანიზაციის დონით ხასიათდება ჩაის კრეფის, ვაზის მწვა-
ნე სამუშაოები, ყურძნის კრეფა, ვაზის გასხვლისა და სხვ. სამუშაოები. ეს კი
იმას ნიშნავს, რომ ხორბლეულის წარმოების პროცესი ერთსა და იმავე
დროს მუშის, გლეხისა და ფენა ინტელიგენციის ფართო ურთიერთობითაა წარ-
მოდგენილი და ამიტომ ამ პროდუქტზე სახელმწიფოს უფრო მეტი პრეტენ-
ზიის განცხადება შეუძლია, ვიდრე ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც ძირითად-
ში სასოფლო-სამეურნეო შრომითაა წარმოებული.

სოციალისტურ წარმოებ-თ ურთიერთობათა ფართო სისტემაში აგრარულ-
ლი ურთიერთობის ადგილის, როლისა და ხასიათის განსაზღვრა შეუძლებელია
საკუთრების პრობლემის ანალიზის გარეშე. ამიტომ შრომის მომდევნო ნაწილ-
ში ჩვენ შევეცდებით ანალიზი გაუყუეთოთ სოციალისტური საკუთრების წარ-
მოშობის, დამკვიდრებისა და განმტკიცების საკითხებს საქართველოს სსრ

АГРАРНЫЕ ОТНОШЕНИЯ В СИСТЕМЕ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ

Резюме

Производственные отношения — широкое понятие, которое включает в себя многие стороны производственных отношений и, в том числе, — аграрные отношения.

Аграрные отношения являются предметом специального изучения во всех формациях общественного производства; об этом ясно свидетельствуют исследования классиков марксизма-ленинизма, а также советских и зарубежных экономистов.

По определению автора, социалистические, аграрные отношения есть отношения между людьми в процессе производства, распределения, обмена и потребления сельскохозяйственных продуктов в колхозах и совхозах, т. е. в социалистических сельскохозяйственных предприятиях. Характер аграрных отношений по формациям определяется формами собственности на средства производства, применяемые в сельскохозяйственном производстве и прежде всего — собственности на землю.

Место аграрных отношений в системе производственных отношений, по мнению автора, определяется численностью сельского населения и работников, занятых в сельскохозяйственном производстве, а также национальным доходом, созданным их трудом.

В сельскохозяйственном производстве удельный вес труда промышленного рабочего и работников умственного труда систематически растет, а колхозника — уменьшается, что означает переход сельскохозяйственного производства на индустриальную основу.



მ. ზიაშვილი

აგარაკულ ურთიერთობათა სრულყოფის საკითხისათვის თანამედროვე ეტაპზე

სსრ კავშირში მსოფლიოში პირველმა გააკეთა სოციალიზმის გზა და ასევე პირველმა ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკას, ძირითადად აშენებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკასთან შედარებით, ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურებანი: საწარმოო ძალების უფრო სწრაფი ზრდა, წარმოების ზრდის მაღალი ტემპები და დიდი მასშტაბები და ა. შ. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში წყდება ისეთი გრანდიოზული მასშტაბის ამოცანები, რომლებზედაც წინათ მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. ამის ნათელი მაგალითია მეცხრე ხუთწლედის შედეგები და მეათე ხუთწლედში განსახორციელებლად დაყენებული ამოცანები. ყოველივე ეს განაპირობა განვითარებული სოციალიზმის მძლავრმა საწარმოო ძალებმა.

სოციალიზმის პირობებში საწარმოო ძალები ვითარდება და იზრდება სწრაფად, შეუფერხებლად, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 4
ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპი (პროცენტობით):

დასახელება	1940 წ.	1960 წ.	1970 წ.	1974 წ.
სულ ძირითადი საწარმოო ფონდები მათ შორის	100	316	746	1040
სოფლის მეურნეობა პირუტყვის ჩათვლით	100	212	476	626
პირუტყვის გარეშე	100	276	672	1038

პირველ ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით 1940 წელთან შედარებით 1960 წელს ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 3,2-ჯერ, მათ შორის სოფლის მეურნეობაში — 2,1-ჯერ. როგორც მთლიანად, ასევე სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა 1940 წელთან შედარებით 1970 და 1974 წლებში.

¹ Народное хозяйство СССР, стат. ежегод., М., 1973., стр. 60. 1975 г. стр. 59.



ასევე ზრდით ხასიათდება ძირითადი საწარმოო ფონდებსა და საბრუნავი საშუალებები 1940 წელთან შედარებით 1960 წელს და განსაკუთრებით მეტწილად სოციალიზმის პირობებში. მაგალითად, სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ზრდის ტემპი 1960 წელთან შედარებით 1970 წელს შეადგენდა 182%. პირუტყვის გარეშე კი ზრდა შეადგენდა 211%². ანალოგიური სურათია შემდგომ წლებშიც.

ცვლილებები მოხდა აგრეთვე უშუალო მწარმოებლის, საერთოდ მშრომელთა რაოდენობრივ და თვისობრივ შემადგენლობაში. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე გადასვლისას და მის შემდგომ წლებშიც შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში როგორც კვალიფიციური კადრების რაოდენობრივი გადიდება, ასევე მათი სავანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის მკვეთრი ზრდა.

ცხრილი 2

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრებულ სპეციალისტთა რიცხვი (ათასი)³

წლები	დასაქმებული		მათ შორის			
			კოლმეურნეობებში		საბჭ. მეურნეობებსა და სხვა სას. სამ. საწარმოებში	
	სულ	%	სულ	%	სულ	%
1941	50	100	29	100	21	100
1960	406	812	222	765	184	876
1970	821	1642	390	1344	431	2052
1973	1037	2074	487	1662	555	2642

როგორც მე-2 ცხრილში მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრებულ სპეციალისტთა რიცხვი შესამჩნევი ზრდით ხასიათდება 1941 წელთან შედარებით 1960 წელს, აგრეთვე შემდგომ წლებში. მაგრამ მათი ზრდა უფრო მკვეთრია 1960 წლის შემდგომ პერიოდში. მაგალითად,

ცხრილი 3

მექანიზატორი კადრების რიცხვი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (ათასი)⁴

დასახელება	1940 წ.	1960 წ.	1971 წ.	1974 წ.
სულ მექანიზატორთა რიცხვი მათ შორის	1401	2579	3503	3798
ტრაქტორისტო-მემანქანები, ტრაქტორისტები და კომბაინერები	1237	1818	2449	2636
შოფრები	164	761	1054	1162

² Народное хозяйство СССР, стат. ежегод., М., 1973, стр. 60.
³ Там же, стр. 409, 1973, стр. 450.
⁴ Там же, М., 1973 г., стр. 414, 1975 г., стр. 455



1941—1960 წლებში (20 წელიწადში) სოფლის მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულთა რიცხვი გაიზარდა 356 ათასით, ხოლო 1960—1970 წლებში (10 წელიწადში) — 415 ათასით, 1970—1973 წლებში (3 წელიწადში) — 216 ათასით.

მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ წლების მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზატორთა რიცხვი მკვეთრი ზრდით ხასიათდება. მაგალითად, მათი რიცხვი 1940 წელთან შედარებით 1960 წ. გაიზარდა 1.8-ჯერ, 1971 წ. — 2.5-ჯერ, 1974 წ. — 2.7-ჯერ; მათ შორის ტრაქტორისტ-მექანიკანეების, ტრაქტორ-ტექნიკებისა და ომბიანტები რიცხვი 1940 წელთან შედარებით 1960 წ. გაიზარდა 1.5-ჯერ, 1970 წ. — 2-ჯერ, 1974 წ. — 2.1-ჯერ. მექანიზატორთა რიცხვის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია განვითარებულ სოციალიზმის ეტაპზე, მაგალითად, მექანიზატორთა რიცხვი 1960 წელთან შედარებით 1970 წელს გაიზარდა 1.3-ჯერ, 1974 წ. 1.5-ჯერ, მათი რიცხვი თუ 1960 წ.-ს 1940 წელთან (20 წელიწადში) გაიზარდა 1178 ათასით, 1970 წ. 1960 წელთან შედარებით (10 წელიწადში) გაიზარდა 924 ათასით, ხოლო 1974 წ. 1960 წელთან შედარებით (14 წელიწადში) გაიზარდა 1219 ათასით.

სოფლის მეურნეობაში მექანიზატორი კადრების ზრდისა და ტექნიკის გამოყენების გადიდების შედეგად ამ დარგში დასაქმებულ მომუშავეთა რიცხვი 1940 წ. არსებული 31300 ათასიდან 1960 წ. შემცირდა 29400 ათასამდე, 1970 წელს — 26800 ათასამდე, 1974 წელს 26700 ათასამდე⁵. ე. ი. მექანიზაციის ზრდამ გამოიწვია სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა ნაწილის გამოთავისუფლება და მათი გადანაწილება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობაც. ამასთან, მათ რაოდენობრივ ცვლილებასთან ერთად შეიძინევა სხვა ცვლილებებიც, ეგრძოდ, მათი უფრო დაახლოება წარმოებასთან, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და აღმოჩენების წარმოებაში უფრო სწრაფი დანერგვა, და რაც მთავარია, მეცნიერების სულ უფრო მეტად გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად.

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ განვითარებულ სოციალიზმში საერთოდ აშკარად სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკთა, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის წამყვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური როლი, მნიშვნელოვნად შეიცვალა მათი საგანმანათლებლო და პროფესიული დონე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და ასევე სხვა მუშაკებს აქვთ ფართო კულტურული ჰორიზონტი, ღრმა ცოდნა, უფრო შეგნებულად და შემოქმედებითად ეკიდებიან შრომას, ვიდრე ძირითადად აშენებული სოციალიზმის ეტაპის დასაწყისში.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში აღიზარდა მაღალკვალიფიციური მუშების, კოლმეურნეობის, მექანიზატორების, მეცნიერებისა და წარმოების ორგანიზატორების საკმაოდ დიდი არმია. მაგრამ, მათი რაოდენობრივი ზრდა და თვისობრივი ცვლილებები განსაკუთრებით გამოიკვეთა განვითარებული სოციალიზმის

⁵ Там же, стр. 406, 1975 г., стр. 448.



ეტაპზე. ამათან, მათი ზრდის ტემპი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მნიშვნელოვნად ამაღლდა ძირითადად აშენებული სოციალიზმთან შედარებით.

სოციალიზმი

ასეთია ის ცვლილებები, რაც ახასიათებს ნივთობრივ (წარმოების საშუალებების) და პიროვნულ (სამუშაო ძალის) ფაქტორებს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ე. ი. განვითარებული სოციალიზმ-საწარმოო ძალების ზრდა-განვითარებით უფრო მაღალი ტემპით ხასიათდება, ვიდრე ძირითადად აშენებული სოციალიზმი.

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონის — საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ეკონომიკური კანონის მოთხოვნის შესაბამისად, განვითარებული საწარმოო ძალები საჭიროებს მის შესაბამის წარმოებით ურთიერთობებს.

საზოგადოების საწარმოო ძალები აღმავალი გზით და დაუბრკოლებლად ვითარდებიან იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების დონეს. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში წარმოებითი ურთიერთობა ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ძალებს შეუძლიათ მეტად თუ ნაკლებად ვითარდებოდნენ მხოლოდ მანამდე, სანამ წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამებინ საწარმოო ძალების განვითარების დონესა და ხასიათს. მაგრამ, თავიანთი წინგამსწრები განვითარების კანონზომიერების გამო, საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე საწარმოო ძალები სცილდებიან მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ფარგლებს და მათთან კონფლიქტში, წინააღმდეგობაში ექცევიან. ასეთ შემთხვევაში წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განვითარების ფორმიდან მათ ბორკილებად, დამამუხრუხებლად იქცევიან, ამის გამო, ძველ წარმოებით ურთიერთობებს, ადრე თუ გვიან ცვლის ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, ისეთი, რომელიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულ დონეს და ნათ ხასიათს.

საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შეუსაბამობით წარმოშობილი წინააღმდეგობანი ანტაგონისტური და არაანტაგონისტური ხასიათისაა, ე. ი. წინააღმდეგობანი ერთნაირი ხასიათისა და შინაარსის არა ყოველი წარმოების წესის დროს, რასაც განპირობებს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმის განსხვავება.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებაში, კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის ვლინდებიან ანტაგონისტური წინააღმდეგობებითა და კლასობრივი ბრძოლებით, რაც საბოლოოდ ჩვევს მოძველებული წარმოებითი ურთიერთობის ახლით შეცვლას სოციალური რევოლუციის გზით. ამის შედეგად ძველი წარმოების წესი იცვლება ახლით და ხდება ახალ ეკონომიურ ფორმაციაზე გადასვლა. ამის ნათელი მაგალითია მონათმფლობელური წარმოების წესის შეცვლა ფეოდალურით, ფეო-



დაღურის — კაპიტალისტურით, ხოლო კაპიტალისტურის — სოციალისტურ წარმოების წესით.

საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის მას ადგილი აქვს სოციალიზმის დროს, თვით განვითარებულ სოციალიზმის კაპიტალისტურად.

საერთოდ, სოციალიზმის დროს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის სრული შესაბამისობა დამკვიდრდა, რაც განაპირობა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებამ. ასეთ პირობებშიც საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობასთან შედარებით ისევე უპირატესად მოძრავი და განვითარებადი. ამასთან, საწარმოო ძალებს სოციალიზმის დროსაც ახასიათებთ რევოლუციური ტენდენცია. ამის გამო კომუნისტური წარმოების წესის პირველი ფაზის — სოციალიზმის სრულყოფილი განვითარებაც მიმდინარეობს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო ძალების განვითარებით, წარმოებითი ურთიერთობანი კი შედარებით ნელა ვითარდება. საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ტემპების განსხვავების გამო, საზოგადოების განვითარების გარკვეულ მონაკვეთზე ისინი ერთმანეთის მიმართ შეუსაბამობაში (წინააღმდეგობაში) აღმოჩნდებიან, ასეთ შემთხვევაში წარმოებითი ურთიერთობა, როგორც წესი, საწარმოო ძალების განვითარებას აბრკოლებს. საწარმოო ძალებს ფართო გასაქანი რომ მიეცეს, სჭირია მათ შორის წინააღმდეგობის დაძლევა, ე. ი. მათი მოყვანა შესაბამისობაში. ამით მოხდება წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევა, რაც გამოიწვევს მთელი წარმოების განვითარების დაჩქარებას და მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ეკონომიკური კანონის მოქმედებას სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. ეს სპეციფიკური თავისებურებანია:

პირველი. საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობა არ ვლინდება ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობის სახით: მეორეც, საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობა არ მიდის კონფლიქტამდე; ის ძირითადად ვაპირობებულია იმით, რომ განვითარებული სოციალიზმის დროს არ არსებობენ ანტაგონისტური კლასები. წარმოების წინსვლა ჩაყენებულია მთელი საზოგადოების სამსახურში. ამასთან დაკავშირებით მოძველებული წარმოებითი ურთიერთობის შენარჩუნებით არავენ არ არის დაინტერესებული. აქ ახალს, პროგრესულს იცავს მთელი საზოგადოება. ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უზრუნველყოფს შეფერხებათა დაძლევას და წარმოებით ურთიერთობათა მუდმივად სრულყოფას და განვითარებას, რაც გამოხატავს მთელი საზოგადოების ინტერესებს.

ზემოაღნიშნული გარემოებანი განაპირობებენ იმას, რომ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის დაძლევა და მათი შესაბამისობაში მოყვანა ხდება, არა არსებულ წარმოებით



ურთიერთობათა საერთოდ უარყოფის, არამედ ამ წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის გზით, ე. ი. საჭირო არ არის არსებული წარმოების უწყვეტობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ჩვენს საზოგადოებაში უწყვეტობის უზრუნველყოფის მხარს უჭერს ორივე კლასი, მთელი მშრომელები, მაგრამ გამოორიენტებული არ არის შესაძლებლობა, რომ ძველს და დრომოკმულს ჩაებლავებინათ ცალკეული პირები. ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობას ადგილი ექნება საზოგადოების უმრავლესობასა და მის ცალკეულ ჩამორჩენილ წევრებს შორის, რაც თავისი ხასიათით იქნება არაანტაგონისტური წინააღმდეგობა. ასეთი წინააღმდეგობა არსებითად ვერ შეაჩერებს წინსვლას, თუმცა შეიძლება ზიანი მოაყენონ მას, ე. ი. შესაძლებელია განვითარებულ სოციალიზმში აღმოჩნდნენ ჩამორჩენილი პიროვნებანი ან ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ვერ წედიბიან ახალი ურთიერთობის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობას, შეიძლება პირადი მოტივებიც ამოძრავებდეთ მათ და თავიანთი მოქმედებით წინააღმდეგობას ეწვევიდნენ ახალს, პროგრესულს. მაგრამ ეს არ არის კლასობრივი ანტაგონიზმი, არამედ ეს არის თავისებური დაპირისპირება საზოგადოების უმრავლესობისა და მის ცალკეულ წევრებს შორის, რაც წყდება უმრავლესობის სასარგებლოდ.

საწარმოო ძალები, წარმოებით ურთიერთობებთან შედარებით, წინგამსწრები მოძრაობით ხასიათდებიან. განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის გზით მიიღწევა ახალი წარმატებანი, სახალხო მეურნეობის აღმავლობა.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარების დონისადმი წარმოებითი ურთიერთობის შესაბამისობაში მოყვანის განუწყვეტელი პროცესი მიმდინარეობს, რომლის დამადასტურებელია შემდეგი მაგალითები:

ა) საწარმოო ძალების განვითარებამ, მძლავრი მალალი წარმადობის მანქანა-იარაღების შექმნამ, მეცნიერების აღმოჩენებმა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობამ, გარდუვლად მოითხოვა წვრილ საწარმოთა გამსხვილება. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხო კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საწარმოებს.

საკოლმეურნეო მშენებლობის განსახლვრულ ეტაპზე, წვრილი კოლმეურნეობები გადაიქცნენ ინდუსტრიული ტექნიკის ყოველმხრივ და მალაღეფექტურად გამოყენებისა და მათი მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის შემაფერხებელ, დამამუხრუტეებელ ძალად. განვითარებული საწარმოო ძალები უკვე ვეღარ ეტეოდნენ წვრილ კოლმეურნეობათა წარმოების საკუთრივ ჩარჩოებში, ეს წინააღმდეგობა შემჩნეულ იქნა და იგი აღიკვეთა ნებაყოფლობის პრინციპით წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებით.

ბ) კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების არსებული წესი (შრომის ანაზღაურების, მთლიანად წლის ბოლოს გაცემა), შემდგომში განვითარების განსახლვრულ საფეხურზე, როცა საწარმოო ძალების განვითარება მალალ დონეზე აღიდა და კოლმეურნეობები ეკონომიურად მძლავრი გახდნენ, საზოგადოებრივი მეურნეობის დაჩქარებული ტემპით განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მუხრუქად გადაიქცა. საჭირო იყო შრომის ანაზღაურების მოქმედებული წესის შეცვლა პროგრესულით, რომელიც უფრო ხელს შეუწყობდა



საწარმოო ძალთა სრულად ამოქმედებას, გამოყენებას, განვითარებას და კოლმეურნეობების შემდგომ წინსვლას, იგი ძირითადად შეცვლილ უნდა იქნეს ურუნეთა შრომის ყოველთვიური გარანტირებული ფულადი პროგრესული სისტემით.

გ) საკოლმეურნეობათა შორისო ვაერთანებების, კოლმეურნეობების სახელმწიფოებრივ საწარმოებთან კავშირების, აგრეთვე აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების შექმნა და გაფართოება ასევე ნათელი მაგალითია წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი:

1. განვითარებული სოციალიზმი ძირითადად აშენებულ სოციალიზმთან შედარებით ხასიათდება საწარმოო ძალების ზრდა-განვითარების მაღალი ტემპით:

2. სოციალიზმის დროს, განსაკუთრებით განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, მიუხედავად საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა გეგმაზომიერი განვითარებისა, საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობასთან შედარებით მაინც წინგამსწრები მოძრაობით ხასიათდება, რის გამოც მათ შორის ზოგჯერ წარმოიშობა შეუსაბამობა (წინააღმდეგობა). ექსპლოატატორული წარმოების წესებისაგან განსხვავებით სოციალიზმის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობანი არაანტაგონისტური ხასიათისაა და არ მიღის კონფლიქტამდე.

3. ძირითადად აშენებული სოციალიზმის ეტაპთან შედარებით განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საწარმოო ძალების ზრდა-განვითარების მაღალი ტემპის გამო, საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის შეუსაბამობის წარმოშობა დროის ნაკლებ მონაკვეთშია მოსალოდნელი, ეს მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვერ ერთი, წინააღმდეგობის დროულად შესამჩნევად, მეორეც, მის აღსაკვეთად საჭირო ზომების მისაღებად, რათა ზიანი არ მოუტანოს საზოგადოებას.

О. С. ПИАННИНИ

ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ АГРАРНЫХ ОТНОШЕНИЙ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Резюме

Для поступательного развития общественного производства необходимо соответствие между производительными силами и производственными отношениями.

Несмотря на то, что при социализме планомерно развиваются производительные силы и производственные отношения, производительные силы характеризуются опережающим движением. Это более ярко наблюдается в условиях развитого социализма, в связи с чем нарушается соответствие между ними и они оказываются в неантагонистическом противоречии.



Ввиду опережающего движения производительных сил по сравнению с производственными отношениями в условиях развитого социализма возникновение несоответствия между ними может произойти в относительно коротком промежутке времени, это требует от нас, чтобы вовремя познать несоответствие между производительными силами и производственными отношениями и принять соответствующие меры для его преодоления.

Анализу этой проблемы посвящается данная статья.



რ. ძაბნიძე

შრომის ნაყოფიერების ზრდის განუხრავლობის უზრუნველყოფა

შრომის ნაყოფიერების ამაღლება წარმოადგენს საერთო ეკონომიურ კანონს, რომლის მოქმედება ვრცელდება ყველა წარმოების წესის დროს, შეიძლება ეთქვას, არცერთი ეკონომიური კანონი ისე არ გამოხატავს საწარმოო ძალობის ეანიეთარების ხარისხს და ადამიანთა საზოგადოებრივ გაბატონებას ზუნების ძალებზე, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის ეკონომიური კანონი.

კაპიტალიზმის დროს, როცა გაბატონებულია ეერძო საკუთრება შრომის ნაყოფიერების ზრდის ეკონომიური კანონი დაქვემდებარებულია კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს — ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და შითვისების ეკონომიურ კანონს. შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგები, როგორც წესი, კაპიტალისტთა კლასის საკუთრებაა და არა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშებისა, სწორედ ამიტომ მუშები არ არიან დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების ზრდით, კაპიტალიზმის დროს „ადამიანი და მ-სი მოთხოვნილებანი მხედველობის არედან ქრება“ [15].

კაპიტალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე გააღენას ახდენენ ზემოაღნიშნულის გარდა, კომერციული საიდუმლოებანი, რომლებიც აფერხებენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვას. შრომის ნაყოფიერების ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე პერიოდული ეკონომიური კრიზისები, როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე ცალკეულ დარგებში; დღეისათვის ასეთ უარყოფით გააღენას ახდენს ენერგეტიკული კრიზისი. აი სწორედ ამ და სხვა ძალების მოქმედების გამო კაპიტალიზმის დროს როგორც კ. მარქსი მიუთითებს „შრომის საწარმოო ძალების ამაღლებას არ გააჩნია აუცილებელი მნიშვნელობა“.

ეს დებულება მრავალჯერ არის დამტკიცებული კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პრაქტიკით, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შრომის ნაყოფიერება კაპიტალიზმის დროს არ იზრდება, იზრდება მაგრამ არა ეკონომიურის და არა ერთნაირი ტემპით. არის მთელი რიგი შემთხვევები მისი დონის დაკემისა. მაგალითად, ინგლისის მრეწველობაში 1851 — 1952 წწ. ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას 60 წლის მანძილზე, დაემა-



შეინიშნებოდა 29-ჯერ, ხოლო მთელი 13 წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება იყო ერთსა და იმავე დონეზე [3].

აშშ-ში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება წინა წლებთან შედარებით შემცირდა — 1894, 1902, 1904, 1907, 1908, 1910, 1914, 1919 წლებში. 1930 წლიდან 1936 წლამდე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება იყო 1929 წლის დონეზე. 1933 წელს ის დაეცა 1929 წელთან შედარებით — 21,5%-ით. შესაბამისად, 1934 წელს 18,4%-ით, 1935 წელს — 11,5%-ით და 1936 წელს 3,8%-ით; შრომის ნაყოფიერების დონის დაცემას ადგილი ჰქონდა 1938 წელსაც [4].

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებენ ე. მარტსის დებულების სისწორეში, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდას კაპიტალიზმის დროს არა აქვს უცელობელი ხასიათი.

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების კანონის ზემოქმედება კაპიტალიზმისაგან რადიკალურად განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობს, აქ არ არის ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაამუხრუჭებენ მის ზრდას. რადგანაც სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგს ხალხი ღებულობს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გზით. ამიტომ ხალხი შემოქმედებითად არის დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებით. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით სოციალიზმის დროს არ არსებობს კომარტული საიდუმლოებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვისათვის. ამიტომ შრომის ტექნიკური შეიარაღება იზრდება ძალზე სწრაფად. ვიდრე სოციალიზმში მდებარეობს აგრეთვე უფრო მაღალი დონე. ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ფაქტური მონაცემები შრომის ნაყოფიერების დინამიკის შესახებ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ასე, მაგალითად, შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში 1913—1962 წლებში გაიზარდა 12,6-ჯერ, ხოლო აშშ-ის მრეწველობაში — 3,3-ჯერ, ინგლისში — 1,6-ჯერ, საფრანგეთში — 2,6-ჯერ [5]. შრომის ნაყოფიერების საშუალო-წლიური ზრდის ტემპი სსრ კავშირის მრეწველობაში 1951—1971 წწ. იყო 6,3%-ჯერ, აშშ-ში — 3,3-ჯერ, ინგლისში — 2,7-ჯერ; საფრანგეთში — 5,1-ჯერ, გერ — 4,7 [6]. შრომის ნაყოფიერების მაღალი ზრდის ტემპი შეინიშნება არა მარტო სსრ კავშირში, არამედ სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. კერძოდ, 1951—1970 წწ. შრომის ნაყოფიერების დონე სსრ კავშირში გაიზარდა 3,6-ჯერ, ბულგარეთში — 3,9-ჯერ, ეგვიპტეში — 4-ჯერ, პოლონეთში — 3,9-ჯერ, რუმინეთში — 4,7-ჯერ, ჩეხოსლოვაკიაში — 3,3-ჯერ, სწორედ ამ პერიოდში აშშ-ის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2-ჯერ, ინგლისში — 1,7-ჯერ, საფრანგეთში — 2,9-ჯერ, გერ — 2,6-ჯერ [6].

სოციალიზმის დროს კიდევ უფრო მყარი და სწრაფი ტემპით იზრდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, თუ 1954—1971 წწ. სსრ კავშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 238%-ით, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 311%-ით, თუ ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა მრეწველობაში შეადგინა 6,3%, ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მთლიანად შეადგენს 7,35% [7].



სოციალიზმის დროს მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ანუ ახალი ეკონომიური კანონი. არამედ ის კანონი, რომელიც მოქმედებს **სოციალისტური** მოების წესის დროს. მაგრამ სოციალიზმის დროს მათ აქვს უფრო **შინაგონიერება** შით ზრდისა და განუხრელი აღმავლობის ხასიათი. ისმება კითხვა — როგორ უნდა გვესმოდეს განუხრელობა?

ეკონომისტების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სოციალიზმის დროს განუხრელობა ნიშნავს იმას, რომ შრომის ნაყოფიერება მალღდება აუცილებლად. ათეილთვი. — სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ქვეყნის ყველა ეკონომიურ თუ ადმინისტრაციულ რაიონებში და ყველა საწარმოში.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად მოვიყვანთ ცნობილი საბჭოთა ეკონომისტის ლ. ა. კოსტინის შეხედულებას, რომ „შრომის ნაყოფიერების ზრდას სოციალიზმის დროს აქვს საყოველთაო ხასიათი, ე. ი. ის წარმოიშობა, როგორც წესი, ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ქვეყნის ყველა რაიონში“ [8].

ეს აზრი თეორიულად სწორია. მაგრამ რეალურ სინამდვილეში თავისებურ ახსნას მოითხოვს. რადგანაც ყალიბდება სრულად განსხვავებული, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური და შეიძლება ითქვას, სუბიექტური ფაქტორთა ერთობლიობა — შრომის ნაყოფიერების ამაღლებასათვის, ერთგან ხელსაწყოი და ინსტიტუციური. მეორეგან — არაბუნსაყოფი და დამაშტრტებელი, რომელიც განაპირობებს, უშუალოდ განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების დონესა და დინამიკას, მთელს სახალხო მეურნეობაში და მის ცალკეულ დარგებსა და ქვედარგებში. მაგალითად, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება 1972 წელს შემცირდა 1970 წელთან შედარებით 1%-ით, ხოლო 1971 წელთან შედარებით 4%-ით, ასევე 1974 წელს 1973 წელთან შედარებით შემცირდა 2%-ით [9] მაშინ, როცა ამ პერიოდში შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა, როგორც ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, ისე ცალკეული დარგების მიხედვით.

ასევე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 1956—1960 წლებში 8%, შემდგომ პერიოდებში კი ის მნიშვნელოვნად მკირდება, კერძოდ, 1961—1965 წლებში მან შეადგინა 3.4% 1966—1970 წწ. — 6.5% და 1971—1974 წლებში — 3.4%. ასევე შემცირდა შრომის ნაყოფიერება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებში 1973 წელს 1970 წელთან შედარებით თითქმის 3%-ით; 1973—1974 წლებში შრომის ნაყოფიერება (განაჯარიშებელი — მეცხოველეობის საერთო პროდუქცია 1965 წლის შესადარი ფასებით შეფასებული ერთ კაცსათზე) იყო ერთი და იგივე 1.24 მანეთი [10].

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი მონაცემები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ზოგჯერ შრომის ნაყოფიერება ამა თუ იმ დარგში და ქვედარგში არა მარტო ერთი და იმავე დონეზე დგას, არამედ მკირდება კიდევ, რა თქმა უნდა მისასაღმებელია და ჩვენი მიზანაც ის არის, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდებოდეს ყველგან სწრაფი ტემპით, ყოველწლიურად და სისტემატურად, მაგრამ ეს ყერ-ყერობით ასე არ არის, აი კიდევ ამის მაგალითი — 1946, 1963 და 1972 წლებში გვაღვამ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში საშუალოდ ერთი



დასაქმებულის გამომუშავება მნიშვნელოვნად შეამცირა. გარდა ამისა გვევლინება განაპირობა მთლიანად სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების შემცირება. ევროპ. 1972 წელს შრომის ნაყოფიერების დონე **ქართული ენციკლოპედია** და საბჭოთა მეურნეობებში 2,8%-ით უფრო დაბალი **ქართული ენციკლოპედია** წელს [11].

1971—1972 წლების ზამთრის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო აღმოსავლეთ საქართველოში მოიყინა ვენახი, რის გამოც შემცირდა ყურძნის დამზადება, ამან კი შეამცირა შრომის ნაყოფიერება ღვინის მრეწველობაში — 11%-ით. ხოლო მთელი რესპუბლიკის კვებით მრეწველობაში — 3%-ით [12].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოვლენა მარტო სსრ კავშირში და საქართველოში როდი შეინიშნება. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ცალკეულ წლებში. სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებაშიც. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების დონე უნგრეთის მრეწველობაში წინა წელთან შედარებით შემცირდა 1954, 1956 და 1968 წლებში. ჩეხოსლოვაკიაში — 1963 წელს [13].

ზემოაღნიშნული საკმაოდ ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ შრომის ნაყოფიერების სწრაფ და განუხრელ ზრდას არ შეიძლება ყოველთვის და ყოველწლიურად ადგილი ჰქონდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ქვეყნის ყველა ადმინისტრაციულ თუ ეკონომიურ რაიონში და საწარმოში შრომის ნაყოფიერების ასეთი არათანაბარი ზრდის „სრულ აღმოფხვრას დასჭირდება ჯერ კიდევ დიდი დრო“ [14]. სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერება იზრდება სწრაფად და განუხრელად ქვეყნის მასშტაბით, და სახალხო მეურნეობის უმრავლეს დარგებში და ქვედარგებში. ეს აიხსნება იმით, რომ შრომის ნაყოფიერების დინამიკაზე გავლენას ახდენს არა მარტო სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, არამედ ისეთი საერთო ფაქტორებიც, რომლებიც დამახასიათებელია ყველა წარმოების წესისათვის. ამის შესახებ ნათლად მიუთითებს კ. მარქსი. „ის გარემოება, რომ მწარმოებლური ძალის განვითარება მრეწველობის სხვადასხვა დარგში არა მარტო ფრიად სხვადასხვა პროპორციით, არამედ ხშირად საპირისპირო მიმართულებითაც ხდება — გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის ანარქიიდან და ბურჟუაზიული წარმოების წესის თავისებურებებიდან. შრომის ნაყოფიერება დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთანაც, რომლებიც ხშირად ნაკლებბარაქიანი ხდება იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც მატულობს ნაყოფიერება, რამდენადაც ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ პირობებზეა დამოკიდებული. აქედან საპირისპირო მოძრაობა ამ სხვადასხვა სფეროში: პროგრესი ერთ ადგილას, რეგრესი მეორე ადგილას. გვიხსენით თუნდაც წლის დროთა გავლენა, რაზედაც მეტწილად დამოკიდებულია ყველა ნედლეულის რაოდენობა“ [2].

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა ისე კი არ უნდა გავიგოთ თითქმის დღეს ყველა საწარმოში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში აუცილებლად იზრდება ყოველწლიურად. სისტემატურად: ჯერჯერობით ასეთი პირობები გარკვეულ დროს მოითხოვს. დღეისათვის შრომის ნაყოფიერება განუხრელად იზრდება სახალხო მეურნეო-

ბის მასშტაბით, სახალხო მეურნეობის უმეტეს დარგებში იზრდება პროდუქტების წლიურად, სისტემატურად, სწორედ ამიტომ აქვს განუხრელი ხასიათი მუშაობის ნაყოფიერების ზრდას სოციალიზმის დროს.



რ. ვ. დვანიძე

О НЕУКЛОННОМ РОСТЕ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА

Резюме

Некоторые экономисты считают, что производительность труда при социализме должна повышаться всегда, во всех отраслях хозяйства, на всех предприятиях и во всех районах страны. Но на практике это не так, производительность труда конечно возрастает ежегодно и высокими темпами в целом народном хозяйстве и большинстве отраслях, но в отдельных районах страны как экономических, так и административных, в отдельных отраслях народного хозяйства и на отдельных предприятиях могут быть случаи не только приостановки роста производительности труда, но и падения.

ლიტერატურა — Литература

1. ვ. შარტსი, კაპიტალი, ტ. 111, ნაწ. 1, გვ. 333.
2. ვ. შარტსი, კაპიტალი, ტ. 111, ნაწ. 1, გვ. 330.
3. Д. К. Трифонов. Общие экономические законы. Изд. ЛГУ, стр. 202. 1964.
4. Джон Бендик. Тенденции производительности в США, стр. 268-269. 1967.
5. Народное хозяйство СССР в 1962 году. М., стр. 76. 1963.
6. Народное хозяйство СССР. стр. 72. 1922-1972 гг.
7. Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 92.
8. Л. А. Костин. Повышение эффективности труда в новых условиях хозяйствования. М., стр. 220. 1971.
ბის შეფარდებით შემცირებას, რადგან ფონდებში ხრდის ფონდებს ფონდუკუგების ზრდას. მემცენარეობის ძირითადი ფონდების ზრდა კი შრომის ნაყოფიერებას აღიღებს, რასაც მემცენარეობის ტურებს.

მეშვიდე ფაქტორის (X_7) — ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრითი წონის ერთი პროცენტით გადიდება იწვევს 1 ცენტნერზე კაცდღეების დანახარჯების 0,031 კაცდღით შემცირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შრომის ნაყოფიერებას აღიღებს 0,52%-ით; სწორედ ეს ამართლებს მეექვსე ფაქტორის შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფით მოქმედებას.

მერვე ფაქტორის (X_8) — 1 ჰა ჩაის პლანტაციაზე შრომის პირდაპირი დანახარჯების ერთი კაცდღით გადიდება იწვევს ერთ ცენტნერზე შრომის დანახარჯის 0,008 კაცდღით გადიდებას, ე. ი. შრომის ნაყოფიერება მცირდება 0,13%-ით.

მეათე ფაქტორის (X_{10}) — ჩაის კრეფის მექანიზაციის დონის ერთი პროცენტით გადიდება იწვევს ერთ ცენტნერზე 0,1 კაცდღით შრომის დანახარჯის შემცირებას. ე. ი. შრომის ნაყოფიერებას გადიდებას 1,7%-ით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩაის კრეფის მექანიზაციაში ღირს რეზერვია შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მეთორმეტე (X_{12}) ფაქტორის — კაცდღის ანაზღაურების დონის ერთი მანეთით გადიდება იწვევს შრომის დანახარჯის 0,407 კაცდღით შემცირებას, ანუ შრომის ნაყოფიერებას ზრდის 6,88%-ით, იგივეა — კაცდღის ანაზღაურების 10 კაპოკით გადიდება და გამოიწვევს 0,68%-ით შრომის ნაყოფიერებას გადიდებას.

მეცამეტე ფაქტორის (X_{13}) — შრომის დამატებითი ანაზღაურების გადიდება ერთ კაცდღეზე ერთი მანეთით, შეამცირებს შრომის დანახარჯებს ერთ ცენტნერზე 0,534 კაცდღით, ანუ შრომის ნაყოფიერებას გააღიღებს 9,03%/ით. იგივეა — შრომის დამატებითი ანაზღაურების გადიდება ერთ კაცდღეზე ათი კაპოკით, შეამცირებს შრომის დანახარჯებს ერთ ცენტნერზე 0,053 კაცდღით და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას 0,9%/ით. აქედან ცხადია, მატერიალური სტიმულირების გადიდება ერთ-ერთი მძლავრი რეზერვია შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მეთოთხმეტე ფაქტორის (X_{14}) — ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობის გადიდება ერთი ცენტნერით, ამცირებს შრომის დანახარჯებს ერთ ცენტნერზე 0,074 კაცდღით, ე. ი. აღიღებს შრომის ნაყოფიერებას 1,25%/ით, რასაკვირველია, სხვა თანაბარ პირობებში მოსავლიანობის გადიდება მნიშვნელოვანი რეზერვია შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

როგორც ცნობილია, მოდელში ჩართული ფაქტორების მეჩაიეობაში შრომის ნაყოფიერებაზე გავლენის ხარისხის შესადავებლად რეგრესიის კოეფიციენტებს ვერ გამოვიყენებთ. ვინაიდან მათი სიღრმე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე ზომასზე, ამ ამოცანის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სტანდარტიზებული, ანუ მანშტაბირებული რეგრესიის კოეფიციენტები, ე. ი. β კოეფიციენტები. რომელიც ყველა ფაქტორ-არგუმენტისათვის გალიანგარიშით ფორმულით.



$$\beta_i = b_i \frac{\bar{x}_i}{\bar{y}_i}$$

β კოეფიციენტების გაანგარიშებით დავადგინეთ მეჩაიეობის წარმოების ფაქტორებზე მეტად თუ ნაკლებად მოქმედი ფაქტორები.

ცხრილი 3

რეგრესიის მოდელში ჩართული ფაქტორ-არგუმენტების β კოეფიციენტები

ფაქტორები	b _i	β _i	ფაქტორები	b _i	β _i
X ₁	+0,018	+0,141	X ₁₀	-0,100	-0,326
X ₂	-0,027	-0,165	X ₁₁	+0,077	+0,447
X ₃	+0,821	+0,208	X ₁₂	-0,410	-0,454
X ₄	-0,031	-0,069	X ₁₃	-0,534	-0,121
X ₅	+0,008	+0,845	X ₁₄	-0,074	-0,634

ფაქტორ-არგუმენტების შერჩეულ ჯგუფში, შრომის ნაყოფიერებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ მერვე და მეთოთხმეტე ფაქტორები — შრომის პირდაპირი დანახარჯები ერთ ჰა პლანტაციასზე და ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობა. მეორე ადგილზე მნიშვნელობის მიხედვით მეთერთმეტე, მეოთხმეტე და მეათე ფაქტორებია, რომელნიც ახასიათებენ მექანიზაციის დონეს და კაცდღის ანაზღაურებას.

დასახელებული 5 ფაქტორის ზემოქმედება მოწმობს იმას, რომ შრომის ნაყოფიერების დიდი რეზერვებია საწარმოო პროცესების მექანიზაციის, მოსავლიანობის გადიდების, ჰექტარზე შრომის დანახარჯების შემცირებისა და შრომის ანაზღაურების ანგარიშზე.

მეჩაიეობაში შრომის ნაყოფიერების მრავალფაქტორიანი რეგრესიული მოდელის მარჯვენა მხარეები ჩვენ მორ გამოყენებული იქნა. გარდა ზემოხსენებულისა, ავხაზეთის მეჩაიეობის საწარმოო ტიპის კოლმეურნეობების საწარმოო საქმიანობის ობიექტური შეფასებისათვის, რასაც მივალწვიეთ რეგრესიის განტოლებით გაანგარიშებული (თეორიული) შრომის ნაყოფიერების დონის, ფაქტურ შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით კოლმეურნეობების მიხედვით. კოლმეურნეობათა პოტენციალურ შესაძლებლობათა დადგენის შემდეგ მოვხდინეთ კოლმეურნეობათა დაჯგუფება, რამაც გამოავლინა კოლმეურნეობათა მუშაობის ხარისხი, ე. ი. კოლმეურნეობების მიერ მათ განკარგულებაში არსებული საწარმოო რესურსების გამოყენების ხარისხი. აღნიშნული ინფორმაცია უნდა გამოიყენონ სპეციალისტებმა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქმედი ფაქტორების გამოყენების დონის შესაფასებლად.

შევადარეთ შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებით (თეორიულ) და ფაქტურ დონეთა შორის გადახრა. ცალკეული ფაქტორის ფაქტიურსა და საშუალო ზონალურ დონეთა შორის გადახრას, დავადგინეთ. ეს გადახრები რით არის გამოწვეული კოლმეურნეობების მიხედვით, ე. ი. ავხსენით რამ განაპი-

რობა ამა თუ იმ კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა თუ შენეების მიზეზები. კონკრეტული კოლმეურნეობების მიხედვით ამგვარი ანალიზი შეიძლება გამოიყენოს კოლმეურნეობების საწარმოო საქმიანობის შედეგების შეფასების, წარმოების პირობების გამოყენების ღონისძიებათა დამუშავების, სეზონური პეტიციის დასახვისათვის; ასევე ანალიზის შედეგები უნდა გამოიყენოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველომ კოლმეურნეობათა საწარმოო საქმიანობის ურთიერთშედარებისათვის, რათა გამოყოს კოლმეურნეობანი, რომლებმაც უფრო სრულად გამოიყენეს საწარმოო რესურსები და მათი გამოცდილება დანერგოს სხვა კოლმეურნეობებში.

Д. Ф. КАЦИЗЯЯ

АНАЛИЗ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА В ЧАЕВОДСТВЕ С ПРИМЕНЕНИЕМ КОРРЕЛЯЦИОННОГО И РЕГРЕССИОННОГО МЕТОДА

Резюме

В труде проанализирована производительность труда чаеводства с применением методов корреляции и регрессии в 42-х колхозах чаеводческого производственного направления Абхазской АССР. Показателем производительности труда (y) приняты затраты человеко-дней на производство 1-го центнера сортового чайного листа, а из влияющих на него факторов-аргументов подобраны 15 факторов ($x_1—x_{15}$).

Расчитаны¹ коэффициенты парной корреляции. Составлена прямая линейная регрессионная модель, найдены его параметры. Рассчитаны: коэффициент множественной корреляции, коэффициент детерминации, частные коэффициенты корреляции. Установлены факторы имеющие весьма слабую связь с производительностью труда и их взятием из модели, составлено новое уравнение регрессии и на его основе охарактеризована взаимосвязь каждого фактора с производительностью труда.

Установлена степень влияния на производительность труда, факторов включенных в модель с помощью масштабированных коэффициентов регрессии (β коэффициенты). Охарактеризованы факторы более или менее влияющие на производительность труда.

В сравнении с уровнем производительности труда, рассчитанной по уравнению регрессии, с фактическим установлены потенциальные возможности каждого колхоза и степень использования производственных ресурсов, существующих в распоряжении колхозов.

Результаты анализа могут быть применены колхозами с целью разработки мероприятий по использованию условий производства и для назначения перспектив.

¹ Все расчеты произведены на ЭВМ «МИНСК-22».



სსრკ-ის წითელი ფიჭვის ორდენის მქონე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების უმაღლესი სკოლა
ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 99, 1977.

მ. ბენია

**საბჭოთა მეურნეობის განვითარების პროცესში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების
საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზი
(საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ინსტიტუტში)**

საბჭოთა მეურნეობის წარმატებულმა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებმა მათი წამყვანი როლი სოფლის მეურნეობაში განისაზღვრება წარმოების საშუალებებზე საერთო სახალხო საყუარებით. სსრ კავშირში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1965—1975 წლებში გაიზარდა 11681-დან 18064-მდე; 1975 წლის მონაცემებით საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდის 19.1 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (მ. შ. 0.2 ათასი ჰა სახნავი, აქედან 6 ათასი ჰა ნათესი), 2 ათასი სული მსხვილი რქოსანი პირტყევი (მ. შ. 700-მდე ძროხა), 57 ტრაქტორი, 26 სატვირთო ავტომანქანა. 1965—1975 წლებში საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობა (1965 წლის შესაბამისი ფასებით) გაიზარდა 1.8-ჯერ და მეტად.

საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობებს წამყვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვი 1965—1975 წლებში 161-დან 283-მდე გაიზარდა, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობა (1965 წლის შესაბამისი ფასებით) გადიდა 112.7-დან 278.2 მლნ. მანეთამდე, ძირითადი ფონდების მოცულობა 369.3 მლნ. მანეთიდან 1218.4 მლნ. მანეთამდე; 1965 წელს ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 2.29 მილიონ მანეთის ძირითადი ფონდები, ხოლო 1975 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს 4.3 მლნ. მანეთს.

საბჭოთა მეურნეობების ფინანსური საქმიანობის თავისებურებანი გაპირობებულია თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებით და სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკით. პარტიისა და მთავრობის მიერ მრავალი ღონისძიება იქნა გატარებული საბჭოთა მეურნეობებში ფინანსურ ურთიერთობათა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების სრულყოფისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია 1935 წელს დამზადების ერთიანი ფასების შემოღება, 1947 წლიდან გეგმის ზეით პროდუქციის ჩაბარებაზე ბიუჯეტიდან წამახალისებელი ანაზღაურების შემოღება, 1954 წლიდან დოტაციის



სისტემის შეცვლა და ზონების მიხედვით ჩაბარების დიფერენციალური ფა-
სების შემოღება და სხვ.

სოფლის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანობაა მიწის ფართობის რაოდენობის ზრდა და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესება. ამ მიზანობის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სახელმწიფო და საკოლმეურნეო მეურნეობების ეკონომიურ სტიმულირებაში. ფინანსების როლი საბჭოთა მეურნეობების ეკონომიურ განვითარებაში განსაკუთრებით ამაღლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარების შემდეგ. სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის დადგენილების საფუძველზე დაიწყო საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა ექსპერიმენტის სახით სრულ სამეურნეო ანგარიშზე. სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 20 ნოემბერს მიიღო დადგენილება საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც განისაზღვრა მეშაობის ახალ პირობებზე 1974 — 1975 წლებში დაბალრენტაბელური და ზარალიანი საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა (გარკვეული ფინანსური შეღავათების დაწესებით). ასევე ზოგიერთი ცვლილებები იქნა შეტანილი სრულ სამეურნეო ანგარიშზე ადრე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების წყაროებში. 1975 წლისათვის უკვე დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში ფინანსურ საქმიანობას ახორციელებდა სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობები სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში მეშაობდა: 1968 წელს — 5, 1970 წელს — 37, 1972 წელს — 58 და 1975 წელს ყველა — 283 მეურნეობა. სრულ სამეურნეო ანგარიშზე პირველ რიგში გადაყვანილი იქნა ეკონომიურად ძლიერი და მაღალრენტაბელური მეურნეობები. 1970 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე მოქმედა 37 მეურნეობიდან 20 მერჩაიოობისა და მეციტრუსეობის, 15 მევენახეობა-მეხილეობის მეურნეობა და 2 მეფრინველეობის იყო.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილმა საბჭოთა მეურნეობებმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი საშუალებების ანგარიშზე წარმოების დანახარჯების სრული ანაზღაურება, წარმოების შემდგომი გაფართოება, ეკონომიური სტიმულირებისა და სხვა ფონდების შექმნა. ასევე ბანკის კრედიტების დროული დაბრუნება. ამის რეალური საფუძველი შექმნილია პირველ რიგში იმით, რომ საბჭოთა მეურნეობების პროდუქციას სახელმწიფო ანაზღაურებს კოლმეურნეობებისათვის დაწესებული შესუღვის ფასებით და დანამატებით. სრულ სამეურნეო ანგარიში მიმართულია მოგებისა და რენტაბელობის ზრდის, ცალკეულ მეურნეობათა და წარმოებათა ზარალიანობის ლიკვიდაციის სტიმულირებისავე. გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო დამოუკიდებლობა და ამაღლდა წარმოების შედეგებზე მათი პასუხისმგებლობა. მკაცრად შეზღუდულია ცენტრალიზებულ საგეგმო მარეგულირებლთა რიცხვი. საბჭოთა მეურნეობებს შემდგომი ორგანიზაციები უმტკიცებენ მნიშვნელოვანი სახის პროდუქციის სახელმწიფოზე ჩაბარების მოცულობას ნატურალური გამოხა-



ტვლებით, ხელფასის საერთო ფონდს, მოგების საერთო თანხას, ასევე ბიუჯეტიდან, ფონდებზე გადასახდელს, კავდაბანდებათა საერთო (მ. შ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობას, ძირითადად მოქმედებაში შეყვანას ფულადი გამოხატულებით), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების მიწოდების მოცულობას. სხვა დანარჩენ საწარმოს და ფინანსურ მაჩვენებლებს საბჭოთა მეურნეობები დამოუკიდებლად თვითონ განსაზღვრავენ.

საბჭოთა მეურნეობების ფინანსები წარმოადგენს სოციალისტურ საწარმოთა ფინანსების შემადგენელ ნაწილს და ეფუძნება მისი ორგანიზაციის საერთო პრინციპებს — გეგმიანობას, სამეურნეო ანგარიშს და დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ის გამოხატავს საბჭოთა მეურნეობების ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ფინანსურ ორგანოებთან და სახბანკოს დაწესებულებებთან, თვით მეურნეობის მუშებთან და მოსამსახურეებთან, სამეურნეო ქვედანაყოფებთან. საბჭოთა მეურნეობების ფინანსების ორგანიზაცია ბევრად განისაზღვრება არა მხოლოდ სამეურნეო ანგარიშის წარმართვის არსებული კანონმდებლობით, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკით: ხანგრძლივი საწარმოო ციკლი, წარმოების სეზონურობა, საშუალებათა ნელი ბრუნვა, შემოსავლების არათანაბარ მიღება, სეზონური მოთხოვნილება სახსრებზე, საშუალებათა ნაწილობრივი წრებრუნვა ნატურალური ფორმით რეალიზაციის სტადიის გავლის გარეშე, დამოკიდებულება ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, ეს უკანასკნელი განპირობებს სტიქიური უბედურების შედეგად შესაძლო ზარალის დასაფარავად მოგების ანგარიშზე სადაზღვევო ფონდების შექმნის აუცილებლობას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის პროცესი მოითხოვს მისი სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებას. მეურნეობათა წარმოებრივი კოოპერირების თავისებურ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობათა ტრესტების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, რომელიც ხორციელდება 1975 წლიდან. ტრესტი მმართველობის ადმინისტრაციული ორგანოვან გარდაიქმნება წარმოების პროცესის უშუალო ხელმძღვანელობის სამეურნეო ანგარიშთან ცენტრად, რომელიც გამოიყენებს საფინანსო-ეკონომიურ ბერკეტებს და იქნება მატერიალურად დაინტერესებული და პასუხისმგებელი. ტრესტები ფლობენ ფართო უფლებებს ფინანსური რესურსების ცენტრალიზაციის და ვადანაწილების, ნორმებისა და ნორმატივების დიფერენციაციის, მოგების, საბრუნავი საშუალებების და საშუალებათა სხვა წყაროების მანეჟირების საქმეში.

საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მოგება, რომელიც გვევლინება როგორც მეურნეობის პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციიდან შედეგი. საბჭოთამეურნეობრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოგების განაწილების სისტემას, საბჭოთა მეურნეობებში მოგების განაწილების სისტემა მიმართულია მოგების ზრდის, ზარალიანობის ლიკვიდაციის და ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების სტიმულირებისაკენ. მოგების განაწილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები: სახელმწიფო ბიუჯეტთან



ერთიერთობა მყარი ნორმატივებით, ყველა გეგმური მოთხოვნების დადგენისასა და საკუთარი საშუალებებით. მოგების თავისუფალი ნაშთის წესდების შედეგად მისი გაფართოებისათვის. სრული სამეურნეო ანგარიშის შედგენის შედეგად უფრო დიდი ნაწილი რჩება თვით საბჭოთა მეურნეობების გასაჯაროვლებათ.

ჩვენ მიერ გაანალიზებული იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები სამინისტროსა და ცალკეული ტრესტების 1965—1975 წლებში ნაკრები წლიური ანგარიშგებათა მასალების შესწავლის საფუძველზე.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის ფინანსურ შედეგებს გვიჩვენებენ 1-ელ ცხრილში მოტანილი მონაცემები.

როგორც 1-ლი ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ფინანსურ ერთეულობათა სრულყოფისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განმტკიცების საფუძველზე 1965—1975 წლებში მნიშვნელოვნად ამღვდდა საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სრული სამეურნეო ანგარიშის დადებით გავლენას რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკურ მდგომარეობაზე ადასტურება 1970 წლის მაჩვენებლების ანალიზი.

1970 წელს საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის 227 მეურნეობიდან 37 მუშაობდა სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში. 37 მეურნეობიდან 36 იყო რენტაბელური და 1 ზარალიანი. საბოლოო ფინანსური შედეგი ამ მეურნეობებისათვის შეადგენდა 21591 ათას მან. მოგებას (სამინისტროს მასშტაბით 29855 ათას მან.), ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 583,5 ათას მან. მოგება (სამინისტროს მასშტაბით — 131,5 ათას მან. მ. შ. რენტაბელური მეურნეობისათვის — 240,3 ათას მან.), საერთო რენტაბელობის დონე თვითღირებულებათა შეფარდებით 47,2% და ძირითად საწარმოო ფონდებთან შეფარდებით 13,7% (სამინისტროს მასშტაბით 17,0% და 4,0%), რეალიზებული სას.-სამ. პროდუქციის რენტაბელობის დონე 50,0% (სამინისტროს მასშტაბით 25%).

საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები ცალკეული საწარმოო მიმართულების საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რასაც გვიჩვენებს საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტრესტების 1975 წლის მონაცემები (ცხრ. 2).

როგორც მე-2 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებიდან ყველაზე მაღალი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები აქვს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტისა და ასევე მევენახეობა-მეხილეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ორ-სამჯერ და მეტად აღემატება სამინისტროს საშუალო მაჩვენებლებს.

1975 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის მეურნეობებმა მიიღეს მოგება ჩაის ხარისხოვანი ფოთლის რეალიზაციიდან — 24145 ათასი მან. და ციტრუსების ნაყოფის რეალიზაციიდან — 10200 ათასი მან. (სულ ტრესტის მასშტაბით საბოლოო ფინანსური შედეგი იყო 32699 ათასი



მან. მოგება). საშუალო-სარეალიზაციო ფასები შეადგენდა 1 ც ჩაი ადგილზე
 სა — 90.24 მან. და 1 ც ციტრუსების ნაყოფისა — 81 მან; **უპროდუქციო**
 პროდუქციის საშუალო თვითღირებულებამ შეადგინა 1 ც ჩაი ადგილზე
 58.22 მან. და 1 ც ციტრუსების ნაყოფისა — 41.15 მან. რენტაბელობის დონე
 შესაბამისად შეადგენდა 55 და 98%.

ცხრილი 1

**საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების
 საქმიანობის ფინანსური შედეგები**

მაჩვენებლები	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
1. მეურნეობათა სეზონი რიცხვი	111	107	23
ა. მ. ა. რენტაბელური	117	172	197
ბ. სარეალიზაციო	24	24	93
2. სულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ მეურნეობათა რიცხვი	—	27	283
3. მოყვანილი წილი (აშშ-ს ექვართი)			
ა) მოგება (ათას მან.)	2 966	5 531	28112
ბ) საშუალო (ათას მან.)	15825	2 673	41916
4. საბოლოო ფინანსური შედეგი (ათას მან.):			
ა) რენტაბელური მეურნეობებისათვის — მოგება	16057	41572	6727
ბ) სარეალიზაციო მეურნეობებისათვის — ზარალი	674	11717	1223
ვ) ყველა მეურნეობისათვის — მოგება	1043	29855	4604
5. საბოლოო ფინანსური შედეგი საშუალოდ ერთ მეურნეობაზე გადაყვანილებით (ათას მან.):			
ა) რენტაბელური მეურნეობებისათვის — მოგება	152,8	240,3	25,7
ბ) სარეალიზაციო მეურნეობებისათვის — ზარალი	115,1	21,8	328,2
ვ) ყველა მეურნეობისათვის — მოგება	63,0	131,5	162,7
6. სეზონი რენტაბელობის დონე (%):			
ა) თვითღირებულებასთან შეფარდებით	12,0	17,0	15,0
ბ) რეალიზაციის საშუალო ფასებთან შეფარდებით	2,0	4,0	4,2
7. რეალიზებული სასაბჭოთა პროდუქციის რენტაბელობის დონე (ზარალი-მინუს დონა მიწისათვის) %:			
ა) ჩაი ხარისხიანი ფოთლის	9,0	25,0	19,0
ბ) მ. მ. ა) ჩაი ხარისხიანი ფოთლის	24,0	35,0	52,0
ბ) ციტრუსების ნაყოფის	59,0	69,0	8,0
ვ) ყველის	83,0	4,0	62,0
გ) ხილის	61,0	103,0	-4,0
დ) რძის	-17,0	-5,0	-5,0
ე) ხორცის (ყველა სახის)	-7,0	-15,0	-14,0

მევენახეობა-მეხილეობის ტრესტის მეურნეობებმა 1975 წელს ყურძნის რეალიზაციიდან მიიღეს 16715 ათასი მან. მოგება, ხოლო ხილის რეალიზაციიდან 234 ათასი მან. ზარალი (სულ ტრესტის მასშტაბით საბოლოო ფინანსური შედეგი იყო 14263 ათასი მან. მოგება). საშუალო-სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 1 ც ყურძნისა — 48.29 მან. და 1 ც ხილისა — 14.47 მან.; რეალიზებული პროდუქციის საშუალო თვითღირებულება შესაბამისად შეადგენდა 25.90 მან. და 15.14 მან.; ყურძნის რენტაბელობის დონე შეადგენდა 86% ხოლო ხილის ზარალიანობის დონე — 3.5%.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან დაკავშირებით საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სა-



საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტექნიკური საშუალო ფინანსური შედეგები

ტექნიკური საშუალო ფინანსური შედეგები
გ. შ. ტრასტები

მაჩვენებლები	საბჭო	გ. შ. ტრასტები					
		საბჭო	საბჭო	საბჭო	საბჭო	საბჭო	საბჭო
მურწეობათა სერთო რიცხვი	233	6	42	36	47	22	55
მ. შ. ა) რენტაბელური	187	6,7	30	31	25	12	31
ბ) ზარალიანი	46	2	12	6	22	10	24
2. საბოლოო ფინანსური შედეგი (ათას მან.):							
ა) რენტაბელური მურწეობებისათვის მოგება	67,71	32773	15711	4085	2553	2614	1,191
ბ) ზარალიანი მურწეობებისათვის ზარალი	21223	74	2428	408	3828	4594	4514
გ) ყველა მურწეობებისათვის (მოგება + ზარალი)	46043	32699	14283	3677	-1275	-980	3680
3. საბოლოო ფინანსური შედეგი საშუალოდ ერთ მურწეობაზე განვარტებით (ათას მან.):							
ა) რენტაბელური მურწეობებისათვის მოგება	359,7	489,1	557,02	131,3	112,1	101,2	321,8
ბ) ზარალიანი მურწეობებისათვის — ზარალი	228,2	37,0	202,33	68,0	174,0	189,0	183,1
გ) ყველა მურწეობებისათვის (მოგება + ზარალი)	132,7	473	340,1	102,1	-27,1	-44,5	161,3
4. სერთო რენტაბელობის დონე—%:							
ა) თვითღირებულებასთან შეფარდებით	13,0	50,0	34,0	20,2	-2,5	-0,02	8,6
ბ) ძირითად საწარმოო ფონდებთან შეფარდებით	4,2	10,0	7,0	7,0	-1,0	-0,08	2,0

ტექნიკური შესყიდვის ფასები გაუდიდათ კოლმურწეობებისათვის არსებული შესყიდვის ფასების დონემდე. გარდა ამისა, ცალკეული სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების სტიმულირების მიზნით, საბჭოთა მურწეობების მიმართ სახელმწიფო შესყიდვის ფასების პოლიტიკაში მთავრობის გადაწყვეტილებით რიგი კორექტივები იქნა შეტანილი. ასე, მაგალითად, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 აგვისტოს დადგენილებისა და 1969 წლის 10 მარტის № 512 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სსრ-ში საბჭოთა მურწეობებისათვისაც, რომლებიც სრულ სამურწეო ანგარიშზე არ იყვნენ გადაყვანილი, ჩაის ფოთლის შესყიდვის ფასები დაწესდა კოლმურწეობებისათვის არსებული ფასების დონეზე. ასევე 1969 წლიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბჭოთა მურწეობებისა და კოლმურწეობებისათვის დაწესდა ჩაის ფოთლის შესყიდვის ერთნაირი ფასები; სსრკ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით დაწესდა საფერმენტაციო თამბაქოზე კოლმურწეობებისა და საბჭოთა მურწეობებისათვის ერთიანი ფასები.



სახელმწიფო შესყიდვის ფასების გადიდება გახდა ერთერთი ძირითადი ფაქტორი საბჭოთა მეურნეობების ფინანსური შედეგების გაუმჯობესების სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებისთვის, მაგრამ შესყიდვის ფასების გადიდებას რიგ შემთხვევაში პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებაც მოჰყვა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ფინანსური შედეგების ზრდაზე. ასე მაგალითად, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 1 ც ჩაის ხარისხოვანი ფოთლის საშუალო-სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 1965 წელს — 55,23 მან., 1970 წელს — 81,03 მან. და 1975 წელს — 90,46 მან.; შესაბამისად თვითღირებულებამ შეადგინა 1965 წელს — 44,24 მან., 1970 წელს — 59,66 მან. და 1975 წელს — 57,81 მან. მართალია დანახარჯების ზრდა გაპირობებულია მეჩაიეობაში წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ზრდით, მაგრამ მიღწეული უნდა იქნეს ინტენსიფიკაციის ეკონომიური ეფექტიანობის ზრდაც, რომ დამატებით გაწეული დანახარჯების უკუგება იყოს უფრო მაღალი.

დაგვეგვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებზე საბჭოთა მეურნეობების გადაყვანის დამთავრება უზრუნველყო სსკპ ცვ და სსრკ მინისტრთა საბჭოთა 1973 წლის 20 ნოემბრის დადგენილების წარმატებით განხორციელებამ: ამ დადგენილების საფუძველზე 1974 და 1975 წლებში ყველა ზარალიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობები გადაყვანილი იქნა სრულ სამეურნეო ანგარიშზე შეღავათიან ფინანსურ პირობებში, დაბალრენტაბელური მეურნეობათა რიცხვს კომუნის 10%-ზე დაბალი რენტაბელობის მქონე მეურნეობები, ცალკეულ შემთხვევაში, როცა მოგების მასა მცირეა და ძირითადი წონდებით აღჭურვილობის დონე დაბალია. მაშინ დაბალრენტაბელურ მეურნეობათა სიაში შეიტანება 10%-ზე მაღალი რენტაბელობის მქონე მეურნეობებიც. ასევე დასაშვებია ამ სიაში შეტანილი იქნეს წინა წლებში სრულ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე მეურნეობებიც. ასეთ მეურნეობათა სია მტკიცდება მოკლევადიანი რესპობლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი ზარალიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობები საწარმოო დანიშნულების კაპდაბანდებებზე და ასევე რიგ სხვა სამეურნეო ღონისძიებებზე საკუთარი საშუალებების უცმარისობისას ლეზულობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებებს.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე 1974 — 1975 წლებში დამთავრდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეზავალი ყველა ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. 1974 წელს სრულ სამეურნეო ანგარიშზე ფინანსური შეღავათების პირობებში მუშაობდა 175 საბჭოთა მეურნეობა (მათ შორის 74 ზარალიანი და 101 დაბალრენტაბელური მეურნეობა), რომლებმაც სამეურნეო წელი საერთო მასშტაბში უმნიშვნელო ზარალით დაამთავრეს და ზარალიანობის დონემ — 0,2% შეადგინა. 1975 წელს ასეთ მეურნეობათა რიცხვი 199 შეადგენდა, მათ შორის 83 ზარალიანი და 116 დაბალრენტაბელური მეურნეობა. 1975 წელს ამ მეურნეობებმა მიიღეს 32747 ათასი მან. მოგება და 30789 ათასი მან. ზარალი, საბოლოო ფინანსურმა შედეგმა შეად-



გინა: დაბალრენტაბელური მეურნეობებისათვის — 18222 ათასი მან. მოგება (ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 157,1 ათასი მან. მოგება); ზარალიანი მეურნეობებისათვის — 16264 ათასი მან. ზარალი (ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 195,9 ათასი მან. ზარალი), ყველა (199) მეურნეობისათვის 1958 ათასი მან. მოგება (საშუალოდ ერთ მეურნეობაზე 9,8 ათასი მან. მოგება) და საერთო რენტაბელობის დონე თვითღირებულებასთან შეფარდებით — 11,2%, მართალია სამინისტროს მასშტაბით საბჭოთა მეურნეობების საერთო რიცხვიდან (263) უმეტესი ნაწილი (199) ზარალიანი და დაბალრენტაბელურია, მაგრამ უმცირეს ნაწილში — 84 მეურნეობაში მიიღება ისეთი მაღალი ფინანსური შედეგები, რომლებიც გადაფარავენ 199 მეურნეობის დაბალ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფენ სამინისტროს სისტემის მეურნეობებისათვის საერთოდ საშუალო მაჩვენებლებს.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების ფინანსური საქმიანობის სრულყოფამ ხელი შეუწყო ძირითადი ფონდების გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რასაც მეტყველებს მე-3 ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ზარალიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობების ძირითადი ფონდებში აღქვრეობის დონე მიიზღველოვანად ჩამორჩება სამინისტროს მასშტაბით საშუალო დონესა და ასევე მაღალრენტაბელური მეურნეობების დონეს. 1975 წელს აღნიშნულ მეურნეობებში საშუალოდ სას.-სამ დანიშნულება ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობა შეადგენდა: ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებული

ცხრილი 3

საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი ფონდების გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის ზოგიერთი მაჩვენებელი

მაჩვენებლები	1965 წ.	1970 წ.	1975 წ.
1. სას. სამ. დანიშნულებაში ძირითადი საწარმოო ფონდები	7,0	2,9	3,8
ა) ერთ მეურნეობაზე — მან. მან.	10,0	81,0	110,0
ბ) 100 ჰა. სას. სამ. საფარველზე — ათას მან.	2,96	4,27	6,1
2. ა) ფონდტევადობის მაჩვენებელი (სას.-სამ. დანიშნ. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 100 მან. საერთო პროდუქტობაზე)	296	345	190
ბ) იგივე მაჩვენებელი ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	209	260	319
3. ა) ფონდტევადების მაჩვენებელი (საერთო პროდუქტობის მოცულობა სას. სამ. დანიშნ. ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველ 100 მანეთზე)	34	28	25
ბ) იგივე მაჩვენებელი ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	47	38	31
4. საბოლოო ფინანსური შედეგი — მოგება:			
ა) ყოველ 100 ჰა. სას. სამ. საფარველზე — მან.	18,0	3700	4650
ბ) ყოველ 100 მან. სას. სამ. დანიშნ. ძირითადი საწარმოო ფონდებზე მან.	3,14	4,57	4,20
იგივე მაჩვენებელი ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	4,29	6,06	5,17
გ) ერთ საშუალო-წლიურ მომეშავებზე — მან.	93,0	195,0	256,0



ზით 3,1 მილიონ მან, 100 ჰა სას.სამ. სავარგულზე — 70,7 ათასი მან. სოც. საშუალო-წლიურ მომუშავეზე — 4,2 ათასი მან. სწორედ ფონდებზე ახსნის ელობის დაბალი დონე იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1975 წლის ექვთიას თიან ფინანსურ პირობებში მუშაობდა რესპუბლიკის 83 ზარალიანი და 116 დაბალრენტაბელური მეურნეობა (116 მეურნეობიდან გარკვეულ ნაწილს 10%-ზე მაღალი რენტაბელობის დონე ჰქონდა, მათ შორის 29 მეურნეობას 25%-ზე მაღალი რენტაბელობის დონეც ახასიათებდა — საშუალოდ გეგმით — 22,3% და ფაქტიურად — 40,0%).

სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში საბჭოთა მეურნეობების კაპიტალბანდება დაფინანსების წყაროებში იზრდება საკუთარი დაგროვებისა და სახბანკოს გრძელვადიანი კრედიტების როლი. სსრ კავშირის მასშტაბით სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მეურნეობებს გრძელვადიანი კრედიტების ნაშთი გააჩნდათ 1970 წლის ბოლოსათვის — 417,0 მლნ. მან., ხოლო 1974 წლის ბოლოსათვის — 4407,0 მლნ. მან. საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობებისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1970 წლის ბოლოსათვის — 6,3 მლნ. მან. და 1975 წლის ბოლოსათვის 11,8 მლნ. მან. მნიშვნელოვნად შემცირდა საბჭოთა მეურნეობებისათვის საბიუჯეტო დაფინანსება. სამინისტროს მასშტაბით დასაფინანსებელ კაპიტალბანდებათა (ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული) მოცულობა შეადგენდა: 1965 წ. — 63,2 მლნ. მან., 1970 წ. — 92,2 მლნ. მან. და 1975 წ. — 110,7 მლნ. მან. ე. ი. 1965 — 1975 წლებში გაიზარდა 1,75-ჯერ; შესაბამისად კაპიტალბანდებათა საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენდა: 1965 წ. — 52,9 მლნ. მან., 1970 წ. — 68,3 მლნ. მან. და 1975 წ. — 76,6 მლნ. მან., ე. ი. 1965 — 1975 წლებში გაიზარდა მხოლოდ 1,49-ჯერ, ამავე დროს 1975 წელს საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მეურნეობების კაპიტალბანდებათა მთელი საბიუჯეტო დაფინანსება 74,9% (78,6 მლნ. მანეთიდან 58,9 მლნ. მან.) მოდის ზარალიანი და დაბალრენტაბელური მეურნეობების კაპიტალბანდებათა საბიუჯეტო დაფინანსებაზე. მაღალრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალბანდებათა დაფინანსების ძირითადი წყარო ხდება საკუთარი დაგროვება მოგების ანგარიშზე.

საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მეურნეობებმა 1975 წელს ეკონომიური სტიმულირებისა და სპეციალური დანიშნულების ფონდებში ჩარიცხეს 29,5 მლნ. მან. (რაც საბოლოო ფინანსური შედეგის — წმინდა მოგების 85% შეადგენს). მათ შორის მატერიალური წახალისებით ფონდში — 8,5 მლნ. მან., სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბიზნო მშენებლობის ფონდში — 6,7 მლნ. მან., მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში — 6,6 მლნ. მან., სადაზღვევო ფონდში — 3,2 მლნ. მან., საპრემიო ფონდებში — 1,5 მლნ. მან. და სხვა დანარჩენ ფონდებში — 2,9 მლნ. მან. მეურნეობათა ფინანსურ სიმყარეზე მიუთითებს აღნიშნულ ფონდებში სახსრების გარდამავალი ნაშთების ზრდა (1975 წლის 1/1-თვის ნაშთი შეადგენდა — 50,4 მლნ. მანეთს, ხოლო 1976 წლის 1/1-თვის — 60,9 მლნ. მანეთს). მეურნეობათა მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა ხელა უწყობს სამინისტროს ხელში კონცენტრირებული ცენტრალური სადაზღვევო ფონდი. მარტო 1975 წელს ამ ფონდიდან სისტემაში შემავალ მე-
9. შრომები, ტ. 99, 1977.



ურნეობებს მოხმარდა 12,67 მლნ. მან., (მათ შორის სტიქიური უკუაქროების შედეგად მიღებული ზარალის დასაფარავად 1,85 მლნ. მან.) და მშენებლობათა შესავსებად და სხვა მიზნებისათვის 11,72 მლნ. მან.

1975 წელს რესპუბლიკის ყველა — 283 საბჭოთა მეურნეობაში წარმოების შემდგომ განვითარებას მოახმარა მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდიდან 3,44 მლნ. მანეთი (მათ შორის ზარალიანი და დაბალრენტაბელური 199 მეურნეობის ანგარიშზე მოდის მხოლოდ 1,38 მლნ. მან.). აქედან 7,12 მლნ. მოხმარდა არაკენტრალიზებულ კადაბანდებთან დაფინანსებას. მათ შორის 2,23 მლნ. მან. საწარმოო დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობას და მოწყობას. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება. ამ მიზანს მარტო 1975 წელს სხვადასხვა ფონდიდან მოხმარდა 3,6 მლნ. მან., მათ შორის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე — 0,77 მლნ. მან., კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე — 0,44 მლნ. მან., კაპიტალურ რემონტზე — 0,65 მლნ. მან., კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებაზე — 0,21 მლნ. მან. და სხვ. ეს მიუთითებს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე. 1975 წელს სამინისტროს სისტემის მეურნეობებში მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემიებისა და სხვა გაკეთათა სახით დაიხარჯა 6,57 მლნ. მან. მათ შორის მუშებზე გაიცა 5,39 მლნ. მან. ანუ 82% (მათ შორის პრემია სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით — 4,36 მლნ. მან.).

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საბჭოთა მეურნეობების ურთიერთობანი სახელმწიფო ბიუჯეტთან რეგულირებულია მთავრობის მიერ დადგენილი მყარი ნორმატივებით. საბჭოთა მეურნეობა სახბიუჯეტს უზღის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად საწარმოო ფონდებზე გადასახდელს ამ ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების (მრავალწლიანი ნარგავების და პროდუქტული პირუტყვის ღირებულების გამოკლებით და სხვა შეღავათების გათვალისწინებით) 1% მოცულობით, თუ მეურნეობის რენტაბელობის დონე (თვითღირებულებასთან შეფარდებით) 25%-ზე მაღალია. 1975 წლის მონაცემებით საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის 283 მეურნეობიდან 187 იყო რენტაბელური აქედან მხოლოდ 84 მეურნეობა (ანუ საერთო რაოდენობის 29,9%) იყო 25%-ზე მაღალი რენტაბელობის მქონე, რომლებმაც ბიუჯეტში ფონდებზე გადასახდელის სახით შეიტანეს 1,46 მლნ. მან. სამინისტროში შემავალი ტრესტების მიხედვით 25%-ზე მაღალი რენტაბელობის დონით ხასიათდებოდა: ჩარსა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის — 47 მეურნეობა (ფონდებზე გადასახდელი — 606 ათასი მან.), მევენახეობა-მეხილეობის ტრესტის — 19 მეურნეობა (341 ათასი მან.), აგროსამრეწველო გაერთიანების — 13 მეურნეობა (157 ათასი მან.); სანერგე მეურნეობების ტრესტის — 8 მეურნეობა (340 ათასი მან.), მეცხოველეობის ტრესტის — 5 მეურნეობა (41 ათასი მან.) და საქფრინველმრეწვის 1 ფაბრიკა (82 ათასი მან.); 25%-ზე მაღალი რენტაბელობის მქონე 84 მეურნეობიდან 29 (ანუ 34,5%) იყო შეღავათიან ფინანსურ პირობებში მომუშავე მეურნეობები, რომელთაც ბიუჯეტში შეიტანეს ფონდებზე გადასახდელი — 453 ათასი მან. (ანუ სამინისტროს მასშტაბით გადასახდელის 31,0%/).

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეურნეო ანგარიშს პირობებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა: გაუმჯობესდა ფინანსური საქმიანობა და მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა. რა თქმა უნდა, საბჭოთა მეურნეობების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ მცირე პერიოდია რაც მუშაობს ახალ პირობებში, ამდენად ერთი და ორი-სამი წლის მაჩვენებლებით არ შეიძლება სრულყოფილად ეიმსჯელოთ საბოლოო შედეგებზე.

Ш. И. БЕНИЯ

АНАЛИЗ ФИНАНСОВЫХ РЕЗУЛЬТАТОВ ДЕЯТЕЛЬНОСТИ СОВХОЗОВ В УСЛОВИЯХ ПОЛНОГО ХОЗРАСЧЕТА (НА ПРИМЕРЕ СОВХОЗОВ ГРУЗИНСКОЙ ССР)

Резюме

В статье проанализированы финансовые результаты деятельности совхозов Грузинской ССР в условиях полного хозрасчета. Изучены финансово-экономические показатели совхозов республики за 1965-1975 гг.

В Грузинской ССР, как и по СССР, совхозы занимают ведущее место в деле развития сельского хозяйства. За 1965-1975 гг. в совхозах системы министерства сельского хозяйства республика объем производства валовой продукции сельского хозяйства возрос в 2,18-раз, фондооснащенность совхозов увеличилась почти в 2 раза.

Особенности финансовых отношений совхозов обусловлены особенностями сельскохозяйственного производства и экономической политикой государства в сельском хозяйстве. В статье рассмотрены множества мероприятий, проведенных партией и правительством по совершенствованию финансовых отношений в совхозах.

Совершенствование хозрасчетных отношений в сельском хозяйстве привело к коренным изменениям в организации финансов, усилилась роль прибыли в расширенном воспроизводстве и экономическом стимулировании коллективов хозяйств. На основании постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 13 апреля 1967 года в порядке эксперимента начался перевод совхозов на полный хозрасчет, а на основе постановления от 20 ноября 1973 года в 1974-1975 гг. осуществился перевод



низкорентабельных и убыточных совхозов на работу в новых условиях с установлением определенных финансовых льгот. К концу 1975 года в новых условиях планирования и экономического стимулирования хозяйственной деятельности осуществляли все совхозы системы МСХ СССР.

Совхозы системы МСХ Грузинской ССР в условиях полного хозрасчета работали: в 1968 году — 5, 1970 году — 37, 1972 год — 59 и 1975 г. — все 283 совхоза.

Перевод на полный хозрасчет обеспечил в совхозах полное возмещение производственных затрат за счет собственных средств, последующее развитие производства, создание фондов экономического стимулирования и др. Возросла независимость совхозов и повысилась их ответственность за результаты производства. В условиях полного хозрасчета большая часть прибыли остается в расположении самих хозяйств.

Анализ финансово-экономических показателей за 1965-1975 гг. совхозов системы МСХ Грузинской ССР и их отдельных трестов подтверждает положительное влияние полного хозрасчета на экономическое положение хозяйств. В 1970 году в среднем на один совхоз, находящийся на полном хозрасчете, приходилось 583 тыс. руб. прибыли, уровень рентабельности в соотношении к себестоимости — 47,2% и в соотношении к основным производственным фондам — 13,7%, а в масштабе министерства эти показатели соответственно составляли: 131,5 тыс. руб. (для рентабельных совхозов — 240,3 тыс. руб.), 17,0% и 4,0%.

Из совхозов республики самые высокие финансово-экономические показатели имеют совхозы треста чая и субтропических культур и треста виноградарско-плодоводческих совхозов, показатели которых в два-три раза и более превышают средние показатели министерства. В 1975 году в совхозах треста чая и субтропических культур уровень рентабельности производства сортового чайного листа составлял 55%, а в цитрусовых — 98%. В совхозах виноградарско-плодоводческого треста в 1975 году уровень рентабельности производства винограда составлял 86%, а производства плодов было убыточным (уровень убыли — 3,5%).

Повышение государственных закупочных цен стало одним из основных факторов для улучшения финансовых результатов совхозов и последовательного осуществления принципов полного хозрасчета; но за повышением закупочных цен в ряде случаев последовал и рост себестоимости продукции, что отрицательно влияло на рост финансовых результатов. В совхозах МСХ Грузинской ССР средняя реализационная цена одного

центнера сортового чайного листа составляла: в 1965 г. — 55,23 руб., в 1970 г. — 81,03 руб. и 1975 г. — 90,46 руб.; соответственно себестоимость составила: 44,24 руб., 59,66 руб. и 57,81 руб., хотя и обусловлен ростом уровня интенсификации в чаеводстве, но должен быть достигнут и рост экономической эффективности интенсификации, чтобы отдача дополнительных затрат была высокой.

Совершенствование финансовых отношений в совхозах республики способствовало росту основных производственных фондов и повышению эффективности производства. В совхозах системы МСХ ГССР объем основных производственных фондов сельскохозяйственного назначения в расчете на один совхоз составлял: в 1965 г. — 2,0 млн. руб., 1970 г. — 2,9 млн. руб. и 1975 г. — 3,8 млн. руб.; а в расчете на одного среднегодового работника соответственно составлял: 2,96 тыс. руб., 4,27 тыс. руб. и 6,1 тыс. руб.; прибыль на каждый 100 га с/х угодий составила: в 1965 г. — 1898 руб., 1970 г. — 3700 руб. и 1975 г. — 4650 руб., а на одного среднегодового работника соответственно: 93 руб., 195 руб. и 256 руб.

В статье проанализирована деятельность низкорентабельных и убыточных совхозов системы МСХ ГССР, переведенных в 1974-1975 годах на новые условия работы. В 1974 году в условиях финансовых льгот на полном хозрасчете работало 175 совхозов (в т.ч. 74 убыточных и 101 низкорентабельных), которые хозяйственный год окончили с незначительным убытком и уровень убыточности составлял — 0,2%. В 1975 году число таких совхозов составило 199 (в т.ч. 83 убыточных и 116 низкорентабельных). Конечные финансовые результаты составляют для низкорентабельных совхозов 18222 тыс. руб. прибыли (в среднем на один совхоз 157,1 тыс. руб.), а для убыточных совхозов — 16264 тыс. руб. убыли (в среднем на один совхоз 195,9 тыс. руб. убыли). Верно, что в масштабе министерства из общего числа совхозов (283), большая часть (199) убыточна и низкорентабельна, но в меньшей части — в 84 совхозах получены такие высокие финансовые результаты, которые перекроют низкие показатели 199 совхозов и обеспечат в общем средние показатели по министерству.

В условиях полного хозрасчета в источниках финансирования капитальных вложений совхозов возрастает роль собственного накопления и



долгосрочных кредитов госбанка. Находящиеся на полном хребасте совхозы республики имели остатки долгосрочных кредитов в начале 1975 года — 6,3 млн. руб., а к концу 1975 года — 11,8 млн. руб. В то же время в таблице министерства объем финансируемых капиталовложений в 1965-1975 годах возрос на 1,75-раз, соответственно бюджетное финансирование возросло только на 1,49-раз. В то же время в 1975 году от всего бюджетного финансирования капиталовложений совхозов системы МСХ ГССР 74,9% (из 76,8 млн. руб. 58,9 млн. руб.) приходится на финансирование капиталовложений убыточных и низкорентабельных совхозов. Ежегодно растут отчисления в фонды экономического стимулирования и специального назначения. В 1975 году в эти фонды совхозы республики перечислили 29,5 млн. руб., что составляет 85% конечного финансового результата. На финансовую устойчивость совхозов указывают рост переходящих остатков средств в указанные фонды (на 1.1. 1975 г. остаток составлял 50,4 млн. руб., а на 1.1. 1976 г. 60,6 млн. руб.). Устойчивое финансовое положение совхозов обеспечивает страховой фонд концентрированный в министерстве. Только в 1975 году с этого фонда совхозами использовано 12,6 млн. руб. (в т.ч. для покрытия убыли от стихийных бедствий — 1,85 млн. руб., а для пополнения оборотных средств и других целей — 11,72 млн. руб.).

Процесс последующей интенсификации сельскохозяйственного производства требует углублений ее специализации и кооперирования. Особую форму производственного кооперирования хозяйств представляет перевод трестов совхозов на хозрасчет, который осуществляется с 1975 года. Трест из административного органа управления превращается в хозрасчетный центр непосредственного руководства процессом производства.



ნ. ხარაიშვილი

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის ანალიზის ზომიერადი საკითხი საქართველოს სსრ კოლმეურნეობების მაგალითზე

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველს შეადგენს ძირითადი საწარმოო ფონდები, ტექნიკურ აღჭურვილობის ზრდასთან ერთად იზრდება სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის და მათი ოპტიმალური გამოყენების ანალიზის მნიშვნელობა.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ანალიზის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ეფექტიანობის მაჩვენებლების განსაზღვრას, მათ შიგნით: ფონდუქუება — სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის გამოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების ერთ მანეთზე და ფონდტევადობა — (შებრუნებელი მაჩვენებელი) — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების ერთ მანეთზე.

ფონდუქუების მაჩვენებელი არ იძლევა სრულ წარმოდგენას ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიურ ეფექტიანობაზე, რადგან მასში არ აისახება შრომის ნაყოფიერების დონის ცვლილება, სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესში ხელით შრომა იცვლება მანქანური და ამასთანავე იზრდება ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება, მაღლდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება მაკამ ყოველთვის არ ხდება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების ზრდა.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის დამახასიათებელ მაჩვენებელს შრომის ნაყოფიერების ცვლილების გათვალისწინებით წარმოადგენს მოგების ნორმა, რომელიც გაიანგარიშება საბჭოთა მეურნეობებში საბალანსო მოგების, ხოლო კოლმეურნეობებში წმინდა შემოსავლის შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობებში საერთო შემოსავლის შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიურ ღირებულებასთან ახასიათებს შრომის ფონდაღჭურვილობის და ენერგოაღჭურვილობის ზრდის გავლენას შრომის ნაყოფიერების ცვლილებაზე.



სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ენერგოალტურვილობის, ფონდალტურვილობისა და შრომის ნაყოფიერების ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველს წარმოადგენს შრომის ენერგო და ფონდალტურვილობის ზრდა.

ენერგოალტურვილობის ზრდა წინ უნდა უსწრებდეს ფონდალტურვილობის ზრდას, ხოლო შრომის ნაყოფიერება უფრო სწრაფი ტემპით უნდა იზრდებოდეს ვიდრე ფონდალტურვილობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული წარსული და ცოცხალი შრომის დანახარჯების ეკონომია. აღნიშნულ ურთიერთკავშირებს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები (ცხრ. 1).

ცხრილი 1.

შრომის ენერგოალტურვილობის, ფონდალტურვილობის და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

მაჩვენებლები	წლები		% -ით 1975 წელს 1970 წელთან შედარებით
	1970	1975	
ენერგეტიკული რესურსები ერთ საშუალო წლიურ მუშაზე გაანგარიშებით (ცხ. 6.) ...	5,27	3,82	116,8
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ერთ საშუალო წლიურ მუშაზე ათას მან. ...	1,76	2,44	138,6
საერთო პროდუქციის ღირებულება ერთ საშუალო წლიურ მუშაზე (ათას მან.) ...	1,23	1,74	141,4

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ენერგოალტურვილობის და ფონდალტურვილობის ზრდამ განაპირობა შრომის ნაყოფიერების დონის ნიშნულთან ამაღლება. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდა 41,4%-ით გამოწვეულია ცოცხალი შრომის დანახარჯების შემცირების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად საერთო პროდუქციის წარმოების ზრდის გავლენით. აღნიშნული ფაქტორების გავლენის განსაზღვრისათვის საჭიროა გაანგარიშებული იქნეს დამატებითი მაჩვენებელი — ერთი საშუალო წლიური მუშაის საშუალო წლიური გამომუშავება, როგორც საბაზისო წლის საერთო პროდუქციის ღირებულების შეფარდება საანგარიშო წლის მუშაეთა რიცხვთან. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საბაზისო — 1970 წელს წარმოებული იყო 471353 ათასი მან. ხოლო 1975 წელს 567156. ათასი მან. საერთო პროდუქცია: სასოფლო-სამეურნეო წარ-

მოგებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი შესაბამისად შეადგენდა 384,2 ათასს და 325,1 ათას კაცს. ერთ საწარმოო მუშაკზე საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენდა 1970 წელს 1230 მან., 1975 წელს — 1740 მან. საერთო პროდუქციის ღირებულების შეფარდება 1970 წლის წინა წლიურ რიცხვთან შეადგენს 1450 მან. ცოცხალი შრომის ეკონომიის შედეგად საშუალო წლიური გამომუშავება გაიზარდა 17,8%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების ზრდის შედეგად 23,5%-ით. შრომის ნაყოფიერების ზრდა ძირითადად განპირობებულია ძირითადი საწარმოო ფონდებით და ენერგეტიკული რესურსებით კოლმეურნეობების აღჭურვილობის ზრდის შედეგად. შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამავე დროს საწარმოო მუშაკთა რიცხვის შემცირებამ 1975 წელს 1970 წელთან შედარებით 59181 კაცით.

ფონდუკუგება და რენტაბელობა ახასიათებს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის ორ მხარეს: ფონდუკუგების დონე გვიჩვენებს თუ რამდენად უზრუნველყოფს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება პროდუქციის წარმოების ზრდას, ხოლო მოგების ნორმა გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებენ ძირითადი საწარმოო ფონდები შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1970 წელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების ერთ მანეთზე მოდიოდა 0,69 მან. საერთო პროდუქცია და 0,09 მან. წმინდა შემოსავალი. აღნიშნული მაჩვენებლები 1975 წელს შესაბამისად შეადგენდა 0,72 მან. და 0,11 მან. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით პირველი მაჩვენებელი გაიზარდა 4,2%-ით, მეორე — 22,2%-ით.

ფონდუკუგებაზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი: საერთო პროდუქციის მოცულობის და ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების ცვლილება. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ფონდუკუგების დამატებითი პირობითი მაჩვენებელი (1970 წლის საერთო პროდუქციის ღირებულების შეფარდება 1975 წლის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან) უდრის 0,59 მან. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდამ 116.577 ათასი მანეთით ფონდუკუგების მაჩვენებელი შეამცირა 0,10 მანეთით. აღნიშნული ცვლილება შეიძლება ჩაითვალოს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის პოტენციური შესაძლებლობა არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების უფრო რაციონალურად გამოყენებით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფონდების საშუალო წლიური ღირებულების 1 მან-ზე საერთო პროდუქციის ზრდა შეადგენს 0,13 მან.

ანალიზის შედეგად შეიძლება გავაცეთთ დასკვნა, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ფონდუზრუნველყოფის და შრომის ფონდაქტიურობის არსებული დონის პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დამატებითი კაპიტალური დაბანდებები დაბალი ეკონომიური ეფექტით ხასიათდება და დანახარჯების დაფარვა არ ხდება დამატებით წარმოებული საერთო პროდუქციით.



ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრა საწარმოს საბრუნავი ფონდების და შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. კოლმეურნეობების ფარგლებში საწარმოო ფონდების საბრუნავი ფონდების ხვედრითი წილი შეადგენს 30 — 35% -ს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესში მთელ რიგ შემთხვევაში საბრუნავი ფონდების ზრდის ტემპი უსწრებს ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპს.

ფონდუკუგებაზე საბრუნავი ფონდების გამოყენების გავლენის განსაზღვრისათვის აუცილებელია ფონდუკუგების მაჩვენებელი გაანგარიშებული იქნეს, როგორც საერთო პროდუქციის და წმინდა შემოსავლის შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების და მოხმარებულ საბრუნავ საშუალებათა ღირებულების ჯამთან. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების და მატერიალური დანახარჯების ერთ მანეთზე 1970 წელს წარმოებული იყო 0,55 მან. საერთო პროდუქცია და 0,07 მან. წმინდა შემოსავალი, ხოლო 1975 წელს შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდა 0,48 მან. და 0,06 მან.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, ფონდუკუგების მაჩვენებლების დინამიკაში შეიმჩნევა უარყოფითი ტენდენცია. 1975 წელს 1970 წელთან შედარებით ფონდუკუგების მაჩვენებელი (საბრუნავი საშუალებების ჩათვლის გარეშე) გაიზარდა 4,2% -ით, ხოლო ძირითადი საწარმოო ფონდების და მოხმარებულ საბრუნავ საშუალებათა ჯამის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგების მაჩვენებელი შემცირდა 12,8% -ით. ცხადია, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საანალიზო პერიოდში დაშვებული იქნა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადახარჯვა, გაიზარდა დანახარჯები მემცენარეობის და მეცხოველეობის დაუმთავრებელ წარმოებაზე.

სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. აღნიშნულ მაჩვენებელზე დამოკიდებულია წარმოების მოცულობის, მეურნეობის მოგების და რენტაბელობის ზრდა. შრომითი რესურსების გამოყენება პირდაპირ დამოკიდებულებაშია ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან.

სოფლის მეურნეობაში სამუშაო დროის გამოყენება განისაზღვრება წლის განმავლობაში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობით, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა — კაცსაათებში. მოხმარებული ცოცხალი შრომის რაოდენობის გაზომვისათვის არაპირდაპირ მაჩვენებელს წარმოადგენს შრომის ანაზღაურების ფონდი. იმისათვის რომ განისაზღვროს ცოცხალი შრომის გამოყენების გავლენა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე საჭიროა გაანგარიშებული იქნეს ფონდუკუგების მაჩვენებელი როგორც საერთო პროდუქციის ღირებულების და წმინდა შემოსავლის შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების, მოხმარებულ საბრუნავ საშუალებათა და შრომის ანაზღაურების ფონდის ჯამთან. პირველი ორი მაჩვენებლისაგან განსხვავებით ეს უკანასკნელი წარმოადგენს ზოგად მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს წარმოების საშუალებების და სამუშაო ძალის გამოყენების



ეკონომიურ ეფექტიანობას. შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ერთად აღნიშნული მაჩვენებელი უფრო სწრაფი ტემპით უნდა იზრდებოდეს. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ფონდების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების ტერიალურ დანახარჯების და შრომის ანაზღაურების ჯამის ერთ მანეთზე 1970 წელს წარმოებულ იქნა 0,42 მან. საერთო პროდუქცია და 0,06 მან. წმინდა შემოსავალი. აღნიშნული მაჩვენებლები 1975 წელს შესაბამისად შეადგენდა 0,38 მან. და 0,05 მან. ფონდუკუგების ეს უკანასკნელი მაჩვენებელი, ისე როგორც ფონდუკუგების მეორე მაჩვენებელი, ხასიათდება შემცირების ტენდენციით. მის ცვლილებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება, მოხმარებული საბრუნავი ფონდები და შრომის ანაზღაურების ფონდი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები დიდ ღონისძიებებს ატარებდნენ მეექვსე ხუთწლედში სარწყავი სისტემის განვითარებისა და ამოშრობილი მიწების ფართობების გადიდებისათვის. მეექვსე ხუთწლედის წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ზემო საშვარის, მუხრანის და ტაშისკარის სარწყავი სისტემები, რომლებიც რწყავდა 46,7 ათას ჰა ფართობს. სარწყავქსელიანი მიწის ფართობმა 1957 წელს მიაღწია 319,6 ათას ჰა-ს. ხოლო 1958 წელს იგი უდრიდა 333,2 ათას ჰა-ს. სამი წლის განმავლობაში (1955 — 1958) სარწყავქსელიანი მიწების ფართობი 26,5 ათასი ჰა-ით გადიდდა და 3,5-ჯერ გაიზარდა 1921 წელთან შედარებით. მარტო მეხუთე ხუთწლედში კოლხეთის ინგურ-ხუმუშქურის და წითელგორას ამოშრობილმა ფართობებმა შეადგინა 54,4 ათასი ჰა [5], ხოლო 1960 წელს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავქსელიანი მიწების ფართობი 340 ათას ჰა-ს უდრიდა [6].

სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში სარწყავქსელიანი და ამოშრობილი ფართობების მნიშვნელოვანი რაოდენობით მოქცევამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მიწათმოქმედებაში ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმმა შეიმუშავა ჭიმოური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ღონისძიებანი.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ჭიმოური მრეწველობის ობიექტების მშენებლობასა და მათი საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებას, რის შედეგადაც სწრაფი ტემპით იზრდებოდა მინერალური სასუქების წარმოება. ასე, მაგალითად, მეხუთე ხუთწლედის დასასრულს საქართველოში წარმოებულ იქნა 30 ათასი ტ მინერალური სასუქი, 1956 წელს კი მისმა წარმოებამ 94,8 ათას ტ მიაღწია. ხოლო 1958 წელს გამოშვებულ იქნა 230 ათასი ტ მინერალური სასუქი [7]. სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მინერალური სასუქების წარმოება 20ს ათასი ტონით გაიზარდა.

1960 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო 250,1 ათასი ტ მინერალური სასუქი.

სკკპ XX ყრილობამ დასახა რა სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის ღონისძიებანი, თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, „საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს შემდგომი მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში, უმოკლეს ვადაში განხორციელდეს ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციიდან ათელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა“ [8].



მეექვსე ხუთწლედში საქართველოს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. რესპუბლიკის მანქანატრაქტორთა პარკი ყოველწლიურად ივსებოდა ახალი მარცვლებით, კომბაინებითა და სატვირთო ავტომობილებით. 1954 წლის დასაწყისში მარცვლებით 1960 წლის დასაწყისისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მანქანატრაქტორთა პარკში ტრაქტორების რაოდენობა (15 ძალიანზე გაანგარიშებით) გაიზარდა 3726 ცალით, ხოლო ტრაქტორების სიმძლავრე 55,9 ათასი ცხენის ძალით. მარცვლეულის ასაღები კომბაინების რაოდენობა — 356 ცალით და სატვირთო ავტომობილების — 1091 ცალით. 1960 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ირიცხებოდა 8173 ტრაქტორი (ფიზიკური ერთეული), 1730 ცალი მარცვლის ასაღები კომბაინი, 8732 სატვირთო ავტომობილი.

1960 წელს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკაში მექანიკური ძრავის ხაზდრითი წონა უდრიდა 94%-ს, ხოლო მუშა პირუტყვისა — 6,0%-ს. მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშა პირუტყვი თითქმის ერთადერთი გამოყვეი ძალა იყო [9].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ, რომელიც შედგა 1958 წლის იანვარში, გეროვანი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის საკითხს და თავის გადაწყვეტლებაში ასე განაზღვრა რესპუბლიკის კომუნისტების ამოცანები: „მკვეთრად დაჩქარდეს სოფლების ელექტრიფიკაციის სამუშაოები, რათა 1965 წელს მთლიანად დამთავრდეს კოლმეურნეობების, მანქანატრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტრიფიკაცია“ [10].

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატება მიიღოვეს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის შესახებ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, რის შედეგადაც სოფლის ელექტროსადგურების სიმძლავრემ 1958 წელს 49,7 ათას კილოვატს მიაღწია, ხოლო 1959 წელს — 52,1 ათას კილოვატს. 1958 წელს სოფლის ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებულმა ელექტროენერგიამ 130,5 მილიონ კილოვატსაათს მიაღწია, 1959 წელს კი — 135,1 მილიონ კილოვატსაათს [11]. 1960 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 165,8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, იმავე წელს ელექტროთიკრიბობილი იყო 134 საბჭოთა მეურნეობა (მთელი საბჭოთა მეურნ. 91%), და 1131 კოლმეურნეობა (61%). 1960 წელს მარტო საწარმოო საპირიებისათვის საბჭოთა მეურნეობებმა დახარჯეს 18,7 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ხოლო კოლმეურნეობებმა — 34,6 მილიონი კილოვატსაათი [12].

სოფლის მეურნეობაში ელექტრიფიკაციის დონის ამაღლებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ელექტროენერგიის გამოყენებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას.

საქართველოს კომპარტიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სოციალისტური სოფლის მეურნეობის კადრებით განმტკიცებისა და სასოფლო რაი-



ონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და დაწესებულებებისათვის.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მეურნეობაში დასაქმებულ მარცვლეულის რიცხვი. 1960 წლის დასასრულისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 11437 სპეციალისტი [13]. მათ შორის უმაღლესი განათლებით — 4166 კაცი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ასევე კმედითი ღონისძიებები გაატარეს მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

შეექმნა ხელოვნური განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარცვლეულის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, წარმოების გაზრდების ღონისძიებებს. პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა ციმბირში, ყაზახეთში, ვოლგისპირეთში, ურალში ყამირი და ნასვენ მიწების ათვისების პროგრამა, მოკლე ვადაში ათვისებულ იქნა 36 მლნ. ჰა ყამირი და ნასვენი მიწები. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდებინა მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და გაგვეზარდა მარცვლეულის წარმოება. მარტო სამი წლის განმავლობაში (1954 — 1956) მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 1953 წლის 82,5 მლნ. ტ-დან 125 მლნ. ტ-მდე 1956 წელს. მარცვლეულის დამზადება კი 31-დან 54 მლნ. ტ-მდე გაზარდდა [14]. 1958 წელს სსრ კავშირში მარცვლეულის მოსავალი შეადგინდა 8 მლრდ. 621 მლნ. ფუტს, ნაცლად 1955 წლის 6 მლრდ. 518 მლნ. ფუტისა. მარცვლეული კულტურების საპექტარო მოსავლიანობა 1955 წლის 8,5 ცენტნერ-დან გაიზარდა 11,3 ცენტნერამდე 1958 წელს [15]. ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოება 1953 წელთან შედარებით 69%-ით გაიზარდა 1958 წელს. სახელმწიფომ 1958 წელს დაამზადა 3,5 მლრდ. ფუტი მარცვლეული [16]. ხოლო 1960 წელს სსრ კავშირში მიღებულ იქნა 8 მლრდ. 131 მლნ ფუტი მარცვლეული და შესყიდულ იქნა 2 მლრდ. 852 მლნ. ფუტი [17].

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მარცვლეული კულტურების წარმოებაში.

შეექმნა ხელოვნური პირველი — 1956 წელს, მიუხედავად დაგვიანებული და ცივი გაზაფხულისა, მარცვლეული კულტურების თესვა რესპუბლიკის რაიონებში უმრავლესობამ უფრო ორგანიზებულად და უკეთესად მოაწყო, ვიდრე წინა წლებში. რესპუბლიკის ბევრმა კოლმეურნეობამ 1956 წელს მიიღო თავთავიანი კულტურების მაღალი მოსავალი. ველისციხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 2575 ჰა შემოდგომის ხორბლის თითოეულ ჰა-ზე აღებულ იქნა 17 ც მარცვალი. შირაქის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰა-ზე — 16,4 ც, წითლის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში — 16,3 ც, ენისლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში — 16 ც [18] და ა. შ.

ხორბლის მოსავლის გაზრდებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს ულიანოვკის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა. საკოლმეურნეო პარ-



ტიული ორგანიზაციები, მტს-ის მუშაკები, კოლმეურნეობათა გამგებები და კოლმეურნეები აქტიურად დაირაზმნენ თავთავიანი კულტურების აგროტექნიკურ ვადებში დათესვისა და დამუშავებისათვის. ამ ზონის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მთელი ფართობის 95% დატესტილია მუშაკების მიერ და ვაჭრო მწკრივებად. დროზე ჩატარდა ნათესების გაწმენდა საჩვევლებისაგან და უზრუნველყოფილ იქნა მოსავლის უდანაყარგოდ აღება. ამის შედეგად ულიანოვკის მტს-ის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების 10000 ჰა ნათესი ფართობიდან საშუალოდ ჰა-ზე მიიღეს 15.3 ც მარცვლეული [19].

მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მარცვლეულის წარმოებაში თავის სახელეს ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა. რაიონში 9498 ჰა ნათესის თითოეული ჰა-დან მიღებულ იქნა 14.3 ც. მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ც-ისა. რაიონმა დროულად უზრუნველყო მოსავლის აღება და ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა [20].

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მარცვლეული კულტურების წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდა საშრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში, რომლებშიც მარცვლეულის საერთო მოსავალი 1957 წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა 1958 წელს. ოლქის კოლმეურნეობებმა 1958 წელს ჰა-ზე მიიღეს 10 ც საშემოდგომო ხორბალი და ქერი და 14 ც სიმინდი. 1957 წელთან შედარებით 1958 წელს ხორბლის საშუალო მოსავალი ჰა-ზე გაიზარდა 2.7 ც-ით და სიმინდის — 3.2 ც-ით. ოლქის რიგმა კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰა-ზე მიიღეს 30 ც ხორბალი და 70 ც-მდე სიმინდი [21].

1956 — 1958 წლებში პურეულის წარმოება მნიშვნელოვნად გააძლიერდა წითელწყაროს, სიღნაღის, მარნეულის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის, ხაშურის და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. 1957 წელს საქართველოში ხორბლის მთლიანი წარმოების 19.8% მოდიოდა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებზე, 9.8% — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებზე, 6.4% — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებზე [22] და ა. შ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა მარცვლეულის წარმოების გადიდების უდიდეს რეზერვად მიიჩნია სიმინდის ნათესების გაფართოება. სიმინდი, როგორც ყველაზე მოსავლიანი მარცვლეული კულტურა, ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და მესაქონლეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღეს სიმინდის წარმოების გადიდებისათვის. რესპუბლიკის მრავალმა რაიონმა და კოლმეურნეობამ 1956 — 1958 წლებში სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო. 1957 წელს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1600 ჰა ფართობზე საშუალოდ ჰა-დან 34.8 ც სიმინდი მიიღეს. ამავე რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობამ 150 ჰა ფართობის თითოეულ ჰა-ზე 55.2 ც სიმინდი მიიღო [23].

რიგი წლების განმავლობაში ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში სოციალისტური მოსავალი ჰა-ზე არ აღემატებოდა 15 ც-ს. 1957 წელს საგანგებო ღონისძიების დაწყებამდე პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, კოლმეურნეობის მეთაურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი. მათ დაელოდა განხილულ იქნა სიმინდის მოსავლის გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი. თითოეულ კოლმეურნეობას ამოცანად დაუსახეს, რომ ერთ ჰა-ზე შეენარჩუნებინათ არანაკლებ 40000 ძირი სიმინდისა. სატრაქტორო ბრიგადებისა და კოლმეურნეთათვის დაწესდა წამახალისებელი ღონისძიებანი სიმინდის ნარგავთა შენარჩუნების, ნათესების დროული კულტივაციისა და ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების დროზე ჩატარებისათვის.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საკითხი განხილული იქნა ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებებზე. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა 1957 წელს ოთხჯერ განიხილა საკითხი თესვის, ნათესების დამუშავებისა და მოსავლის აღების შესახებ.

სიმინდის მოსავლის გადიდებისათვის ქმედითი ბრძოლა გააჩაღეს რაიონის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა, ადგილობრივმა კედლის გაზეთებმა და საველე ფურცლებმა. სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღებად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის. ხდებოდა წარჩინებულ კოლმეურნეთა დაჯილდოება პრემიალური ფონდიდან პროდუქტებითა და ფასიანი საჩუქრებით.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად 1957 წელს რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 30 ცენტნერზე მეტი სიმინდის მარცვალი [24].

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებაში ასევე ისახელეს თავი რესპუბლიკის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და ცალკეულმა ნოვარობმა. 1958 წელს მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰა-ზე მიღებულ იქნა 23,8 ც სიმინდი. ხოლო ამავე რაიონის სოფელ ძიმითის ახალგაზრდა კომუნისტის სახელობის კოლმეურნეობამ 178 ჰა ნათესიდან საშუალოდ ერთ ჰა-ზე მიიღო 35 ც სიმინდი. ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ანდლულაძემ მისთვის გაპროცენებულ ერთ ჰა-ზე მიიღო 143 ც სიმინდი მარცვლად და 133 ც ჩალა. ანდლულაძის გამოცდილებით გამოყენებით რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ღებულობდა სიმინდის უხვ მოსავალს. ვალის რაიონის სოფ. ოქუნიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ჩოქოლი ქვაჩახიამ 15 ჰა ნათესის თითოეულ ჰა-ზე მოიწია 108 ც სიმინდი. იმავე რაიონის სოფ. პირველი ვალის კოლმეურნეობაში 1956 წელს გეგმით გათვალისწინებული 25 ც ნაცვლად ჰა-ზე მიიღეს 12 ც სიმინდი. პარტიის რაიკომმა შეისწავლა დაბალი მოსავლიანობის მიზეზები, საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ აამოქმედეს გამოუყენებელი რეზერვები. ჯეროვანი ყურადღება მიექცა სიმინდის დასათესად ყაშირი მიწების ათვისებას, ნათესებში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას, ჰა-ზე მცენარის სიხშირის გადიდებას, ნათესების აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებას და ა. შ. ასეთი



წმენდილი ღონისძიებების გატარებით კოლმეურნეობაში 1957 წელს საშუალოდ ჰა-ზე მიიღეს 45 ც სიმიინდი, ხოლო 1958 წელს — 47 ც. 1958 წელს შედარებით სიმიინდის მოსავლიანობა გაიზარდა 4-ჯერ. შესაბამისად შრომის დანახარჯები სიმიინდის წარმოებაზე. 1956 წელს წარმოებაზე დაიხარჯა 3,4 შრომადღე, 1957 და 1958 წლებში კი — 1,7 შრომადღე. 1958 წელს ნოვატორმა მესიმინდემ ამხ. სანდუხიძემ (ზუგდიდის რაიონი) ჰა-ზე 177 ც სიმიინდი მოიწია [25]. რესპუბლიკის მრავალი ნოვატორი მესიმინდე სიმიინდის მაღალ, სარეკორდო მოსავალს ღებულობდა.

რესპუბლიკაში თანდათანობით მცირდებოდა იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებიც სიმიინდის დაბალ მოსავალს ღებულობდნენ, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

	1956 წ.	1958 წ.
კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომლებმაც ჰა-ზე მიიღეს 5 ცენტნერამდე (პროცენტი)	530 (23,4%)	177 (6%)
5-დან 10 ცენტნერამდე	662 (38%)	529 (28,5%)
10-დან 15 ცენტნერამდე	351 (21,6%)	478 (25,6%)
15-დან 20 ცენტნერამდე	172 (9,2%)	344 (18,3%)
20-დან 25 ცენტნერამდე	86(4,4%)	179 (8,7%)
30-დან 35 ცენტნერამდე	31 (1,3%)	63 (3,1%)
35-დან 40 ცენტნერამდე	12 (0,3%)	39 (1,8%)
40-დან 45 ცენტნერამდე	3 (0,1%)	26 (1,2%)
45 ცენტნერზე მეტი	3 (0,1%)	16 (0,9%)

ამრიგად, 1958 წელს 1956 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებმაც საშუალოდ ჰა-ზე მიიღეს 20-დან 25 ც-მდე და 30-დან 35 ც-მდე სიმიინდი, სამჯერ მეტმა კოლმეურნეობამ ჰა-ზე მიიღო 25-დან 40 ც-მდე სიმიინდი და თითქმის 9-ჯერ გადიდა იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებმაც ჰა-ზე მიიღეს 40-დან 45 ც-მდე სიმიინდი.

წინა წლებთან შედარებით რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობათა მიერ სიმიინდის მაღალი მოსავლის მიღება როდი ნიშნავდა მისი მოსავლის გადიდების ყველა რეზერვის გამოყენებას. ასე, მაგალითად, მაიაკოვსკის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 1956 წელს საშუალოდ ჰა-ზე მიღებულ იქნა 8,5 ც სიმიინდი, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში — 7,8 ც, თერჯოლის რაიონში — 7,4 ც, ჭიათურის რაიონში — 5 ც, საჩხერის რაიონში — 4 ც და ა. შ. ასევე დაბალი მოსავალი მიიღეს აბაშის, ხობის, ცხაკიას, ზუგდიდის, ლანჩხუთისა და აფხაზეთის ასსრ რაიონების კოლმეურნეობებმა. ამის მთავარი მიზეზი იყო სიმიინდის თესვისა და ნათესების დამუშავებაში აგროტექნიკური ვადების დარღვევა. ხობის რაიონის კოლმეურნეობებში აგროვადების დარღვევით დაითესა სიმიინდი 4332 ჰექტარზე (მთელი ნათესი ფართობის 71,7%), ზესტაფონის რაიონში — 3840 ჰა-ზე (66,0%), აფხაზეთის კოლმეურნეობებში — 18265 ჰა-ზე (72,5%). მთელს რესპუბლიკაში თესვის ვადის გასვლის შემდეგ დაითესა სიმიინდი 133 ათას ჰა-ზე, რაც შეადგენდა მთელი ნათესი ფართობის 49%-ს [26].



საქართველოს კომპარტიის XVII და XVIII კრილობებზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ბიუროს სხდომებსა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირებზე სათანადო ყურადღება ჰქონდა მუშაკთა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მარცვლეულიც მუშაკთა კიბეებს. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1958 წლის 27 მაისის სხდომაზე ანალიზი გაუკეთა ზესტაფონის პარტიის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს. ბიურომ თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ რაიონში ძალზე არაადამაკმაყოფილებელი იყო სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, რის გამოც ძლიერ ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. დადგენილებაში სათანადო ყურადღება გამახვილებულია მარცვლეული კულტურების წარმოების ჩამორჩენაზე. 1957 წელს რაიონში საშუალოდ ჰაზე მიღებულ იქნა 8.4 ც სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ც-ისა. რაიონის 41 კოლმეურნეობიდან სიმინდის მოსავლიანობის გეგმა არ შეუსრულებია 31 კოლმეურნეობას, ამ რაიონის სოფ. განთიადის ხოზე დასსს სახელობის კოლმეურნეობამ ჰაზე მიიღო 1.43 ც სიმინდი, 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ 1.7 ც, სტალინის სახ. კოლმეურნეობამ — 1.8 ც, სოფ. კვალთის ორგანიკის სახ. კოლმეურნეობამ — 3.2 ც და ა. შ. ასეთი ჩამორჩენის ერთერთი მიზეზი იყო შრომის დისციპლინის დაბალი დონე, რაიონის კოლმეურნეობებში საიკლავებელი შრომადღებების მინიმუმი არ გამოუმუშავებია 3000-ზე მეტ კაცს, მთელ შრომისუნარიანთა 29%-ს, მათ შორის არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია 1020 კაცს (10%).

რაიონი სერიოზულად ჩამორჩებოდა 1958 წლის საგაზაფხულო სამუშაოებშიც. აგროვადის ვასელის მიუხედავად, 20 მაისისათვის სიმინდის თესვის გეგმა შესრულებული იყო 87.8%-ით.

რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ჩამოშორდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას, ხოლო პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურო არაადამაკმაყოფილებლად წარმართავდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი რაიონში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ასევე მიიღო ორგანიზაციული ზომები რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. არევაძისა და პარტიის რაიკომის მდივნის შ. ხიდაშელის მიმართ [27].

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ხშირად იხილავდა მარცვლეული კულტურების აგროვადებში დამუშავებისა და მოსავლის დროულად, უდასჯარგოდ აღების საკითხებს. 1958 წლის 12 აპრილის ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის დაყოფით აღების შესახებ. აღნიშნული წესით მოსავლის აღება ძალზე ეფექტურია. მარცვლეულის დანაკარგი საშუალოდ ჰაზე მცირდება 2-დან 4 ც-მდე. მკვრამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1957 წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი დაყოფით აღებულ იქნა მხოლოდ 2503 ჰაზე.



ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტსა და საქართველოს სასოფლო რაიონების პარტიულ კომიტეტებს უზრუნველყვით ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურების აღნიშნული წესით აღება. მოემზადებინათ კულტურების ნიხატორთა კადრები მოსავლის უდანაქარგოდ აღებისათვის [28].

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღებისა და სოფლის მეურნეობის მუშაყთა ენერგიული შრომის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობრესდა მარცვლეული კულტურების ნათესების დამუშაყება. 1958 — 1959 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თითქმის მთლიანად განხორციელდა ხარისხოვანი თესლით თესვა. 1958 წელს საშემოდგომო ხორბლის ნათესების 99.0%, საგაზაფხულო ხორბლის — 96%, საგაზაფხულო ქერის — 98.7%, სიმინდის ნათესების 99.6% ხარისხიანი თესლით იყო დათესილი. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა დიდმა უმეტესობამ აგრონომებში განხორციელა თავთავიანი კულტურებისა და სიმინდის ყანების დამუშაყება. დროულად გაიწმინდა პურის ყანები სარეველებისაგან. წინა წელთან შედარებით 1958 წელს რესპუბლიყაში 10 დღით ადრე დამთავრდა სიმინდის ნათესების მთელი ფართობის პირველი და მეორე გათოხნა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეული კულტურების როგორც საერთო, ისე საჰექტარო მოსავალი. 1953 წელს რესპუბლიყის ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლეულის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენდა 4.9 ც-ს. 1957 წელს მან მიადწია 12.5 ც-ს და 1958 წელს იგი უდრიდა 11.9 ც-ს. მთელ სსრ კავშირში ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლეულის მოსავალი ერთ ჰა-ზე 1958 წელს 11.3 ც-ს შეადგენდა [29].

რესპუბლიყის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წლით წლობით იზრდებოდა მარცვლეულის საჰექტარო მოსავლიანობა:

მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე [30].

მეურნეობანი	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.	1959 წ.	1960 წ.
ყველა კატეგორიის მეურნეობაში	11.1	11.4	12.5	11.9	13.7	13.3
მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში	16.2	12.6	13.7	9.5	12.3	12.8
კოლმეურნეობებში	9.7	10.0	11.4	10.8	12.6	12.0

1958 წელს მარცვლეული კულტურების საჰექტარო მოსავლის შემცირება გამოწყვეული იყო საშემოდგომო ნათესების დაზიანებით. 1957 წლის დეკემბერსა და 1958 წლის იანვარში მარცვლეული კულტურების ძირითად რაიონებში იყო თბილი, მშრალი ამინდი, ხოლო თებერვალში, მარტსა და აპრილში აღიერმა ჰარებმა მთლიანად გადაწვა ხორბლის ნათესები 40252 ჰა-ზე.

1960 წელს 1955 წელთან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლეულის საჰექტარო მოსავალი გაიზარდა 2.2 ც-ით, ხოლო კოლმეურნეობებში — 2.3 ც-ით. 1960 წელს საშემოდგომო ხორბლის საჰექტარო მოსავალი უდრიდა 10.2 ც-ს და სამარცვლე სიმინდის 16.3 ც-ს [31]. მთელი საბჭოთა კავში-



რის მასშტაბით კი მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰაზე 109 ცს შეადგენდა.

ჩვენსე ხეთწლედის წლებში გრძელდებოდა მრავალწრივი მშენებლობისა და ტექნიკური კულტურების ფართობების გადიდების მუშაობები. იგი ფართობების, კერძოდ, მარცვლეული კულტურების ნათესების შემცირება. 1955 წელს რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი შეადგენდა 950,5 ათას ჰა-ს. აქედან კოლმეურნეობაზე მოდიოდა 809,2 ათასი ჰა და საბჭოთა მეურნეობებზე — 15 ათას ჰა. 1960 წელს კი საერთო ნათესი ფართობი 829,4 ათას ჰა-ს უდრიდა (აქედან კოლმეურნეობებში — 666,3 ათასი ჰა, საბჭოთა მეურნეობებში — 55,3 ათასი ჰა.) და 1955 წელთან შედარებით იგი 121,1 ათასი ჰა-ით შემცირდა. 1955 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობათა საერთო ნათეს ფართობებში მარცვლეულ კულტურებს ეჭირა 714,6 ათასი ჰა, 1960 წელს კი — 471,6 ათასი ჰა, ე. ი. 1955 წელთან შედარებით მარცვლეულის ნათესი ფართობი შემცირდა 243 ათასი ჰა-ით. 1955 წელთან შედარებით 1960 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მარცვლეულის ნათესი ფართობი 229,6 ათასი ჰა-ით შეამცირეს და იგი დავადა 369,5 ათას ჰა-მდე, ნაკვალად 1955 წლ-ს 599,1 ათასი ჰა-ისა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის ნათესი ფართობი 1960 წელს გაიზარდა 21 ათას ჰა-მდე, ნაკვალად 1955 წლის 7,5 ათასი ჰა-ისა [32].

მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის შემცირებამ გამოიწვია მისი საერთო მოსავლის შემცირება.

მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი (1000 ტონა) [33]

მეურნეობანი	1955 წ.	1958 წ.	1960 წ.
ყველა კატეგორიის მეურნეობაში	808,2	712,1	628,5
ნათ შორის საბჭოთა მეურნეობებში	11,9	17,2	26,5
კოლმეურნეობებში	589,2	507,3	445,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი 179,7 ათასი ტონით შემცირდა 1955 წელთან შედარებით, კოლმეურნეობებში — 143,3 ათასი ტ-ით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში იმავე პერიოდში მარცვლეულის საერთო მოსავალი გაადიდეს 14,6 ათასი ტონით.

1951 — 1955 წლებში საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება უდრიდა 785,6 ათას ტონას, ხოლო 1956 — 1960 წლებში — 731,2 ათას ტონას, ანუ 54,4 ათასი ტონით ნაკლებს. ვიდრე მეხუთე ხეთწლედის წლებში [34], რაც ძირითადად აიხსნება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის მკვეთრი შემცირებით.

წინა ხეთწლედთან შედარებით მეექვსე ხეთწლედში საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეული კულტურების საექტარო მოსავლიანობა, მაგრამ მისი წარმოების გასაზიდავლად არსებული რეზერვები რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა გამოყენებული. ჯერ კიდევ დიდი იყო მარცვლეული კულტურის



რების წარმოების თვითღირებულება ასე. მაგალითად, ყველა საბჭოთა მარცვლეული კულტურების ერთი ცენტნერის წარმოება სსრ კავშირის ქსნშტაბით 1957 წელს კოლმეურნეობებს დაუჯდა 59 მანეთი და საბჭოთა კავშირის სსრკ-ში 43 მანეთი, საქართველოს კოლმეურნეობებში კი იგი დაჯდა 82 მანეთი და საბჭოთა მებურნეობებში — 61 მანეთი. ამრიგად, ერთი ცენტნერი მარცვლეულის წარმოებაზე საქართველოს კოლმეურნეობებში 23 მანეთით მეტი დაიხარჯა, ვიდრე მთელი სსრ კავშირის მასშტაბით, ასევე 1957 წელს 18 მანეთით მეტი იყო ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება საქართველოს საბჭოთა მებურნეობებში სსრ კავშირის საბჭოთა მებურნეობების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით [35].

1957 წელს ერთი ცენტნერი სამარცვლე სიმინდის თვითღირებულება რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობებში შეადგენდა 65 მანეთს, ეკონომიურად საშუალო დონეზე მყოფ კოლმეურნეობებში — 97 მანეთს და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში — 127 მანეთს [36].

მარცვლეული კულტურების სათესი ფართობის შემცირება რესპუბლიკის საზოგადოებრივ მებურნეობებში გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, როგორც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, რესპუბლიკამ გეგმის შესრულებას დააკლო 2 მილიონ 200 ათასი ტონა მარცვლეული [37].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მეათე ხუთწლოდში 1975 წლის გეგმასთან შედარებით რესპუბლიკაში 70%-ით გაიზრდება მარცვლეულის დამზადება, ჭეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მარცვლეულის წარმოების შემდგომ გადიდებას ფართო სარწყავქსელიან და ამოშრობილ მიწებზე. მსხვილი სპეციალიზებული მარცვლეული კულტურების აგროკომპლექსების შექმნით. ამას მოითხოვს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების ინტერესებიც. რომლის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა შიშიმუშია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის სექტემბრის პლენუმმა.

თანამედროვე ეტაპზე, როცა სახალხო მებურნეობის ცალკეული დარგების სპეციალიზაცია და კოოპერირება ხორციელდება არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა მასშტაბით, ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოფლის მებურნეობის ძირითადი კულტურების — მეჩაიეობის, მევენახეობის, მებაღეობის და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარებას. მაგრამ ეს როდი გვათავისუფლებს იმ მოვალეობისაგან, რომ ჭეროვანი ყურადღება არ დავუთმოთ მარცვლეულის წარმოების გადიდებას და ღირსეული წვლილი არ შევიტანოთ მარცვლეულის საკავშირო წარმოებაში, ამ მიმართულებით სათანადო ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციაში.

Резюме

Решением XX съезда КПСС главной задачей сельского хозяйства Грузии в шестой пятилетке было признано дальнейшее развитие чайного, виноградарского, садового, цитрусового, табачного хозяйства и шелководства.

В пятилетке значительно должно было увеличиться производство зерновых и продуктов животноводства. В 1960 году по сравнению с 1955 годом в республике производство зерновых должно было увеличиться в 1,3 раза, мяса — 1,7 раза, молока — вдвое, шелководного кокона — 1,3 раза.

XVII съезд Коммунистической партии Грузии, который состоялся в январе 1956 года, поставил важнейшую задачу перед партийными организациями республики — коренным образом увеличить организационную и партийно-политическую деятельность для усиленного выполнения заданий шестой пятилетки.

К началу 1956 года в сельскохозяйственных производствах республики работало более 50 тысяч коммунистов. Под руководством Центрального комитета Компартии Грузии сельские партийные организации самоотверженно боролись за выполнения решений партии и советского правительства об интенсивном развитии сельского хозяйства.

В результате улучшения культуры земледелия значительно выросла урожайность зерновых культур. В 1960 году по сравнению с 1955 годом гектарный урожай зерновых вырос в хозяйствах всех категорий на 2,2 центнера, а колхозах — на 2,3 центнера. В 1960 году средний урожай зерна в республике с одного гектара в хозяйствах всех категорий составил 13,3 центнера, в колхозах — 12,0 центнера и в совхозах — 12,8 центнера. А в масштабах Советского Союза он равнялся 10,9 центнерам.

В годы шестой пятилетки в общественных хозяйствах ряда районов республики посевная площадь под зерновые значительно сократилась. По сравнению с 1955 годом в 1960 году колхозы республики сократили посевную площадь зерновых на 229,6 тысяч гектаров. Сокращение площадей зерновых вызвало общее сокращение урожая.

В соответствии со специализацией сельского хозяйства, проведенной в нашей стране, в нашей республике особое внимание уделяется развитию виноградарства, садоводства, чайных и технических культур. Даже в таких условиях надо уделять достаточное внимание производству зерновых, недопустимо самовольное сокращение их посевных площадей.

Без существенного увеличения производства зерновых в республике мы не сможем обеспечить развитие животноводства, для мощного подъема которого были разработаны меры на сентябрьском пленуме Центрального Комитета Компартии Грузии в 1975 году.



1. სკვპ ყრილობების. კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის კვლევების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, გვ. 190, 1962.
2. იქვე, ნაწ. IV, მეშვიდე გამოც. გვ. 258, 259.
3. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტ. არქივი, ფონდი 14, აღწ. 48, საქმე № 147, ფურც. 13.
4. Решения партии и правительства по хозяйственным вопросам, том. 6, стр. 115, 1968.
5. საბჭოთა საქ. 40 წელი, სტატისტიკ. კრებული, თბ. გვ. 92, 93, 1961.
6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, გვ. 118.
7. საბჭ. საქ. 40 წელი, სტატისტიკ. კრებული, თბ. გვ. 52, 1961.
8. სკვპ ყრილობების, კონფ. და ცენტრ. კომიტ. პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, გვ. 175, 1962.
9. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, თბილისი, გვ. 126, 1968.
10. გაზ. „კომუნისტი“, 12 თებერვალი, № 37, 1958.
11. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, გვ. 100, 1961.
12. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, გვ. 130.
13. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1967 წელში, გვ. 143.
14. ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიისა და ხალხის დიადი გმირობა, თბ. 1974 წ. გვ. 7.
15. Народное хозяйство СССР в 1960 году. Статистический ежегодник, Москва, 1961 г., стр. 411.
16. სკვპ ყრილობებისა, კონფერენცი. და ცენტრ. კომიტ. პლენ. რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, 1962 წ. გვ. 467 — 468.
17. Решения партии и правительства по хозяйственным вопросам, Москва, 1968 г., стр. 706.
18. გაზ. „კომუნისტი“, 31 ოქტომბერი, № 255, 1956.
19. „საქ. კომუნისტი“, № 3, გვ. 21, 1957.
20. მლისფა, ფონდი 14, აღწ. 40, საქ. № 478, ფურც. 3.
21. იქვე, ფონდი 14, აღწ. 55, საქმე № 2, ფურც. 126.
22. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967, თბ. გვ. 587, 1967 წ.
23. მლისფა, ფონდი 14, აღწ. 54, საქმე № 350, ფურც. 5.
24. იქვე, ფონდი 14, აღწ. 47, საქმე № 222, ფურც. 25.
25. იქვე, ფონდი 14, აღწ. 56, საქმე № 183, ფურც. 60, 61.
26. იქვე, ფონდი 14, აღწ. 56, საქმე № 295, ფურც. 15, 16.
27. იქვე, ფონდი 14, აღწ. 47, საქმე № 355, ფურც. 7.
28. იქვე, ფონდი 14, აღწ. 54, საქმე № 62, ფურც. 7, 8.
29. იქვე, ფონდი 14, აღწ. 54, საქმე № 46, ფურც. 37, 38.
30. Народное хозяйство СССР в 1960 году. Статистический ежегодник, Госстатиздат, Москва, стр. 411, 1961 г.
31. Сельское хозяйство Грузинской ССР. Статистический сборник, часть I, Тбилиси, стр. 177, 1967.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

32. საბჭოთა საქართველოს 50 წელი, თბ. გვ. 148, 1971.
33. Сельское хозяйство Грузинской ССР, часть I, стр. 86-87, 1967.
34. იქვე, გვ. 176.
35. საბჭოთა საქართველოს 50 წელი, გვ. 136.
36. მლისფა, ფონდი 14, აღწ. 54, საქმე 8347, ფურც. 27.
37. ე. შვეარდნაძე, საქ. კბ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, ვაზ. კომუნისტი, 23 იანვარი, 1976 წ. № 19.

ბ. შავლაძე

**აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაზე სამეურნეომათაშორისო და
აგროსამეურნეო სანარმოთა ორგანიზაციის საკითხისათვის**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით დიდი ამოცანებია დასახული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის სოფლის მეურნეობის წინაშე.

სოფლის მეურნეობის დარგში მე-10 ხუთწლედის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის საწარმოო ძალთა სპეციალიზაციის, კონცენტრაციის და ინტეგრაციის ბაზაზე. აღნიშნული ამოცანა კი მოითხოვს არა მარტო ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას სოფლის მეურნეობაში, არამედ ორგანიზაციულ-ეკონომიური ფაქტორების მოქმედებაში მოყვანას: სხვათა შორის ვთქვათ, მოითხოვს დასმული პრობლემის გადაწყვეტ-სადაში კომპლექსურ მიდგომას, ტექნიკურ პროგრესთან ერთად წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, წარმოების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერებისა და პრაქტიკის დაგეგმვისა და სტიმულირების, ახალი მეთოდების შემუშავებისა და დანერგვას.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მარტო სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით საწარმოო პროცესის კომბინაციისა და ინტეგრაციის მთელ სისტემის რეორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. პრობლემისადაში კომპლექსური მიდგომა — ამ ღონისძიებების არსია, ხოლო საბოლოო მიზანი გაუაროებელი კვლავწარმოების ინტენსიური ტიპის საწარმოები — მისი შინაარსი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისება.

ბოლო წლებში ჩატარებულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიძღვნილი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი. ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირების და ინტეგრაციის პრობლემა და მისი კავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობასთან კონცენტრაციის ბაზაზე სრულყოფილად არაა შესწავლილი, როგორც ცდები გვიჩვენებენ. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ინტეგრაცია იძლევა დიდ საშუალებებს, არა მარტო წარმოების ტემპების დაჩქარებისათვის, არამედ მისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლებისათვის, წარმოების დანახარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, სოფლად სოციალურ-ეკონომიური პრობლემების სწორად და რაციონალურად გადაჭრისათვის.



სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია საფლანგო-შორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოადგენს მრავალმხრივ, რთულ და უწყვეტ პროცესს. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის ეკოლოგიური გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის ამ მეტად რთული პრობლემა სწორად გადაწყვეტა როგორც ეს სკვპ ცენტრალური კომიტეტის (ივნისის) დადგენილებათა სახე-ვასშით მოითხოვდა, მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას და საკითხის ერთპიროვნად გადაწყვეტას წარმოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორც ყველგან, იქ ჩვენს რესპუბლიკაშიც მოითხოვს მეურნეობათა სპეციალიზაციის მიღწეული დონის ღრმა ანალიზს და მეცნიერულად დასაბუთებულ დონისძიებებს დასახვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მან დაუბიძგი ეფექტის ნაკლებად შეძლება მოგვეცეს უარყოფითი შედეგები. მით უმეტეს ჩვენი რესპუბლიკის მრავალ-დარგოვანი სოფლის მეურნეობის პირობებში. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება და მეტად ხელშისა-ხები თავისებურებანი სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმო-ებში ზღუდავენ წარმოების კონცენტრაციის არეალს: მათი ოპტიმალური სა-ღის დადგენა ამ თავისებურებათა გათვალისწინებით უაღრესად მნიშვნელო-ვანია და დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ძირითადი ფაქტო-რია. ეს მით უმეტეს ითქმის აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაზე. სადაც წარმოების პირობები სხვადასხვაგვარია არა ცალკეული ზონების, რაიონების, არამედ ცალკეული მეურნეობის მიხედვითაც კი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერირების ძირითად მიზანს წარ-მოადგენს წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლება და მის საფუძველზე რეშაობის ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. წარ-მოების კონცენტრაციის მიზნით სამეურნეობათაშორისო კოოპერირება თანა-შედროვე ეტაპზე უპირატესად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. რამდენა-დაც აქ კონცენტრაციის ამაღლება ტრადიციული მეთოდებით — მეურნეობა-თა შერწყმის გზით — უკვე შეუძლებელი ხდება, საქმე იმაშია, რომ სასს.სამ. საწარმოებს ძირითად მიზანს აქვს, რამოდენიმე დარგი და ის რაც ერთ-მათგა-ნისათვის მიწის ფონდის განაზღვრული ოდენობისაა და წარმოების კონ-კრეტულ პირობებში ოპტიმალურია. დანარჩენებისათვის არაოპტიმალურია. (მაგალითად, აფხაზეთის ასსრ პირობებში ჩაი. თამბაქო, ციტრუსები, ეთერ-ზეთოვანი კულტურები და ა. შ.).

სამეურნეობათაშორისო კოოპერირება საშუალებას აძლევს კოოპერირე-ბულ საწარმოებს თავიანთი სახსრებით შექმნან თანამედროვე, მაღალეფექტუ-რი მსხვილი წარმოება, ათავისუფლებს მათ რა ცალკეული დარგების წარმო-ებისაგან. ეს კი ამაღლებს არა მარტო იმ დარგის ეფექტურობას, რომლის კოოპ-



აერიობა ხდება. არამედ მთლიანად წარმოების ეფექტიანობას. ასეთ შემთხვევაში საკითხის ყველაზე მართებული გადაწყვეტა იქნება ერთი ფორმა, როდესაც მიწის როგორც წარმოების ძირითადი მაქსიმალურად ათვისებისა და გამოყენების მიზნით გაერთიანების საფეხურზეც არ გვექონდეს საქმე) სპეციალიზაცია განისაზღვრება ორი-სამი ძირითადი (წამყვანი) დარგით. ცალკეული საწარმოები კი ვიწრო სპეციალიზებულია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჰოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერების მეორე შემუშავებული სამი მოდელი სამეურნეო ერთეულისა, რომლებიც იწოდება მრავალდარგოვანი კომბინატებათა, მათში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიადაგის ხარისხით და ამ უცნასწავლი-საგან დამოკიდებულებით განსხვავებულია მეცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის სტრუქტურა, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღების დონე და ექსპლოატაციის ხარჯები. პერსპექტივაში ჩვენი რესპუბლიკის აბრძობებში, სადაც ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებია მეტად განსხვავებულია არა მარტო რაიონების, არამედ მეურნეობების შიგნითაც, აგროსამრეწველო გაერთიანებათა ასეთი მოდელები შემუშავება მიზანშეწონილი და ინტერესის მოკლებული არ იქნება.

სანამ შევვხებოდეთ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაში სამეურნეო-ბათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის საკითხებს და მათ არსებულ მდგომარეობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევიჩრდეთ აღნიშნული გაერთიანებების (საწარმოების) არსსა და ფორმაზე, რამდენადაც ეკონომიურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს და მათი სტატუსი ხშირად არასწორადაა ფორმირებული.

არჩევნ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციას. იქ, სადაც სამეურნეობათაშორისო კოოპერირება ხდება ერთი დარგის ფარგლებში, მას ხშირად უწოდებენ პორიზონტალურ ინტეგრაციას; ხოლო აგრარულ-სამრეწველო კომბინირება გვევლინება ვერტიკალურ ინტეგრაციად, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული სპეციალიზებული საწარმოების (წარმოების) ორგანიზაციულ გაერთიანებას ერთი ფორმირების ჩარჩოებში სხვადასხვა დარგის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ბაზაზე. წარმოების ასეთი კომბინირების მიზანია — ერთიანობის მიღწევა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დასრულებული საზე შუა პროდუქციის სახით და შრომითი და საწარმოო რესურსების კომპლექსური გამოყენება.

მაშასადამე, აგრარულ-სამრეწველო კომბინირებას მიეყავართ ახალი საწარმოო ფორმირების (ერთეულის) შექმნამდე, თანამედროვე ეტაპზე არსებული ყველა მათი ნაირსახეობა შეიძლება მიეკუთვნოს: აგრარულ-სამრეწველო საწარმოებს, კომბინატებს, გაერთიანებებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აგროსამრეწველო საწარმოს ყველაზე მარტივი ფორმაა მეურნეობა-ფაბრიკა, მეურნეობა-ქარხანა, სადაც ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავების ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის საფუძველზე ორგანიზაციულად გაერთიანებულია სპეციალიზებული სასოფ-



ლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, ამასთან ერთად გავლენას ახდენს საწარმოები კარგავენ დამოუკიდებლობას და იქცევიან ახალ საწარმოს წარმოების დანაყოფებად, სადაც ერთიანი გეგმა, ბალანსი, მუშაკების მუშაობის ასრ სოფლის მეურნეობის პირობებში ასეთი საწარმოები ხელსაყრელი პირობებია მეჩაიეობაში და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებაში, კერძოდ, ჩაის მეურნეობა-ფაბრიკების და ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა-ქარხნების სახით.

აგროსამრეწველო კომბინატის შემთხვევაში ნედლეული მიიღება სხვადასხვა საწარმოებიდან და თითოეული საწარმო ინარჩუნებს იურიდიულ დამოუკიდებლობას. ასეთ შემთხვევაში მართვის ცალკეული ფუნქციები ერთიანი ხელმძღვანელობის საფუძველზე.

აგროსამრეწველო გაერთიანება — ეს უმაღლესი ფორმაა, სადაც ერთდება სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, მომსახურე და ცალკეულ შემთხვევებში სხვაგვარ საწარმოები და ორგანიზაციები, იურიდიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. მათი საწარმოო საქმიანობა ხორციელდება მართვის ერთიანი ორგანოების შექმნით, ერთიანი გეგმის შედგენით და მომსახურების ფუნქციების ცენტრალიზაციით.

აგროსამრეწველო კომპლექსი (მიუხედავად მათი იერარქიული დონისა) არის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროდუქტი, რომლის შედეგადაც ცერიტორიის გარკვეულ ნაწილში იქმნება სასოფლო-სამეურნეო და მასთან ურთიერთდაკავშირებული სხვა საწარმოთა ერთიანობა. მხოლოდ ამჟამად უმეტესობა ასეთი გაერთიანებებისა არ წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზაციულ-სამეურნეო თვალსაზრისით და ხშირ შემთხვევაში ცალკეულ მთვანს შორის არ არსებობს პირდაპირი ორგანიზაციულ-ეკონომიური და ფინანსური კავშირი, ამდენად არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აგროკომპლექსი არის წარმოების ორგანიზაციის ფორმა.

1976 წლის მონაცემებით აფხაზეთის ასრ სოფლის მეურნეობაში შექმნილია 12 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და კომპლექსი. აქედან ოთხი სამეურნეობათაშორისო გაერთიანება შერეული ტიპისაა. ესენია: სოხუმის რაიონის შრომის მეცხოველეობის გაერთიანება (მელორეობა — მსხვილი რქოსანი პირუტყვი), გაგრის რაიონის ბზიფის მეცხოველეობის გაერთიანება, გულრიფშის რაიონის ვლადიმეროვკის მეცხოველეობის გაერთიანება (მელორეობა-მეფრინველეობა), ოჩამჩირის რაიონის არადუს მეცხოველეობის გაერთიანება (მელორეობა-მეფრინველეობა); ორი მეფრინველეობის სპეციალიზებული სამეურნეობათაშორისო გაერთიანება — გალის რაიონის ჭუბურჩინჯის მეფრინველეობის გაერთიანება (სპეციალიზებულია კვერცხის წარმოებაზე) და გუდაუთის რაიონის ლიხნის მეფრინველეობის გაერთიანება (კვერცხის წარმოებაზე). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სპეციალიზებული კომპლექსი — გაგრისა და გალის რაიონებში, რომელიც სპეციალიზებულია რძის წარმოებაში. ასევე მელორეობის სასუქი კომპლექსი სოხუმისა და გალის რაიონებში. ოჩამჩირის რაიონში შექმნილია ახალდაბის მევენახეობის და აყვასკის მეცოტრუსეობის გაერთიანებები.



როგორც ვხედავთ, ამჟამად სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებში და აგროსამრეწველო კომპლექსები ძირითადად შექმნილია მეცხოველეობაში და მხოლოდ ორი შემცენარეობაში, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ მეტყევეობაშიც დარგში შექმნილ ამ გაერთიანებებს შეიძლება ეს სტატუსი მიენიჭებინათ. თან და შემდგომში მოითხოვს ორგანიზაციულ-სამეურნეო სტრუქტურის სრულყოფას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა გაერთიანებების შექმნა, მათი რაოდენობა, არამედ მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები, ხოლო ეს უკანასკნელი კი ჯერჯერობით დაბალია. ასე მაგალითად, მეფრინველეობის სამეურნეობათა-შორისო გაერთიანებებში კვერცხმდებლობა საშუალოდ 94 — 113 შეადგენს ერთ მოქცეულზე, ათასი ცალი კვერცხის თვითღირებულება 200 მანეთამდეა; ერთი ცენტერი ხორცისა კი 223 — 284 მანეთს შეადგენს. ასევე გალის რაიონის ნაბაკევის მეცხოველეობის კომპლექსში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ზარალის დონემ შეადგინა — 44%, ხოლო რძისამ კი — 53,3%, ხოლო ფურების პროდუქტიულობა გაცილებით ნაკლებია რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების საშუალო მაჩვენებელზე.

აღნიშნული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეურნეობათა-შორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მის სწორ ორგანიზაციას, ოპტიმალური სიდიდის დადგენას. ტექნოლოგიური პირობების ორგანიზაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დონეს და მომარაგებას, მეცხოველეობისათვის მტკიცე საყვები ბაზის შექმნას და, რაც მთავარია, საერთოდ წარმოების კონკრეტულ ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მათ ორგანიზაციას, რის საფუძველზეც მიღწეულ იქნება სწორი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მალალი ეკონომიური მაჩვენებლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეურნეობათაშორისო კოოპერირება და აგროსამრეწველო გაერთიანებათა ნაჩქარევად შექმნამ დადებითი შედეგების ნაცვლად შეიძლება მოგვეცეს უარყოფითი ეკონომიური შედეგები. ამასთან ერთად არაა გამორიცხული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის შემცირება.

ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი. ჯერ კიდევ 1962 წელს გალის რაიონში (ს. ოტობიაში) შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის სასუქი პუნქტი, რომლის რეორგანიზაცია მოხდა წლამაგვიანად შემდეგ. მიზეზი კი სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად იყო მტკიცე საყვები ბაზის შეუქმნელობა, რამაც განაპირობა მისი მუშაობის ძალზე დაბალი ეკონომიური მაჩვენებლები. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე ასეთი გაერთიანებებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო შეუძლებელი გახდა მისი ორგანიზაციულ-ეკონომიურა განმტკიცება, რაც სამართლიანად საფუძველად დაედო მის რეორგანიზაციას.

როდესაც ვიხილავთ საკითხს აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის არსებული დონისა და პერსპექტივაში მისი განვითარების შესახებ ზონებისა და რაიონების მიხედვით, საჭიროდ მიგვაჩნია გამოთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მათი შემდგომი რაციონალიზაციის მიზნით, კერძოდ:



ქვეყნული
ცენტრი
ადამიანის
უფლებების
და დემოკრატიის
სახელმწიფო

აუხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შედეგად სოფლ-
ყოფისათვის აღცილებელია დაიხვეწოს რაიონებსა და რაიონის შიგნით სპეციალი-
ზაცია და ამის საფუძველზე დამუშაუდეს რეკომენდაციები მეურნეობის
შესახებ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაწყვეტის
სამეურნეობათაშორის კოოპერაციისა და ავტოსამრეწველო ინტეგრაციის ბა-
ზაზე წარმოების კონცენტრაციის ამოღების პირობებში. წარმოებთან შენეპრი
პირობების გათვალისწინებით, მათი ოპტიმალური სიდიდის დადგენით.

მემცენარეობის დარგებიდან განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია მე-
ჩაიეობის, ეთერზეთოვანი კულტურების, მეციტრუსეობის და სუბტროპიკული
ზეხილეობის წარმოების ინდუსტრიულ ბაზაზე მოწყობისათვის. მეჩაიეობის
გადაყვანა სამრეწველო საფუძველზე შესაძლებელია ორი გზით. ერთად
ა) ჩაის მეურნეობა-ფაბრიკების და ბ) ავტოსამრეწველო გაერთიანებების შე-
ქმნის გზით. შეიძლება ჩაის მეურნეობა-ფაბრიკის შექმნა ჩაითვალოს პირველ
ეტაპად. მაგრამ გამორიცხული არაა პირდაპირ გადავიდეთ მეჩაიეობის აგრო-
სამრეწველო გაერთიანებების შექმნაზე იმითომ, რომ ვერ ერთი ცალკეული
მეურნეობების მიერ წარმოებელი ნედლეული ვერ დატვირთავს ჩაის ფაბრი-
კას და საჭირო იქნება ნედლეულის მიწოდება სხვა მეურნეობებიდან. რომლე-
ბიც შეინარჩუნებენ იურიდიულ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას; მეორეც,
ამჟამად მეჩაიეობის ყველა რაიონში ჩამოყალიბებულა ჩაის ფაბრიკების გა-
ერთიანება, ხომ არ ავობებდა შექმნილიყო რაიონის მასშტაბით მეჩაიეობის
ავტოსამრეწველო გაერთიანება, რომელიც გაუწევდა ერთიან ხელმძღვანელო-
ბას ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებასა და გადამამუშავებას? ეს თავის
მხრივ საგრძნობლად გაამარტივებდა მმართველობის სისტემას. ამამოღებდა
პროდუქციის ხარისხს, შეამცირებდა საშტატო ერთეულებს და ზედნაღებ
ხარჯებს, სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მეტი შესაძლებლო-
ბის საშუალებას მოგვეცემა. ასეთი ინტეგრაციის პროცესს ამჟამად ძირითადად
ხელს უშლის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის
უწყებრივი გათიშულობა. ჩვენი მოსაზრებით, ასეთი ავტოსამრეწველო გაერ-
თიანებანი უნდა დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წარმო-
ების ორგანიზაცია მეჩაიეობაში ასეთ დონეზე საშუალებას მოგვეცემა შემო-
რბებელიყო შეაღწევი უწყებრივი ბარიერები (მაგალითად, ცალკე საჭირო
არ იქნებოდა ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის არსებობა). ხოლო რაიონ-
ის სოფლის მეურნეობის სამმართველო ავტოსამრეწველო გაერთიანებასთან
ერთად უშუალო ხელმძღვანელობას და კონტროლს დაექვემდებარებდა საბ-
ჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მეჩაიეობის განვითარების სა-
კითხებს (წარმოების და გადამამუშავების), რესპუბლიკის მასშტაბით კი სოფლის
მეურნეობის სამინისტრო მასზე დაქვემდებარებული საქ. ჩაის ავტოსამრეწველო
გაერთიანება (რომლის ფუნქციაში შევიდოდა მზა პროდუქციის გასაღების
ორგანიზაცია).

ამჟამად გვაქვს ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა და ცალკე ეთერზეთების
საბჭოთა მეურნეობები. აღნიშნული დარგის ავტოსამრეწველო ინტეგრაციის
ბაზაზე მოწყობის მიზნით საჭიროა ეთერზეთების ავტოსამრეწველო კომბინა-



ტების შექმნა, რომელიც საკუთარი წარმოების გარდა ეთერზეთოვანი მწიკ-
რების ნედლეულს მიიღებდა სხვა მეურნეობებისაგანაც. ამ მიზნით ბაზის შე-
ქმნილია გალის რაიონში ექსპერიმენტის სახით შეიქმნას ასეთი მწიკრის
წველო კომბინატი გალის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის, ბეზლიყიყისა
სუთების საბჭოთა მეურნეობის და ფიჩორის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეო-
ბების ბაზაზე, იგივე ითქმის გულრიფშის რაიონში ბაბუშერის ეთერზეთების
მეურნეობა-ქარხნის ბაზაზე ასეთი გაერთიანების ჩამოყალიბების შესახებ.
ახალგაიქმნა მდგომარეობა გეაქეს მეცენტრსეობის მიმართ მისი წარმოების
ძირითად რაიონებში (სოხუმი, გაგრა, გულრიფში და ნაწილობრივ გალის
რაიონი).

სუბტროპიკული ზონის მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარება, რომ-
ელიც სხვა სპეციალიზაციის მეურნეობებში, დამოკიდებულია მტკიცე საკვები
ძარბის შექმნაზე, რაც რიგი დამახასიათებელი თვისებებზეა გამო საკმაოდ
რთულია და მოითხოვს მის გადაწყვეტას ღრმა მეცნიერულ საფუძველზე; სწო-
რედ ეს ძირითადი ქვაკუთხედი უნდა დავუდოთ მეცხოველეობის გადაყვანას
სამრეწველო საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციიდან გამომდინარე,
მსხვილი რქოსანი პირუტყვი მერძეული მიმართულებით უნდა იყოს (პირველ
რიგში მისი მრავალრიცხოვანი კურორტების დამსვენებელთა მოუხდელი
რძით უზრუნველყოფის და მეორეც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა-
დების დაკმაყოფილების მიზნით). გამომდინარე აქედან, რძის წარმოების კომ-
პლექსების შექმნა მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შთა-
ბარი მიმართულება უნდა გახდეს, ამასთან ერთად საჭიროა რაიონებში მიხედ-
ვით ასეთ კომპლექსებში ფურების ოპტიმალური რაოდენობის დადგენა, ჩვენი
რეალობით, თითოეულ ასეთ კომპლექსში ფურების რაოდენობა არ უნდა
აღმატებოდეს 400—600 სულს, გამონაკლისი შეიძლება იყოს გაგრის და სო-
ხუმის რაიონი, სადაც იგივე მაჩვენებელი შეიძლება აყვანილ იქნეს 800—1200
სულამდე მტკიცე საკვები ბაზის შექმნით. განსაკუთრებით კი ისეთი სახის სა-
ფუძვლის შემოღება უნდა შეიძლება მთელი რიგი მიზნების გამო შეუძლე-
ბელია და ეკონომიურად გაუმართლებელი.

მეცხოველეობაში სამეურნეობათაშორისო კოოპერირება და აგროსამრეწვე-
ლო ინტეგრაცია მოითხოვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდისა და
სუქების ორგანიზაციის მოწყობას და შემდგომ სრულყოფას. სამეურნეობათა-
შორისო სუქების პუნქტებზე მოზარდის გადაცემა (შეიძლება გადაეცეს 20
დღის ასაკის ხბო და უხენსი) მუშავე მეურნეობებს საშუალებას მისცემს გადი-
დონ ფურების სულადობა და პროდუქტიულობა. მოაწყონ მსხვილი რქოსანი
პირუტყვის სპეციალიზაცია მხოლოდ რძის წარმოებაზე, ასევე ეფექტურია მე-
ლორეობის დარგის განვითარება სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწვე-
ლო ინტეგრაციის ბაზაზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად
მკვეთად გაიზრდება რძისა და ხორცის წარმოება და ხარისხი, საერთოდ
ამაღლდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმოების ეფექტურობა.

როდესაც ვეხებით აფხაზეთის ასსრ-ში მეცხოველეობის პროდუქტების
წარმოების მოწყობას ინდუსტრიულ ბაზაზე, მხედველობიდან არ უნდა გამო-



გერჩეს ის, რომ აბსოლუტურ ბუნებრივ სავარგულებზე მოდის (საბოლოოდ ბრივ მეურნეობებში) სას.-სამ. სავარგულების 65—70%. როგორ უნდა გამოვიყენოთ აღნიშნული სათიბები და საძოვრები, თუ არა მეცხოველეობის ამიტომ მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო კოოპერირების რეწველო ინტეგრაცია, მისი ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა უნდა მოხდეს დაბლობი, მთისწინა და მთიანი ზონისათვის დიფერენცირებულად: ასეთი ეკოთიანებების ოპტიმალური სიდიდით ჩამოყალიბება ყველაზე მიზანშეწონილია განსაკუთრებით დაბლობ და მეტნაკლებად მთისწინა ზონებში, რაც შეეხება მთის ზონის მეურნეობებს, აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შვიცისა და ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის მსხვილი რქოსანი პირუტყვის მომრავლებას ცალკეულ მეურნეობაში, რომელიც წარმატებით გამოიყენებს შალამთიან საძოვრებს, აგრეთვე მას უნდა შეუხამდეს წერილფება რქოსანი პირუტყვი, კერძოდ მეთხეობა, ვფიქრობთ, მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გატარება ასეთი დიფერენცირებულ მიდგომისაშუალებას მისცემს საზოგადოებრივ მეურნეობებს მეკეთრად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

Г. Б. ЧКАДВА

ВОПРОСЫ ОРГАНИЗАЦИИ МЕЖХОЗЯЙСТВЕННЫХ И АГРАРНО-ПРОМЫШЛЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ В СЕЛЬСКОМ ХОЗЯЙСТВЕ АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

В работе проанализированы итоги деятельности межхозяйственных объединений в растениеводстве и животноводстве в настоящий период, на основе которой намечены пути совершенствования их организационно-хозяйственного устройства и финансового отношения. Высказано мнение, какие особенности следует учитывать при создании межхозяйственных и аграрно-промышленных предприятий, исходя из конкретных условий производства.


